

22)8(09)

3-611

თამარ კოკოლაძე

მეცხრამეტე საუკუნის
60-90-იანი წლების ქართული
საბავშვო ლიტერატურა

თამარ გობოლაძე

მეცხრამეტე საუკუნის
60-90-იანი წლების ქართული
საზაფხურო ლიტერატურა

სახელმძღვანელო ქართული ფილოლოგიის
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2012



საქართველოს მემკვიდრეობის
სამინისტროს დასახელებული

სარჩევი

| | |
|--|-----|
| შესავალი. | 3 |
| ქართული სამოცინელები და საბავშვო ლიტერატურის საკითხები. | 8 |
| ილია ჭავჭავაძის საბავშვო ნაწარმოებები. | 12 |
| აკაკი წერეთლის საბავშვო ნაწარმოებები. | 23 |
| ი. გოგებაშვილი - საბავშვო მწერალი. | 44 |
| ვაჟა-ფშაველას საბავშვო შემოქმედება. | 68 |
| სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო პროზა. | 90 |
| ნიკო ლომოურის საბავშვო ნაწარმოებები. | 113 |
| ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო ნაწარმოებები. | 127 |
| Summary. | 150 |



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის რაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

UDC (უაკ) 82-93:821.353.1.09(075.8)
გ-611

ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიას XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იკვლევდნენ (ა. ლენინაშვილი, ა. ჩაჩიბაია, ი. ბოცვაძე, ვლ. ჯიბუტი, მ. ზანდუკელი, ნ. საღირაშვილი, ც. ბაბლოანი და სხვ.). თუმცა სპეციალური მონოგრაფია ან სახელმძღვანელო, როგორც ასეთი, ჯერ პედაგოგიური ინსტიტუტების, შემდგომ უნივერსიტეტების სტუდენტთათვის არ არსებობდა. ამიტომ გორში ლტოლვილი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, ქართული ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი პროფესორის, პროფესორ შოთა ქურდაძის ხელმძღვანელობით, ხელი მოჰკიდა პროექტს - შექმნილიყო „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის“ სრული კურსი, რისთვისაც „ქართული საბავშვო ლიტერატურის“ პროგრამის მიხედვით განაწილდა მასალა კათედრის წევრ ლიტერატურათმცოდნეთა შორის. პროფესორმა შოთა ქურდაძემ 1997 წელს გამოსცა I ნაწილი - „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. პროფესორმა, აწუდროდ გარდაცვლილმა, ლელა მელაძემ 2002 წლიდან დანარჩენი ნაწილები (საბავშვო პერიოდული გამოცემები, ალ. ყაზბეგი, ცახელი, თ. რაზიკაშვილი და შ. მღვიმელი) და XX საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხები (2002-2009 წწ.).

წინამდებარე წიგნში გთავაზობთ XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, რაც შეეჯებს საერთოდ ქართული საბავშვო ლიტერატურის კურსს, დაეხმარება სტუდენტებს სახელმძღვანელოდ ქართული საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელოვანი მონაკვეთის გაცნობაში.

რედაქტორი პროფ. შ. ქურდაძე
რეცენზენტი სრ. პროფ. ა. მღებრიშვილი
ა/პროფ. ქ. ბარბაქაძე

© თ. გოგოლაძე, 2012
გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge
ISBN 978-9941-17-608-1



K 279.483

შესავალი

საბავშვო ლიტერატურის ჭეშმარიტად ახალი ხანა XIX საუკუნიდან იწყება. თუმცა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გამოდის პირველი საბავშვო წიგნი, გერმანე მღვდელ-მონაზონის მიერ შედგენილი „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, რომელიც ვახტანგ VI სტამბაში დაიბეჭედა 1711 წელს. საშინაო განათლება და კითხვა ძირითადად ხელნაწერი კრებულებიდან მიმდინარეობდა (შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ომიანიანი“, „ყარამანიანი“, „რუსუდანიანი“, „ჩარდაფრიშიანი“ და სხვ.). XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება ძირითადად რუსულიდან თარგმნილი „ყრმათა ენციკლოპედია ანუ ახალნი სწავლიანი ყოვლისა გვარისანი სასარგებლონი ხმარებისათვის ჭებუკთა“, „ენციკლოპედია, ანუ შეკრებილება ზნეობითა სწავლათა ჰაზრთანი“ და სხვ.

როგორც თ. ჯიბლაძე აღნიშნავს: „დასახელებული ენციკლოპედიები მიზნად ისახავენ მოზარდ თაობას ჩაუნერგონ მალალი იდეალები, ასწავლონ ადამიანებთან ურთიერთობა, მიაწოდონ ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, ახალგაზრდობა მოამზადონ ცოდნისათვის.“

ყრმათა ენციკლოპედიებში მკვეთრად არის წინ წამოწეული ჰუმანიზმი და ცოდნის მნიშვნელობა. ენციკლოპედიები მიძიმე, არქაული ენითაა დაწერილი. მხატვრულ აღწერასთან, საგანთა და მოვლენათა განმარტებასთან ერთად ჭარბადაა გამოყენებული დიალოგები. ტექსტს ერთვის წინათქმა და დასკვნა.

სამივე წიგნი ძირითადად ერთნაირად განმარტავს საერთო რელიგიურ ცნებებს, ხოლო ცალკეული საგნები, მოვლენები, ზნეობრივი დარგებანი ყოველ მათგანში განსხვავებული სახითაა მოცემული.¹ ამავდროულად ვრცელდება ე.წ. ანბანათსა-სწავლი ხელნაწერები, რომლებშიც თითოეული სტრიქონი ანბანის ერთი ასოს სწავლებას გულისხმობს და ამავდროულად შეიცავს საჭირო დარიგებასა.

რაც შეეხება ქართულ მწერლობას, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რომანტიკოს პოეტებში საუკუნის დასაწყისში ჩნდება საბავშვო ლექსები, რომლებიც ძირითადად შეიღებულა დამია მიძღვნილი, ასეთებია: დიმიტრი ბაგრატიონის ლექსები - „ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას“, „ანბანთ-ქება“, „ნანინა“, „ელისაბედისანი“; ალ. ჭავჭავაძის ლექსი თავის ქალის ნინოსადმი; გრ. ორბელიანის ლექსი „შეგირდი“, ნ. ბარათაშვილის „ჩჩვილს“, ს. რაზმაძის „შვილს“, ი. კერესელიძის „ნანა“; დ. ბერიევის „ყმაწვილი“ და სხვ. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა 1853 წლიდან იბეჭდება ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე და ძირითადად გამომცემულია მოწოდება სწავლისაკენ, სამშობლოს სიყვარულისაკენ, მათში მოჩანს ბავშვებისადმი სიყვარული, სათუთი დამოკიდებულება და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა რომანტიკოსი პოეტის ვა-

1. თ. ჯიბლაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის“ (XIX ს.), თბილისი, საბლიტგამი, 1959, გვ.12

სტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის (1812-1890) საბავშვო ლექსი „ვასიკოს თავგადასავალი“ (1889 წ.), რომელშიც პოეტი აჩვენებს პატარა მკითხველს, რა შედეგები მოჰყვება ურჩობასა და პირუტყვების გამოჯავრებას. ლექსი უფრო იუმორისტულია და დამრიგებლობითი ხასიათისა.*

ხელნაწერები, თარგმნილი საკითხავები, უცხოური საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური იყო ჭეშმარიტად ბავშვთათვის დაწერილი, პედაგოგიურად გამართული წიგნების შესაქმნელად, რაც XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება. ამიტომ აღნიშნულ ეპოქის მკვლევარი შ. ქურდაძე ჯერ კიდევ 1960 წელს ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში მოთავსებულ წერილში „ლიტერატურის სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“, „კლასიკური საბავშვო ლიტერატურის“ დამწყებად მიიჩნევს ღირსეულ მამულიშვილს. მოგვიანებით ამასვე აღნიშნავს პროფესორი ლელა მელაძეც, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებს „კლასიკური საბავშვო ლიტერატურის“ ეპოქად ახასიათებს. და აქვე განმარტავს კიდევ მისი აღმოცენების მიზეზებს: „რუსეთის მმართველობითი სისტემა, რომელიც განსაკუთრებული დაუნდობლობით სპობდა ეროვნულ ცნობიერებას, ჩანასახშივე დალუპავს უქადდა საქართველოს მომავალს. ქართველი 60-იანელები გადარჩენის

* XIX საუკუნის დასაწყისის ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ იხილეთ სხვადასხვა დროს თ. ჯიბლაძის, შ. ქურდაძის, ღ. მელაძის წერილები. ამიტომ ჩვენ აქ არ შევახერხებთ თქვენს ყურადღებას.

სამართლიან, ზნეობრივად სუფთა ადამიანად, საპირისპიროდ დათიკოსი, რომელიც ცუდი აღმზრდელის ხელში თავადაზნაურული კლასის უპირატესობის შეგრძნებასთან ერთად, კეთილი, მოყვარული ბავშვიდან თავისი სურვილების, ქვენა-გრძნობების მონად, ურწმუნო კაცად იქცა. ასევე მომავალ დამნაშავეებად გახდა თუქურმიშას სკოლის უარყოფითმა სისტემამ და საშინელმა ოჯახურმა გარემომ ორი ყმაწვილი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“. ავტორი არ ამართლებს საშინელი, მოუწესრიგებელი აღზრდის მსხვერპლთ, მაგრამ ამ ორივე ნაწარმოებით თვალსაჩინოს ქმნის სკოლისა და აღზრდის სწორი მიმართულებით განვითარების აუცილებლობას: „ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის, როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულს გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულ თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულ-მონდომილი, მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდეს“¹⁰

ცოდნა სინათლეა, მაგრამ რა მიზნებს უნდა ისახავდეს აღმზრდელი? ამ თემას ილია ჭავჭავაძე არაერთ ნაწარმოებში ეხება, მაგრამ დასაწყისშივე გამოკვეთს. პირველად რა უნდა მისცეს მშობელმა ყმაწვილს და შემდგომად რა განავითაროს აღმზრდელმა.

10. იქვე იგი 148

684983
104983

ლექსში „ქართველის დედას“, რომელიც ერთგვარ პროგრამად გვევლინება ქართველი დედისათვის, ავტორი გადაჭრით მოუწოდებს არ დაივიწყოს წინაპრებისაგან მიღებული ტრადიცია. „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“, რათა გამოჰყვეს ახალგაზრდას მხნეობა, ხმალი (იარაღის ოსტატურად ხმარების მნიშვნელობით), „მკლავი ქველური, სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა“. ახალმა დედამ ამასთან ერთად უნდა იზრუნოს: ქრისტიანულ მორალით განმტკიცებული ძლიერი სული განუვითაროს, რათა ჭეშმარიტებით გამსჭვალულს შეძლებოდეს ღირსეული კვალის დატოვება. მხოლოდ ასეთი აღმზრდელი დედა სჭირდება ბაზალეთის ტბის ძირას ჩადგმულ ოქროს აკვანში მწოლარე ყმაწვილს (ერის მომავალს). ამიტომ შენატრის პოეტი:

“თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟაკცა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელ-დებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველად მიაწვდის
თვის ძუძუს, მადლით ცხებულსა“.¹¹

(„ბაზალეთის ტბა“)

ჭეშმარიტად ასეთი ღირსეული დედაა ილიას მოთხრობის

11. ილია ჭავჭავაძე, „რჩეული“, ორ წიგნად, წ.1, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ.44



„ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პერსონაჟი, თავად ოთარაანთ ქვრივი, რომლის ადამიანური თვისებები ნიმუშია იმ სანატრელი დედაკაცობისა: ოჯახის ერთგულება, შრომისმოყვარეობა, შეურიგებლობა სიზარმაცესთან, გერგილიანობა, სიმართლის მაძიებლობა, საკუთარი პიროვნების ფასი ყოვლისა, უზარმაზარი სიყვარული კარგად გაზრდილი შვილის მიმართ: „ამათს დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა, დედაც შეჰნაროდა თავმოწონებით შვილსა, დედამისიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ღებნა სხვა არა ჰქონდა - რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა... ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმაღავდა თავის გულისნადებსა. მარტო ის კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენიებდა. თუმცა ხშირად კი სტუქსავდა“¹² „არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია“¹³ ამის საპირისპიროდ ავტორი ხატავს მეორე წვრილშვილ ქვრივ დედაკაცს, რომელიც ვერც ოჯახს პატრონობს და, სავარაუდოა, აღზრდაც არ იცის. ილია ოთარაანთ ქვრივის პირით კიცხავს მას: „დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმაპურის შოვნის უნარი კი არა

12. იქვე (V. II), გვ. 265-266

13. იქვე, გვ. 267

აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მათყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შენ უბედურის დღისაჲ!...“¹⁴

ილია ჭავჭავაძე მომავალი თაობისათვის აუცილებელ შესაცნობ-გასაგებად მიიჩნევს სოციალურ და ეროვნულ საკითხებს. რატომ იჩაგრება ერთი ადამიანი მეორეს უღელქვეშ და მარადიულია თუ არა ეს მდგომარეობა. სწორედ ამ საკითხებს მიუძღვნა ილიამ ლექსი „გუთნისდედა“ და პოემები: „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „აჩრდილი“. საუკუნეთა მანძილზე მიწის მხენელი გუთნისდედა უფლებით ხარის მდგომარეობასთან არის გათანაბრებული. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთშია. ადამიანის მიერ უღელში შებმულ ხარს მეტყველება-აზროვნება არ გააჩნია, ხოლო გუთნისდედა მეტყველია, მაგრამ: „-ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება, რად მინდა ხმალი. თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება...“¹⁵ გულში დაგროვილი ბოღმა გადმოხეთქვას ითხოვს. და აი საბაბიც - კუდიგორის ტყეში ორი ყოფილი ყმა გლეხი დაბინავდება, რომლებიც უსამართლობამ ყაჩაღებად აქცია: კაკო და ზაქრო. ზაქროს ბავშვობის, მეძროხეობის, პერიოდი ნაწყვეტის სახით შევიდა „ბუნების კარში“. სწორედ ამ ფაქტზეა გამახვილებული ყურადღება, რაზე იზრდებოდა ოჯახს ბატონის მიერ ძალით მოწყვეტილი ჭაბუკი. ეს იყო „არსენას ლექსი“, მამაც, გამბედავ ვაჟკაცზე,

14. იქვე, გვ. 256

15. (V. I), იქვე, გვ. 9

რომელიც ღარიბების შემწეა. ილიას ეს პოემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდობაში და ხშირად მას, როგორც ია კარგარეთელი იხსენებს, ზეპირადაც სწავლობდნენ თავიდან ბოლომდე. მაგრამ მონობა არაა მარადიული. ამას მოუწოდებს ილია პოემაში „აჩრდილი“: “შრომისა ახსნა - ეგ არის ტვირთი ძლევეამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ლელვისა დიადი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის”¹⁶ და „შრომის სუფევა მოვა მაშინა ჭეშმარიტების მის ძლიერებით და განმტკიცდება სოფელსა შინა კაცთმოყვარების სახიერებით, ყველასათვის იქმნეს იგი სუფევა თანასწორადა ნიჭთა მფუნელი“¹⁷ და მაშინ „მაშვრალო, - მიმართავს პოეტი, - შენც განკაცდები, წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ“.¹⁸ ილია არწმუნებს მომავალ თაობას, რომ ეს მარტო ოცნება კი არ არის, არამედ მოსალოდნელი დიდი გარდატეხა, რომლისთვისაც იგი უნდა იყოს მზად.

ეს მზადყოფნა თავისი ქვეყნის ისტორიული წარსულის ღრმა ცოდნასაც გულისხმობს. ამიტომ აწვდის ავტორი მკითხველს „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, რომელიც თავად მოუსმენია ბავშვობაში და მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ მამის სახეა წარმოჩენილი, რომელიც ღირსეულად ნამსახური, მაგრამ უკვე დაუძღურებული, თავის კარგად გაზრდილ, მამული-

16. იქვე გვ. 59
17. იქვე გვ. ???
18. იქვე გვ. 60

შვილებს აბარებს ყაენთან ურდოში სამსხვერპლოდ ზვარაკივით მიმავალ მეფე დიმიტრის: „მიირთვი და ინაცვალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე, ომში, მეფევე, გაჩვენებენ, რა ლომებს ჰზრდის ქართველის დედა“.¹⁹

საკუთრივ საბავშვო მოთხრობაა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, რომელშიც ილია სევდით იხსენებს თავის ბავშვობას, თავის -და-ძმებს და საყვარელ მშობლებს, საახალწლო სამზადისში გართულ ოჯახს პატარების ყურადღების მისაქცევად ისტორიული წარსულიდან აღებულ ერთ მონაკვეთს უამბობს მამა: ესაა ამბავი მოხუცებულ, ჭარმაგ, ღირსეულ მეომარზე, გოსტაშაბიშვილზე, რომელმაც მტრის მოგერიებაც იცის და მის ვაჟკაცობის შეფასება-დაფასებაც. ნიკოლოზმა სიცოცხლე აჩუქა ვაჟკაც ყიზილბაშს, რომელმაც ასევე დაუფასა ეს მიტევება. აქ მოჩანს ქართველის გენში ჩადებული მიმტევებლობის განცდა, რომელიც უნდა ტრადიციად გაგრძელდეს მომავალ თაობაში.

სწორედ ამიტომ მიმართავს ილია მძინარე ყმაწვილსა და აკვანში მწოლ ჩვილს: „ღმერთო! აკურთხე ამ ყრმისა ძალნი, ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე“ („მძინარე ყმაწვილს“)²⁰ „უკვდავი არის შვილი, მამულისათვის მომკვდარი!“ („ნანა“),²¹ „შვილო, მას უერთგულე; რაც მე სიტყვით გითხარი, შენ საქმით აღმისრულე!“ (იქვე)²²

19. ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. II, თბილისი, 1988, გვ. 542
20. იქვე გვ. 538
21. იქვე გვ. 539
22. იქვე გვ. 148

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამ ღრმა კვალი დააჩნია ქართულ მწერლობას, რაც ერთგვარ ბალავრად იქცა მომავალი საბავშვო მწერლობისათვისაც.

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ ილია ჭავჭავაძის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „ნანა“, „ბაზალეთის ტბა“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „სარჩობელაზედ“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“ - ქრესტომათია - თბილისი, 1998, გვ. 88-101), „ქართველის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „გუთნისდედა“, „ელეგია“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ორ ტომად, ტ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1977).

2. ვის უწოდეს „თერგდალეული“ და როგორ აღინიშნა მათი გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე?

3. როგორი იყო „თერგდალეულთა“ სამოღვაწეო პროგრამა და რა ადგილი ეკავა მასში მოზარდი თაობის აღზრდის საკითხს?

4. რომელ ნაწარმოებში ეხება ილია ჭავჭავაძე ახალი თაობის აღზრდის თემას?

5. რატომ თვლის ილია რთულ პროცესად ბავშვის აღზრდას?

6. დაასახელეთ, რომელი საბავშვო ნაწარმოები მოგწონთ ილიას შემოქმედებიდან?

აკაკი წერეთლის საბავშვო ნაწარმოებები

სამოციანელთა მეორე დიდი თავგადაცის, „საქართველოს უკუდავ გენიად“ წოდებული მწერლის, აკაკი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბავშვების სწავლებისა და აღზრდის პრობლემატიკას.

აკაკი წერეთელი აგრძელებს ბუნებრივად ილია ჭავჭავაძის ხაზს და შემოქმედებითად ავითარებს და აღრმავებს მომავალი თაობის აღზრდისათვის აუცილებელ შეხედულებებს: „მეზნე-ბარე პატრიოტი, სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა ეგოიზმი, პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა, - ასეთია XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და, კერძოდ, აკ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების დადებითი გმირის, ახალი ადამიანის იდეალი“.²³ პოეტის აზრით, „საბავშვო ლიტერატურამ უნდა ჩაუნერგოს პატარებს მაღალი მორალი, შრომის, ცოდნის სიყვარული. საბავშვო წიგნმა უნდა ააშოროს პატარა მავნე ჩვეულებებსა და მიდრეკილებებს“.²⁴

აკაკი როსტომის ძე წერეთელი დაიბადა 1840 წლის 9 ივნისს ზემო იმერეთში, სოფელ სხვიტორში, თავად როსტომ როსტომის ძე წერეთლისა და ეკატერინე ივანეს ასულ აბაშიძის ოჯახში. თავადთა ოჯახში ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულებით, პატარა აკაკი გაუძიძავებიათ სოფელ სავანეში

23. თინათინ ჯიბლაძე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, (XIX ს.) საბლიტგამი, 1959, გვ. 36

24. იქვე.

მანო სადღუნიშვილსა და ფარსადან ყანჩაველთან. „ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთს სხვადასხვა წოდებას და ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა ... კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია არ გამოვსტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.²⁵ - იგონებდა აკაკი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“.

1846 წელს აკაკი მშობლებს სხვიტორში გადაჰყავთ, სადაც მის აღზრდას დედა ხელმძღვანელობს: „დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას საზეპირო ლოცვებს... ისე გამიგებრიელდა საზეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე... რამდენიმე წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე“.²⁶ („ჩემი თავგადასავალი“). მალე „ადრინდელი თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრალს გადავჰყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდე და, თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი.“²⁷

1850-1859 წლებში აკაკი სწავლობს ქუთაისის გიმნაზიაში,

25. მღვ, აკაკი წერეთელი, თხზულებანი, თბილისი, 1980, გვ. 708.

26. იქვე, გვ. 740-741

27. იქვე, გვ. 750

საკმაოდ წარმატებით ართმევს თავს იმ სიძნელეებს, რაც რუსიფიკატორული რეჟიმის წყალობით იყო დამკვიდრებული გიმნაზიაში. მაგრამ, აიყოლია რა რუსეთში სწავლის გაგრძელების სურვილმა, მეშვიდე კლასიდან თავს ანებებს მას და პეტერბურგს მიემგზავრება, სადაც, პეტრე ბაგრატიონის, რჩევით შედის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. ამ დროიდან იწყება ახალი ხანა არამართო მის, არამედ რუსეთში განათლების მისაღებად წასულ სხვა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაშია. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო და ბესარიონ ლოლობერიძეები და სხვ. ახალი იდეებით აღვზნებულნი, ქმნიან ახალი თაობის, „თერგდალეულთა“ ჯგუფს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო „ახალი ტიპის“ ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება.

1856 წელს აკაკიმ დაწერა თავისი პირველი ლექსი „გაბრწყინდი, ჩემო კანდელი“, ხოლო 1859 წლიდან უკვე „ცისკრის“ რედაქციას უგზავნის თავისი შემოქმედების ნიმუშებს.

1863 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინაშე აღმოსავლური ენების ფაკულტეტის თავისუფალმა მსმენელმა, აკაკი წერეთელმა წარადგინა, საკანდიდატო თხზულება „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ, გიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობის უქონლობის გამო, დიპლომი ვერ მიიღო.

1864 წლის ნოემბერ-დეკემბერში კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგში გამოსცა მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული „ჩანგური“, რომელშიც აკაკის 13 ლექსი დაიბეჭდა.

1867 წელს აკაკი საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში და ფართოდ ებმება საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში: აყალიბებს ქართულ თეატრალურ დასს, აგროვებს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და აქვეყნებს მათ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, შემდეგ კი საკუთარ ორგანოში „აკაკის თვიური კრებული“, სწორედ მოზრდილთათვის განკუთვნილი ნაწარმოებების გვერდით აკაკი ბავშვებისთვისაც წერს ლექსებს, გამოცანებს, მოთხრობას, ზღაპარს, თარგმნის ი. კრილოვის იგავ-არაკებს. „აკაკიმ, როგორც ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, მრავალი საყურადღებო წერილი უძღვნა საბავშვო ლიტერატურის საკითხებს. აკაკის სიტყვით, საბავშვო წიგნი ამდღერებს ბავშვის გონებრივ ჰორიზონტს და აძლევს მას ცოდნის დიდ მარაგს. საბავშვო წიგნმა უნდა გააცნოს პატარებს საგნები და მოვლენები, შეასწავლოს მათი დანიშნულება. ცხოვრების სინამდვილე, ბუნება, ადამიანთა ყოფა ცოცხალ სურათებად უნდა დაუხატოს ბავშვებს.“²⁸ - წერდა საბავშვო ლიტერატურის მკვლევარი თინათინ ჯიბლაძე.

მდიდარი ზეპირსიტყვიერება და მრავალსაუკუნოვანი ძველი ქართული მწერლობა, მეთოდურად სწორად მიწოდე-

ბული, აკაკი წერეთელს მიაჩნდა აუცილებელ პირობად ქართული, საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. ამავ დროს ახალგაზრდობის აღზრდის, მისი გემოვნების დახვეწის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოელ მწერალთა ნაწარმოებების არა უფრო თარგმანის, არამედ გამოკეთებულის სახით მიწოდებას. ასე გადმოაკეთა აკაკიმ ქართულად ლ. ტოლსტოის მოთხრობა „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“. აკაკი ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ ჟურნალ „ჯეჯე-ილში“ გამოქვეყნებულ წერილში „წერილები ჩვენს მწერლობაზე“ („თეატრი“, 1890 წ. №8-10“) ასე ასაბუთებს გადმოკეთებული მოთხრობის საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მნიშვნელობას: „ესლა გადავიდეთ პატარა პოემაზე „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“. გვიკვირს, რომ ბ. ნიკოლაძეს შინაარსი ვერ გაუგია და სულ სხვაგვარად მოუთხრობს თავის მკითხველებს... ვინ არ მიხვდება, რომ იმათ ქართველები მხედველობაში არა ჰყოლიათ და მეც გადმოვლექსე, როგორც სასიამოვნო და საცოდნო რამ საკითხავი ყმაწვილებისათვის და არა ძალდასატანებელი ტენდენციური რამ. ჩემგან უმეტეს ნაკლებოდ არის გადმოღებული ის ამბავი ისე, როგორც ნამდვილად მოხდება ხოლმე და მოგვითხრობენ; ჩემის მხრივ ის არ მიჩვევია ყმაწვილებისათვის, რომ გძულდეთ მერცხალი და გიყვარდეთ ჭივჭავი-თქო. კიდევ ვიტყვით, გაზვიადებული ფანტაზია უნდა, რომ აქ კაცმა ტენდენციები დაინახოს“.²⁹

28. თ. ჯიბლაძე, გვ. 35

29. რეგულაციამდელი საქმასწავლო ლიტერატურის კრიტიკა, თბილისი, „ნაკადული“ 1977, გვ. 156

აკაკის მოსწონს, როდესაც საბავშვო ნაწარმოებში უშუალოდ პატარა მკითხველთან არის საუბარი და თხრობის მანერა სადაა, გასაგები, ხშირად ზღაპრული ფორმით გადმოცემული. მწერლისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საბავშვო ნაწარმოებები საბავშვო ჟურნალებში უნდა იბეჭდებოდეს. ამ თვალსაზრისით იგი უპირატესობას აძლევდა ჟურნალ „ჯეჯილს“: „არც ერთ ყოველთვიური ანუ დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანადოდ ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი“.

„... აკაკი წერეთელი, ქართველ ნოინელებთან ერთად, საბავშვო მწერლობას მიიჩნევდა საერთო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად. ბავშვთა ფსიქოლოგიური სამყაროს გათვალისწინებით, იგი საპასუხისმგებლო მოთხოვნებს აყენებდა ქართველი მწერლების წინაშე და მიუთითებდა ჭეშმარიტად პოეტური, სადა დახვეწილი ქართული ენით დაწერილი საბავშვო თხზულებების საჭიროებაზე“.³⁰

აკაკი წერეთლის სადიდო თუ საბავშვო ნაწარმოებები მაშინვე აიტაცა ნორჩმა მკითხველმა და თავის სამაგიდო წიგნებად გაიხადა. ამიტომ შეიტანა თითქმის ყველაზე მეტი საბავშვო, თუ სადიდოდან შერჩეული საუკეთესო ნაწყვეტები იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში“: „გლეხის გოდება“, „ხარაბუზა და ფუტკარი“, „სიმღერა მკის დროს“, „დის სიმღერა“, „დატყვევებული არწივი“, „დათვის წვეულება“, „ბა-

ტები“, „გაზაფხული“, „აპელაციის მცოდნე“, „ხატის წინ“, „სიმართლის მსახურება“, „ნაცარ-ქექია“, „შველი და ქალი“, „სოფელში გაბარება და ბედნიერი ბავშვობა“ და სხვ. იაკობ გოგებაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს აკაკის საბავშვო ლექსს „ყმაწვილი და პეპელა“ - გაზეთ „დროების“ 1884 წლის №7-43 ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „ნობათი“: „... აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი ღირსებით, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსსა... აკაკის ლექსი კი სწორედ ზედ გამოჭრილია საბავშვო ჟურნალის დანიშნულებაზე. იგი ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გონებასაც (აცნობებს პეპელას ცხოვრებას) და გულსაც, რომელშიც ჰბადავს სიბრაღულსა. მეტად შეუდარებელია თავი და ბოლო ამ ლექსისა.“³¹, დიდი პედაგოგი ასევე აფასებს აკაკის მიერ შედგენილ გამოცანებსაც. „ოთხი გამოცანა შედგენილი და გალექსილი აკაკისაგან, ჩინებულია როგორც შინაარსით, ისე ენით. მეტად ხალხური ენისა შეძლებას აძლევს აკაკის გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მშვენივრად შედგენილი გამოცანებით“.³²

აკაკი თავისი შემოქმედებით, ერის გულმხურვალე სიყვარულითა და მისი ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლით გადაიქცა ქართველი ხალხის სულიერ მოძღვრად. მსცოვან

31. რევილიციამდელი საქმწვილო ლიტერატურის კრიტიკა, გვ. 29-30.

32. იქვე, გვ. 31

პოეტს გარდაცვალებისას მთელი საქართველო დასტიროდა. მის კუბოს წინ მიუძღოდა მხოლოდ ერთი გვირგვინი წარწერით: „აკაკის-საქართველო“. მთაწმინდის მიწამ მიიბარა მასზე შეყვარებული მგოსნის ნეშთი.

ბავშვებისათვის განკუთვნილი აკაკი წერეთლის შემოქმედება შეიძლება ჟანრობრივად ორ სახედ დავყოთ: პოეზია, პროზა. გარდა ამისა აკაკის ეკუთვნის საბავშვო ზღაპრები, გამოცანები და თარგმნილ-გადმოკეთებული ნაწარმოებებიც.

აკაკი წერეთლის საბავშვო ლექსები თითქოს ერთი სუნთქვით დაწერილი ნაწარმოებებია, რომელთა თემებია: სამშობლო, მისი ბუნება, ბავშვი და მცენარეთა, მწერთა, ფრინველთა თუ ცხოველთა სამყარო, დიდები და პატარები.

აკაკი სიყვარულით არიგებს პატარა მეგობარს ამავე სათაურის ლექსში: „პატარა მეგობარს“. რადგან ბავშვს უყვარს კითხვა, პოეტის ეს მცირედი საჩუქარი - მიძღვნილი ლექსიც - ალბათ, მოეწონება, მაგრამ მასში დარიგებანია - „ქართველობით მაშინ გაქებ, თუ ხარ ძმათ მოყვარული!“, „ისწავლე და დაინახე, სიყვარულს გაუღე გული!“ „როს შენს კეთილს დასცინიან, შენ ნუ ისმენ მრისხანებით“, რამეთუ, არ იციან, რომ ცუდს სჩადიან და მიუტევებთ უგუნურება.

აკაკისთვისაც საინტერესოა საუბარი აკვანში მწოლარე პაწაწინა ქართველთან, ამიტომ უძღვნის „იმერულ ნანინას“ საბატონო ყმების ახალშობილს შვილებს. ახალი თაობა მამის ბედს არ მიჰყვება, რადგან უკვე თავისუფალია.

„ღმერთს შენი ბედნიერება წინათ უსახავსო,
შენ მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო“.³³

ახალ, თავისუფალ თაობას საშუალება ექნება, სკოლაში ბატონიშვილის გვერდით მერხს მიუჯდეს, მაგრამ არ უნდა ჩამორჩეს სწავლაში: „გლესა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებო!“³⁴ ველარც ჩინოვნიკები ჰკადრებენ უსაბუთოდ უყურადღებობას. მომავალი წინაა - აიმედებს პატარას პოეტი.

აკაკის დარიგება ახალი თაობის მიმართ პოეტურად გადმოცემულია ლექსში: „ანდერძი ჩემს შვილს“: „გულგაუტყულობა“, უშიშრად გავლა ცხოვრების დახლართული გზისა, სიყვარული მოყვასისადმი და მიმტევებლობა, მხოლოდ ამით ამაღლდება სხვების წინაშე, სხვებზე ზრუნვა და, რაც მთავარია: „შრომა აილე მახვილად და მოთმინება ფარადა“. მხოლოდ ამაშია, პოეტის აზრით, „ამქვეყნად შვება და ბედნიერება და უკვდავების მარადი უჭკნობი მშვენიერება“.

ასევე გრძელდება დარიგება ლექსში „წერილი პატარა მეგობრებს“.

„დათუნია, კაკუჩა,
მაია და ელენე
მე თქვენი სახე ხატად
ჩემს გულში ჩავისვენე“.

მათი მშობლების კარგი ქართველობა პოეტისათვის ცნობილია, ამიტომ უნდა შვილებიც კარგი გამოვიდნენ, რისთვისაც

33. მღბ, ა. წერეთელი, ვგ. 53

34. იქვე.

აუცილებელია კეთილი გული, პატრიოტობა:

„სამშობლოც ხომ დედა
ჩვენი, ტკბილი აღმზრდელი,
და რად უნდა ავილოთ,
მაშ, ჩვენ იმაზე ხელი?“

ამიტომ ერთადერთ ღვთაებად უნდა აღიარონ იგი და მისი ჭირი თუ ღვინი გაიზიარონ. სწორედ წინაპართა საქმეებში იპოვნინან მისაბაძ მაგალითებს მომავალი „საგმირო საქმეებისათვის“. პატარას უნდა უყვარდეს მშობლიური დედა ენა, არ გასცვალონ სხვაზე, რადგან „ენაში არის ძალა“

„საიდუმლო გონების,
ვინც დაჰკარგავს, გახდება
წერა სხვისი მონების“.³⁵

და იმედით აღვსილი პოეტი, რომელსაც სჯერა, რომ ბოლო მოელება თავგასულ ძალადობას, ხელახლა აყვავდება საქართველო, შესთხოვს პატარა მეგობრებს, მაშინ ნახონ მისი საფლავი და აუწყონ:

„აგისრულდა ახლა კი,
რასაც რომ მოელოდი,
მეგობარო, აკაკი!“³⁶

პირველ რიგში, აკაკის სურს მშობლიური ბუნება შეიყვაროს ბავშვმა, ამიტომ აწვდის ასე ხილულ, მშვენიერ სურათებს ლექსებში: „გაზაფხულის მაყრები“, „ხალხური“. წელიწადის

არამცთუ ყველა დრო, თვეებიც კი მხატვრულად განსახოვნებულია („ხალხური“):

„ქრიშობისთვე ქურქს იკერავს,
ზედ გამოჭრილს ლარზედაო,
იანვარი ეცილება:

მე მომასხი მხარზედაო!

თებერვალი თანახმაა,

მარტი დგება შარზედაო“.³⁷

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად ცოცხლდება ბუნებაც:

„ქვეყანა მაჯვას გაიხსნის,
გული დაუწყებს ძგერასა,
და საიდუმლო სიმებით

იწყებს ბუნება ჟღერასა“ („გაზაფხულის მაყრები“)³⁸

ამ მშვენიერ სამყაროში ცხოვრობენ ჩიტუნები, მოლალურები, ბულბული, მერცხალი, ტოროლა, რომლებიც ადამიანებისაგან გაფრთხილებას იმსახურებენ:

„ჩემს ტოლ-ამხანაგ ჩიტუნებს
მოსვლიათ გაზაფხულიო!...
მათთვის გაშლილა ბუნება,
ფერად-ფერადად მკულიო“.³⁹

და მაშინ რატომღა ატუსაღებენ საბრალო ჩიტს გალიაში: „რად მინდა ტუსაღს ალერსი? ეს მოყვრობაა მტრულიო“ („ჩიტი გალიაში“).

37. იქვე გვ. 624-626

38. იქვე გვ. 500

39. იქვე გვ. 390

35. ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.1, თბილისი, 1988, გვ. 637
36. იქვე გვ. 624-626

ბუნებაში ცხოველებიც ხშირად ისე იქცევიან, როგორც ადამიანები, მაგ.: ყოყორი, სულელი დათუნია, ეშმაკი მელია, საბრალო კურდღელი და სხვ.

„მინდვრად რწყილივით დახტოდა

ერთი უკუდო კატაო,

რაც საკუდეზე დააკლდა,

ყურებზე მიემატაო.

ცხვირსახოცს თავი გამოესკვენ,

კედელზე დაიხატაო.

და, ვინცა ვერ გამოიცნობს,

სჩანს ჭკვამ ულალატაო“.³⁹

ასე აქცევს გამოცანად კურდღელზე დაწერილ ლექსს პოეტი და პატარას საინტერესო თავსატეხს უქმნის. ავტორი ხშირად ადგენს გამოცანებს წიგნზე, კალამზე, ფანქარზე, მატარებელზე და სხვ. თითოეულ გამოცანას აკაკი დიდ შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს. თვით დედოფალებიც კი ბავშვისათვის გარკვეულ საგანს უნდა განასახიერებდნენ. („ელას დედოფალა“).

მაგრამ, ჩვენი აზრით, აკაკის საბავშვო პოეზიაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსს „ქართული ან-ბანი“. აქ თითოეული ქართული ასო პოეტის მიერ ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლის თითოეული მათგანის ამოცნობით სათანადო ცოდნას იძენს:

„ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს

შენი სამშობლო ძალიან,

39. იქვე, გვ. 281

ჯერ უნდა წიგნი ისწავლო...
პირველი ასო არის: ა“.

ასო „ი“ აკაკის „ან-ბანში“ ასეა გახსნილი:

„მიჰბაძე იმას, ვისაცა

თავს ედგა ეკლის გვირგვინი,

გვირგვინი ახლის აღთქმისა...
მაგრამ ისწვლე ჯერ: ი“.

დამრიგებლობით მინიშნებებთან ერთად აკაკი მსუბუქ

იუმორსაც იყენებს:

„და ვინცა სულ არას სწავლობს,
მათ უნდა ვუთხრათ ხომ „ჰაი“,
რადგანაც გამოუცნობი
დარჩებათ იმათ ეს! ჰ“⁴⁰

აკაკი წერეთლის პროზაული თხზულებებიდან საბავშვო ლიტერატურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მოთხრობას „პატარა ტარიელი“.

მწერალმა ერთგვარად გააერთიანა ქართული გენის შედეგის, „ვეფხისტყაოსნის“, შესახებ თავისი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი და თავისებური მეთოდური მითითებაც მისცა პედაგოგებს ამ ნაწარმოების შესწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ.

პატარა დიტო ცალქალამანიძეს, მეოთხე კლასში იყო, როცა ხელთ ჩაუვარდა „ვეფხისტყაოსანი“. მისმა მომხიბლავმა

40. იქვე, გვ. 160-164

შინაარსმა, უფრო ზღაპრულმა მხარემ ისე გაიტაცა, რომ მეორე დღემდე თავი აღარ აუღია, აღარც ჭამა მოჰგონებია, აღარც სმა და აღარც ძილი. ამ დღიდან თავსა და გულში სულ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები უტრიალებდნენ. - “ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გავხდეთ! განა მე კი ვერ მოვახერხებ გმრობასაო?”⁴¹ - ამბობდა თავისთვის დიტო. შეიცვალა დიტო, ხმა დაიბონა, გარეგნული სიდინჯე შეიძინა, შემდეგ სატრფო ნესტან-დარეჯანის მოძიება განიზრახა და ასეთი იპოვა, ერისთავის ქალი თინა. გაიმართა მიმოწერაც. დიტომ სწავლაზე ხელი აიღო, ბაძავდა ტარიელს და მის საგმირო საქმეების შეძლებისდაგვარად გამეორებას ლამობდა. მაგრამ ერთი შემთხვევის წყალობით, სასაფლაოზე შეშინებულმა, თინა მიატოვა და მოჰკურცხლა. გონს კი მოვიდა, მაგრამ სირცხვილის გრძნობა სტანჯავდა: „ისეთ სინანულში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა; თავრეტი ესმოდა, კლასში ტყუილა იჯდა, აღარაფრისა აღარა გაეგებოდა რა... დარჩა იმ წელიწადს მეოთხეშივე“.⁴² დიტოს ცვლილება შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო, თუ არა ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელმაც თავის პირდაპირ მოვალეობად ჩათვალა პატარებში კეთილი სურვილები აღედრა და სწორი მიმართულება მიეცა მათი აღზრდისათვის. „ის ძალიან აკვირდებოდა საბრალო დიტოს ყოფაქცევას და სხვებს რომ აბუებული ჰყავდათ, ის სიამტკბილობით და მამულიში-

ლურად ექცეოდა.“⁴³ სწორედ ამიტომ მიაგნო ბავშვის გულის გასაღებსაც და მისი აღსარებაც მოისმინა. „მასწავლებელი გულდაგულ უსმენდა, ერთხელაც არ მოსვლია ღიმილი მის კუდაბზიკობაზე და, რომ გაათავა თვალცრემლიანმა ბავშვმა თავისი მწარე ამბავი, ჰკითხა: - მერე რა არის მანდ სასირცხო და სასინანულო? ძალიან კარგი სურვილები გქონია და კიდევაც ეცადე, რომ შენი განზრახვა შეასრულო! ის ახალგაზრდა, რომელსაც ტარიელი არ მოსწონს, არ ცდილობს, რომ მას მიჰბადოს, ჩალადაც არა ღირს და მისგან სახეიროც არა გამოვა რაო.“⁴⁴ ოღონდ იქვე განუმარტა დიტოს, რომ ტარიელ-ავთანდილობა ყოველთვის საჭიროა საქართველოსთვის. დღეს კი მათი ფუნქცია შეიცვალა: „მაშინ ვაჟაკობა და მკლავის ძალა იყო საჭირო, - მტაცებლობისა და სისხლის ღვრის დრო იყო; დღეს კი სწავლა-მეცნიერებაზე ყველაფერი დამოკიდებული, მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდისრისა-საწერ-კალამმა“. „ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის“ წმიდათაწმიდა“ უგუნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა უნდა და, თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყოლებიან, ვინ უნდა გამოიხსნას?“⁴⁵ ასე უჩვენა პატარა მოსწავლეს

43. იქვე, გვ. 371

44. იქვე, გვ. 372

45. იქვე

41. იქვე, ტ. 3, გვ. 366

42. იქვე, გვ. 370

გონიერმა აღმზრდელმა სწორი სატარიელო გზა და შედეგიც მიიღო. დიტომ ოქროს მედლით დაამთავრა გიმნაზია და სახელმწიფო ხარჯზე უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნა. ერისთავის ქალმაც წარმატებით დაასრულა საქალებო გიმნაზია, შეისწავლა მშობლიური ქვეყნის ენა, ისტორია, ლიტერატურა და ძველი ქართველი დედების საქმის განგრძობას მიჰყო ხელი. მის სატრფოდ კვლავ დიტო დარჩა, რომელიც ახალთაობის ღირსეული წარმომადგენელი შეიქმნა: „ემზადებიან, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში, გვერდში ამოიყენონ ნესტან-თინათინები, გაებან საერთო უღელში. ერთად გასწიონ ჭაპანი და ოროველაც ასე დასძახონ: გული წმინდა, სული წრფელი და ერთობა-სიყვარული.“⁴⁶

მოთხრობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა დგას: რა მოჰყვება ბავშვისათვის პედაგოგის სწორი მიმართულებისა და მინიშნების გარეშე კითხვას, თუნდაც ისეთ გენიალური ნაწარმოებისა, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, როგორი უნდა იყოს მშობლების როლი ბავშვის აღზრდაში? პედაგოგმა ჯერ დაკვირვების ობიექტად უნდა აქციოს თითოეული მოსწავლე, შემდეგ კი მოძებნოს მის სულთან კავშირის ძაფები, რათა გამოიწვიოს მოსწავლის „თვითგახსნა“-დაინტერესება, შემდეგ კი დიალოგით, თანდათანობითი დარწმუნებით მიაღწიოს მის სწორ გზაზე დაყენებას, რათა შეძლოს შემდგომი აღზრდის ხელმძღვანელობა.

46. იქვე, გვ. 374

აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებიც ძირითადად დიდებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ გამოქვეყნებისთანავე მოხვდა უფროს-კლასელთა კითხვის არეალში და მათ უსაყვარელს წიგნად იქცა. ასეთებია: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“ და მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.

სამოციანელთა ეროვნული პროგრამიდან გამომდინარე, პოეტის, შემოქმედის მთავარი მიზანი არის მისი სულიერი გაჯანსაღებისათვის, ზნეობრივი გაფაქიზებისათვის ბრძოლა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია წარსულის რომანტიკული განჭვრეტა, მისი ისეთი ეპიზოდების და პერსონაჟთა წინა პლანზე წამოწევა, რაც ერსა და, განსაკუთრებით, მომავალ თაობაში აღძრავს მიბაძვის სურვილს, საფუძვლიანად გაღრმავებული ისტორიის ცოდნით აწმყოს გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ხერხების მოძიებას. ამ მიზანს ემსახურება სწორედაც აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“ და მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. თვით მიზანი კი პოეტურადაა გამოსატული:

„წარსულ-ნერგზედ ახალნამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნალველს
და ვეძლევით აღტაცებას!“⁴⁷

პოემა „თორნიკე ერისთავი“ აკაკიმ 1884 წელს დაწერა,

47. მლპ, (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა), ა. წერეთელი, თხზულებანი, თბილისი, 1980, გვ. 293

მასში მან სცადა გაეცოცხლებინა ეპოქის სული, მხატვრული განზოგადების სიმაღლემდე აეყვანა მატთანის ერთობ მშრალი ქრონიკა, ამით კი ფორმისა და იდეის რულ ჰარმონიას მიაღწია.

ბავშვისათვის კი ამ პოემით ცხადი გახდა საქართველოს ისტორიულ ეპოქებში სიღიადისა და ამაღლების მომენტები, რითაც მან მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის, საბერძნეთის, დამხმარის როლშიც კი წარმოაჩინა. X საუკუნის საქართველო და მისი მეზობლები, ერისკაცობის ფუნქცია-მოვალეობა ქვეყნის წინაშე და სასულიერო პირის დანიშნულება; ომისა და გმირობის, კაცისკვლისა და ჰუმანიზმის პრობლემები, ივერიის ღვთისმშობლის ქართველთათვის, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის, ახლობლობა, სამი, წარსულში რეალური წმინდანებად შერაცხული ქალების - ნინოს, ქეთევანისა და თამარის - ზრუნვა მის მომავალ ბედზე და, ბოლოს, პოეტის თხოვნა, სურვილის სახით, შენდობის ნიშნად რომ „ძველ ადგილზე გამოესახათ მათ ცისარტყელა...“⁴⁸ ავტორი პოემაში მიმართავს მისდევს მკვეთრად გამოხატულ სიმბოლიკას: კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის მითური სახე საქართველოა, რომელიც „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი სიხარულად შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი!“⁴⁹

ისტორიული მოთხრობაში წარმოდგენილი „ბაში-აჩუკი“ აკაკისეულ პროგრამის ძირითადი ნაწილია, აქ ავტორი

48. იქვე გვ. 353
49. იქვე გვ. 345

სწორედ ხალხის როლის გამოხატვას ისახავს მიზნად ისტორიაში და ამიტომ, აცოცხლებს რა XVII საუკუნის კახეთის ცნობილი აჯანყების ამბებს, მეფეთა და შეთქმულების რეალურ წინამძღვართა გვერდით ხალხის წრიდან გამოსული გლახა ბაქრაძის, მეტსახელად „ბაში-აჩუკის“, პირიმზისას, პირიმთვარისას, მელანოსა და აბდუშაჰილის სახელებს უფრო წარმოაჩენს, რათა აჩვენოს ერს, ვინ იყვნენ ქვეყნის გადამრჩენნი ძველად და ვის მხრებზე უნდა იდგეს ახლა, უმეფობის პირობებში, დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის ჭეშმარიტი მხსნელი გმირი. იმ ვრცელ მოთხრობაში ისტორიული, უფრო მეტად გამოგონილი მხატვრული სახეებით მწერალი მამულის სიყვარულსა და გმირული საქმეებისაკენ ლტოლვას უნერგავს ახალ თაობას.

მწერალმა კარგად იცის, რომ მომავალს სჭირდება ისეთი ზნეობრივი გმირი, რომლისთვისაც წარსული გაცნობიერებულია, მამულიშვილობა ღრმად ფესვგამდგარი და სული სპეტაკი. ასეთი ადამიანის აღზრდა მართო მშობლების ვალი როდია. და აი „პატარა ტარიელში“ დასმულ საკითხს (მოთხრობა დაწერილია 1897 წელს) ავტორი სხვაგვარად აღრმავებს პოემაში „გამზრდელი“ (1898წ.), რომელსაც იგი სპეციალურ მიძღვნას უკეთებს: „გუძღვნი ჩვენს პედაგოგებს“. გარდა ამისა აკაკი, თავის ჩვეულებრივსამებრ, სათაურის ქვეშე ხაზს უსვამს „ნამდვილი ამბავი“. თუმცა დასაწყისიდან თითქმის ბოლო თავებამდე პოეტის ყურადღება თითქოს სამი გმირის ბედის ინტრი-

გაზეა გადატანილი, ავტორი სწორედ მდიდარი, კარგად აღზრდილი, მაგრამ უზნეო საფარ-ბეგის მიერ ჩადენილი საქციელის პასუხს ღარიბი ხალხის წრიდან გამოსული, მაგრამ უმწიკვლო ზნეობის ბათუს პირით გამოტანილი საბრალდებო დასკვნის მსგავს ფრაზაში აქცევს: „წადი, ნახე, ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგზარდა და უამბე შენი პირით, რა სირცხვილი დაგემართა!“⁵⁰ ზნეობრივად ამალღებულმა მოძღვარმა და ჭეშმარიტმა მოქალაქემ უზნეო ბათუს საქციელში დაინახა „თავისი წვლილიც“ და სასტიკად გაუსწორდა თავისთავს. ამ ტრაგედიაში აკაკი წერეთელმა ახალგაზრდობასაც და მასწავლებლებსაც დაუვიწყარი გაკვეთილი მისცა.

აკაკის საბავშვო მემკვიდრეობა ჭეშმარიტი საგანძურია ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში, რომლის ფორმას თუ იდეულ მიზანსწრაფულობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ აკაკი წერეთლის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „ყმაწვილი და პეპელა“, „იმერული ნანინა“, „ქართული ანბანი“, „პატარა ტარიელი“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“, [ქრესტომათია], თბილისი, 1998, გვ.119-129) „თორნიკე ერისთავი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“.

2. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ბავშვობის ეპიზოდები რომელ ნაწარმოებებშია?

3. რა მოთხოვნებს უყენებს აკაკი წერეთელი საბავშვო მწერლობას?

4. დაასახელეთ აკაკი წერეთლის საბავშვო თხზულებიდან რომელი მოგეწონათ და რატომ?

5. რით დაეხმარა „პატარა ტარიელს“ მასწავლებელი?

5. რა იდეებს შთაგონებს მოზარდებს აკაკი წერეთლის ნაწარმოებები პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“, მოთხრობა „ბაში-აჩუკი“?

იაკობ გოგებაშვილი - საბავშვო მწერალი

„ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გადაშლის და, თითქოს ისევ დაიბადო, ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს, სხვანაირადაც კი გაიაზრებს.“⁵¹ - წერდა მწერალი დემნა შენგელაია იაკობ გოგებაშვილის შესახებ. და მართლაც, თუ ილიამ და აკაკიმ მთელი თავიანთი მოღვაწეობით, შემოქმედებით დასახეს ერის გამოფხიზლების, მისი სოციალური, ეროვნული ჩაგვრის ბორკილებიდან გათავისუფლების, ხელოვნების ხალხის სამსახურში უეჭველი ამოქმედების ამოცანა, იაკობ გოგებაშვილმა მათი იდეები პრაქტიკულად განახორციელა თავისი უკვდავ სახელმძღვანელოში. „ი. გოგებაშვილი იყო არა მხოლოდ დიდი პედაგოგი და საბავშვო მწერალი, არამედ იგი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის პირველი თეორეტიკოსიცაა“.⁵²

ი. გოგებაშვილმა იპოვა ცოდნის დაუფლებისათვის მოსწავლესთან ურთიერთობის გზა და თვალი აუხილა აღმზრდელებს წარსულიდან მოსული მემკვიდრეობის ხელახალი რეტროსპექციის საშუალებით უკეთესი მომავლის ასაშენებელ მომენტებზე.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს (ძვ. სტ. 15 ოქტომბერს) გორის მაზრის სოფელ ვარიანში. სოფლის მღვდლის სიმონისა და მაგდანა კალმახელიძეების ოჯახში. რვა წლის იყო იაკობი, როდესაც მშობლე-

ბმა იგი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ, ბავშვის მცირეწლოვნებისა და სუსტი აგებულების გამო, ერთი წლის შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. იაკობმა წარმატებით დაამთავრა იგი 1855 წელს და სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა. ჭაბუკი ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით გატაცებული იყო ისტორიითა და ლიტერატურით. ერთხანს საეკლესიო სამსახურზეც კი ფიქრობდა, მაგრამ, ხელი აიღო ამაზე. 1861 წელს, სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იაკობი ეწყობა კიევის სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე. ხშირად ცოდნის შევსების მიზნით, ესწრება ლექციებს კიევის უნივერსიტეტშიც. ეს პერიოდი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ცოდნასმოწყურებული ახალგაზრდისათვის: დარვინი, ჰუმბოლდტი, ფოხტი, ბოკლი, სპენსერი, შლოსერი, კანტი, ჰეგელი, უშინსკი, კომენსკი, რუსო, პესტალოცი, დისტერვეგი, პიროგოვი - აი თითქმის არასრული სია იმ მეცნიერებისა, რომელთა ნააზრევი არამცთუ წაიკითხა, არამედ საფუძლიანად გაანალიზა კიდევ ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილმა. იგი მალე გაიტაცა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა, დობროლიუბოვის, გერცენის, შჩედრინისა და სხვა „მოდასავლეთეთა“ რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა იდეებმა.

ფიზიკურად სუსტმა ჭაბუკმა ვერ აიტანა კიევის ცივი ჰავა და ტუბერკულოზით დაავადდა. თუმცა პროფესორები იაკობს აკადემიის დასრულების შემდეგ საპროფესორო წოდების მო-

51. იაკობის სამრეკლო, თბილისი, 1990, გვ. 5

52. თ. ჯიბლაძე, გვ. 44

სამზადებლად დარჩენას ურჩევდნენ, ექიმებმა მას უკვე თავისი დასკვნა მისცეს. 1863 წელს იაკობ გოგებაშვილი იძულებული შეიქმნა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

აქ იაკობი მალე გამოკეთდა და მუშაობა დაიწყო ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, შემდეგ კი სასულიერო სემინარიის იმავე თანამდებობაზე: „პირველი სხივი ადამიანური აღზრდისა იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა ტფილისის სემინარიისა და სასულიერო სასწავლებელში“.⁵³ - იხსენებს მისი ყოფილი მოსწავლე, ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი. იაკობის გაკვეთილები მართლაცდა სანიმუშო იყო. მან დაარსა უფროსი კლასის მოსწავლელთათვის ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, რომელსაც თვითონ ედგა სათავეში.

1866 წლიდან გოგებაშვილი თანამშრომლობს გაზეთ „დროებაში“ და უკავშირდება იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონს, სადაც ჩაეყარა კიდევ საფუძველი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეას, რომელსაც ი. გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის დიდი შრომით, ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, ხორცი შეესხა 1878 წელს.

ქართულ ენაზე ბავშვებისათვის სახელმძღვანელოს უქონლობა დიდი ეროვნული ტრაგედია იყო და აი, იაკობ გოგებაშვილმა 1865 წელს შეადგინა და გამოსცა სახალხო სკოლის

53. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, ტფილისი, 1938, გვ. 40

პირველი ორი განყოფილებისათვის სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. მშობლიური ენის იმ პირველი კარის გასაღები, პატარა „ია“, იაკობ გოგებაშვილმა მაშინ იპოვა და მას აქეთ არის, ყვითელხალიან, ლურჯთვალა იის ისეთი მორცხვი სურნელება ბავშვობიდგანვე ტკბილად რომ მოგვდევს. „... ამ „იის“ ნამით არის ჩვენი ქართული განედლებული. ეს ნამი უსვამს ჩვენს მამა-პაპას, მაგრამ ორად ორი ხმოვნით შედგენილ ერთადერთ ფრაზას ხომ თანხმოვანი ასოც უნდოდა. ბავშვებისადმი რა სიყვარული გამოკრთის ასოში, რომელსაც თანი ეწოდება და რომელიც აგრეთვე მძივს მოგვაგონებს... და ასე, - ყოველი შემდგომი ასო ქვეყანას თითქოს აგანიერებდა.“⁵⁴ (დ. შენგელაია).

1868 წლის დამლევს იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად აირჩიეს, მაგრამ „შაფრაზმელები“, რომლებიც მას „პოლიტიკურ ორგულობასა და სეპარატიზმს სწამდებდნენ“, ვერ შეეგუენ „ახალ სხივს“ სემინარიაში. ავადმყოფობის გამო გამოუცხადებლობა საბაბად მოუდეს და 1874 წელს გაათავისუფლეს თანამდებობიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო.

დიდი ლელვა და ნერვიულობა გადაიტანა იაკობმა. ბოლოს, კეთილი მეგობრის, ნიკო ცხვედაძის დახმარებით, აღდგა სულიერად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით, აღარასოდეს დაბრუნებოდა სახელმწიფო სამსახურს, დასწვა თავისი

54. იაკობის სამრეკლო, გვ. 6

ატესტატები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები. ამიერიდან იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება საზოგადო საქმეს დაუკავშირა.

1872 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „დარიგება, თუ როგორც უნდა წარიყვანოს მასწავლებელმა სწავლა ანბანში და პირველ წიგნში“, ხოლო უფრო ადრე 1868 წელს გამოვიდა მისი „ბუნების კარი“ მესამე და მეოთხე განყოფილებებისათვის. „ბუნების კარი“ გამოდიოდა 1918 წლამდე.

1876 წელს იაკობმა „ანბანის“ მაგიერ გამოსცა „დედა-ენა“, შედგენილი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი საანბანო ნაწილი - პირველი განყოფილებისათვის, მეორე ნაწილი - „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ“ - მეორე განყოფილებისათვის. გარდა ზემოთდასახელებული სახელმძღვანელოებისა, ი. გოგებაშვილმა ჯერ გერასიმე კალანდარიშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო «Начальный курс русского языка для Грузии» გამოსცა 1979 წელს, შესწორებებითა და დამატებებით, ხოლო 1885 წელს თავისი «Русское слово» ორ ნაწილად ქართული დაწყებითი სკოლებისათვის, რასაც დაურთო განმარტებაც «Руководство для учительниц к преподаванию по книге того же автора «Русское слово».

როგორც პეტერბურგის «Филологическая библиотека» -ს რედაქტორი ლიბერმანი წერდა 1895 წელს, (გ. თავზიშვილი), არარუხთათვის შედგენილი რუსული ენის აუა-

რებელ სახელმძღვანელოებში იშვიათი საპოვარია ისეთი მშენიერი და ნიჭიერად დაწერილი სახელმძღვანელო, როგორც არის ბ-ნ გოგებაშვილის შრომაო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იაკობ გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოებში შეჰქონდა ილიას და აკაკის თხზულებები და სპეციალურად აწერინებდა კიდევ მათ მოზარდთათვის საბავშვო თხზულებებს.

გოგებაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: („დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „მეურნე“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“, „კვალი“, „წყარო“, „ჩვენი გზა“, „ჯეჯუილი“, „მეგობარი“, „შრომა“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „ნიშადური“, „განათლება“ და სხვ.). გარდა ამისა მან გამოსცა საკუთრივ ქართულ ენაზე საკითხავი საყმაწვილო მოთხრობათა და ლექსთა კრებულები: „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კოკორი“, „მოსაფლის მცველნი“.

ი. გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომებისა, როგორცაა „ბურჯი ეროვნებისა“, „რანი ვიყავით გუშინ“ და სხვ.

ი. გოგებაშვილი დიდი გატაცებით აგროვებდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ფიქრობენ, რომ ქ.შ.წ.კ.გ.ს-ს მიერ 1979 წელს გამოცემული სახელმძღვანელო მითითებანი ზეპირსიტყვიერების შემკრებთათვის იაკობ გოგებაშვილისა და პეტრე უმეკაშვილის ხელით უნდა იყოს მომზადებული. თავის სახელმძღვანელოებსა თუ კრებულებში იაკო-

ბმა შეიტანა გადამუშავებული, ბავშვებისათვის საინტერესო და პედაგოგიურად გამართლებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ყველასათვის ცნობილი „რწყილი და ჭიანჭველა“ მას თურმე ერთი ვარიანელი პატარძლისაგან ჩაუწერია და მერე ისე მოსწონებია, რომ სახელმძღვანელოშიც მოუთავსებია.

ბავშვებისათვის საჭირო უცხოური, რუსული მასალების, მხატვრული შემოქმედებისა და თარგმნა-გადმოკეთების გარდა იაკობ გოგებაშვილი 150-მდე საბავშვო მოთხრობის ავტორია, აქედან, როგორცაა: „იავნანამ რა ჰქმნა“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვ. ცალკე გამოცემადაც გამოვიდა. თვით მწერალი საგანგებოდ აკვირდებოდა მოზარდის გემოვნებას. როგორც იაკობ გოგებაშვილის მიერ სილოვან ხუნდაძისადმი გაგზავნილი წერილი გვამცნობს: „პატივცემულო სილოვან! გიგზავნი ჩემს პატარა მოთხრობას, ცალკე წიგნად გამოცემულს და დანიშნულს მოზარდილ ყმაწვილთათვის, ასე ცამეტი წლიდან დაწყებული. მე ძლიერ მსურს შევიტყო, რა გაგებით, ინტერესით და შეგნებით წაიკითხავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოზარდილნი ქალნი თუ ვაჟნი და ამიტომ გთხოვთ, თუ ეს თქვენთვის შესაწუხებელი არ იქნება, წაუკითხოთ მესამე-მეოთხე კლასის მოწაფეებს და მაცნობოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ჩემი პირველი მოთხრობა მათზე, ვისთვისაც დაწერილია“.⁵⁵

55. ა. იოვიძე, „ი. გოგებაშვილი“ (დოკუმენტური მასალები), 1957, გვ.180

იაკობი დიდ დახმარებას უწევდა თურმე ხელმოკლე მოსწავლეებს, ნათესაებს, ზრუნავდა სახალხო მასწავლებლებზე, მათ წახალისებაზე და პირველი თანხაც თვითონ შეუტანია 150 მანეთის ოდენობით.

თავად უოჯახო, მარტოსელა კაცმა, სპეციალურად შემუშავებული რეჟიმის წყალობით, შეინარჩუნა არსებობა საზოგადო საქმისათვის, ბავშვების განათლების საკითხების დამუშავებისათვის. ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა იაკობ გოგებაშვილმა ერის სამსახურში და ბოლოს, ჯანგატეხილმა, სიკვდილის წინ ამოთქვა თურმე: „ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო“.⁵⁶

1912 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი. მისი ცხედარი მიაბარეს ჯერ დიდუბის პანთეონს, მოგვიანებით კი - გადაასვენეს მთაწმინდაზე.

იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო ლიტერატურას, როგორც გადამწყვეტ საშუალებას, ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების საქმეში: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა.“⁵⁷ ამიტომ „თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში სიყმაწვილის განყოფილება ცარიელია, ან სავსეა უნიჭო და უმარილო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას

56. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1974, გვ. 309

57. ი. გოგებაშვილი, „თხზულებანი“, ტ. II, 1954, გვ. 10

გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა, და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება. და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან⁵⁸. დიდი პედაგოგი და საბავშვო ლიტერატურის თეორეტიკოსი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს საბავშვო პერიოდულ გამოცემებსაც: „საბავშვო ჟურნალი, რომელშიც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებებით შეამკობს და სხვა ფაქტორთან ერთად სამშობლოს მოუმიზადებს ბევრს მხნესა და გულწრფელს მამულის-შვილს“.⁵⁹

იაკობ გოგებაშვილის პირველი ცდა, თუ მეთოდურად როგორ მიეწოდებინათ მოსწავლეთათვის მხატვრული საბავშვო ლიტერატურა, იყო „დედა-ენა“, შემდეგ - „ბუნების კარი“.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი ასე ახასიათებს მის მეთოდს: „ი. გოგებაშვილის შემოქმედებით მეთოდი პუბლიცისტურ-მხატვრულია, რაც ასე დამახასიათებელი იყო 60-იანელებისათვის“⁶⁰ (საზი ავტორისა).

„ი. გოგებაშვილის შეხედულებით“, ავტორი თვალწინ უხატავს ნორჩ მკითხველს ყველაფერს, რაც პატარა ბავშვისა-

58. იქვე, გვ. 10-11

59. „რევოლუციამდელი საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკა“, თბილისი, 1977, გვ. 15

60. იქვე, გვ. 100

თვის უსაყვარლეს საგნად ჰხდის მის აღზრდის ადგილს, მის ბავშვობის გარემოს...“⁶¹ იგი თვლის, რომ „საბავშვო მოთხრობებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმსა და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრეს საგნის ნაწილებს“.⁶² ამიტომ აუცილებელია საბავშვო მწერლობამ გამოიყენოს „ანალიტიური, ინდუქციური მეთოდი კონკრეტული, კერძო მოვლენათა დახატვა ბავშვის თვალწინა, მოთხრობითი ფორმა“.⁶³ აი რა ღირსებები უნდა ჰქონდეს საბავშვო ლიტერატურას: „ერთსაღიმიანე დროს (საბავშვო მოთხრობა) ბევრს ეუბნება წარმოდგენასაც, გონებასაც და გულსაც, რაც ზრდის იდეურ სასარგებლო მოქალაქეს: ხასიათდება მსუბუქი კილოთი, ცოცხალი მიმდინარეობით აზრებისა, ცხოვრების რეალური აღბეჭდით, მაღალი იდეურობითა და დახვეწილი ქართული ენით“.⁶⁴ მკვლევარების აზრით, გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებდა საბავშვო ლიტერატურის თემატურ მრავალფეროვნებაზე. ამ მხრივ იგი პირველ რიგში აყენებდა პატრიოტიზმს. მას სამშობლო ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარული ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მიაჩნდა.

ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება ბავშვთა ასაკობრივი თავისებურების მიხედვით სპეციფიკური სხვადასხვაობით წარმოგვიდგება. სულ პატარებისათვის შექმნილი

61. იქვე, გვ. 103

62. იქვე, გვ. ???

63. იქვე, გვ. 104

64. იქვე, გვ. ???

ნაწარმოებები ძალზე მცირეა მოცულობით, მარტივი და ხშირად დიალოგებზე აგებული. ლევ ტოლსტოის დარად, რომელიც ანდაზებიდან ქმნიდა მინი-მოთხრობებს, იაკობ გოგებაშვილიც წერს მოთხრობებს ქართულ ხალხურ ანდაზებზე, როგორცაა: „ვანო და ჩიტი“, „თავის თავის დასჯა“, „ქარი და საბძელი“, „მჩხავანა კატა“, „მერცხალი და მეცხვარე“, „ცალთვალა ირემი და მონადირე“ და სხვა.

აი, თუნდაც ერთი ასეთი პატარა მოთხრობა „სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი“.

„- ვანო, სკოლაში წადიო.

- ფეხები საშინლად მტკივაო.

- ვანო, მოდი, ერთი ლეკური დაუარეო.

- აბა ერთი კარგი ტაში დაუკარიოთ“⁶⁵

ფორმის სიმარტივე, სისხარტე, დინამიურობა დიალოგის საშუალებით წარმოდგენილი, მოთხრობას სახოვნებას მატებს, სწორედ იმას, რაც საჭიროა პატარა მკითხველისათვის. თხრობის დროს იგი მიანიშნებს ბავშვს, რომ მისი ეშმაკობა ერთ წამში გაიხსნება. ასე რომ, მოთხრობას უპირველესად დიდაქტიკური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება მხატვრულობას, თუმც მკითხველი ვერ ხედავს ვერც შემკითხველსა და ვერც მოპასუხეს, აშკარა ხდება, რომ შემკითხველი ვანოზე უფროსია და ზარმაც პატარას შეახსენებს სკოლაში წასვლის დროს, მერე კი მის ტყუილზე სწრაფად მოიფიქრებს გამოსაცდელ

სიტუაციას. ვანოს კი ავტორი ხასიათის უმარტივესი ფორმით გვიჩვენებს: ზარმაცი, გულუბრიყვილოც და, ამავე დროს გართობის მოყვარული პატარა.

ი. გოგებაშვილის პატარა მოთხრობებში ხშირად ფიგურირებს თვით პატარა, რომელსაც ნორჩი მკითხველისათვის მეტი მისაწვდომობის მიზნით „ვანო“ ჰქვია, ფრინველები, ცხოველები, მწერები, ყვავილები - ე.ი. ბავშვის ახლობელი სამყარო.

მოზრდილთათვის (უფრო სწორად, უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის) იაკობი ქმნის შედარებით დიდნაწილებიან, ვრცელსიუჟეტოან ნაწარმოებს. ერთი ამათგანია „ხატის მიზეზი“. მოთხრობაში გაცოცხლებულია ავტორის ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი, მშობლიური სოფლის, ახლობლების მონატრებით, ნოსტალგიით დასწავლული ბიჭუნას თავგადასავალი, რომელსაც წამლობას ვერ ურგებენ, მკითხავთა მეშვეობით კი დაადგინეს, რომ, უეჭველად, „ხატი არის მასზე გამწყრალიო“. და თუმცა სახლის პატრონი ძალიან კარგად ხვდებოდა, რა იყო კაკოს ავადობის მიზეზი, მაინც დაიჯერა მკითხავის ნათქვამი: „ოღონდ კი მოწყალე თვალით გადმოგვხედოს და მომირჩინოს ჩემი კაკო და ხვალვე მოვნახავ ვარიანელს ურემსა, დაუუსვამ ზედ და სალოცავად გავგზავნი ვარიანში“⁶⁶

ავტორი საოცარი მხატვრულობით აჩვენებს სიტყვის „ვარიანში გავგზავნიო“ - ძალას პატარა კაკოზე: „ერთი სიტ-

65. ი. გოგებაშვილი, „საგანძური“, თბილისი, „განათლება“, 1982, გვ.7

66. იქვე, გვ. 21

ყვით, უძლური მოლონიერდა, მომაკვდავი გაცოცხლდა და ეს საოცარი ცვლილება მოხდა ისე სწრაფად, რომ ერთი საათი არ გასულიყო ჯერედ სანატრელი სიტყვების გაგონების შემდეგ".⁶⁷

თუმც იაკობ გოგებაშვილი ღრმადმორწმუნე ქრისტიანია, მას უნდა აჩვენოს პატარა ბავშვის სულიერი სამყარო, აქ მოძებნოს მისი ნოსტალგიის ფსიქოლოგიური მიზეზები და არა ხატის გაწყობა. სოფელს დანატრებული პატარა მის საყვარელ ადამიანებს რომ მოშორდა, ვერ გაძლო. თუმცა უფროსებმა დაიჯერეს ხატის სასწაულებრივი ძალა, კაკომ კარგად იცოდა, რომ მისი წამალი სოფელში დაბრუნება იყო.

მოთხრობის დასასრულს პატარა მკითხველთათვის მეტი მისაწვდომობის მიზნით ავტორი ამხელს კაკოს ვინაობას: "... ეს პატარა კაკო ვიყავი მე და ეს ამბავი მოგონებაა სიყმაწვილის დროს შემთხვევისა და სხვა არაფერი".⁶⁸ ამრიგად ამ პატარა მოთხრობას თვით ავტორი მიიჩნევს ავტობიოგრაფიად.

როგორც მკვლევარი თ. ჯიბლაძე აღნიშნავს, „ი. გოგებაშვილი სამშობლოს სიყვარულს სიცოცხლესთან ათანაბრებს. მის ნაწარმოებებში მშობლიურ გარემოს მოშორებული ბავშვის სევდა ისე ძლიერია, რომ ავადმყოფდებიან და სიკვდილის პირამდე მიდიან. ყოველივე ამით გოგებაშვილი ცდილობდა თავისი პატარა კოლეგების გულში ჩაენერგა სიყვარული მშობლიური კუთხისადმი, კერისადმი, ოჯახისადმი, თავისი

67. იქვე გვ. ???

68. იქვე გვ. 23

ხალხისადმი. გაელვიძებიან მათში ეროვნული გრძნობა".⁶⁹

ი. გოგებაშვილის მოთხრობებიდან მკითხველი შეიცნობს ბუნების კანონიერებასთან ფრინველთა, მწერთა და სხვადასხვა ცხოველების მავნებლობა-სარგებლიანობას. მაგ.: როდესაც ავტორს უნდა ბავშვს გააცნოს ბელურა-ჩიტის რაობა, მას ორი სახით წარმოაჩენს: „თვალი გვეუბნება“, „ნასწავლი გონება“ კი სხვას ამტკიცებსო. ამრიგად, თუ თვალთ დანახული ბელურა - ჩიტი მავნებელია მოსავლისათვის, ჰპარავს მანდილოსანს ქათამსა და ბატის დასაპურებლად დაყრილ საკენკს, აფუჭებს ბალს და კენკავს გასაშრობად გაფენილ ხორბალს, ცოდნა, გამოკვლევა, აჩვენებს, როგორ უწყობს ბელურა ხელს ჭია-მატლებისაგან ჭირნახულისა და ხენერგების დაცვას. „თვალი გვეუბნება: ბელურა ჩიტი თქვენი მტერია, ზარალს გაძლევთ, სდიეთ და ჟლიტეთო, ცოდნა კი გვარწმუნებს: ბელურა შეუდარებელი მეველეა ჭირნახულისა, დიდი მოკეთეა თქვენი, სარჩელი გაუწიეთ და ამრავლეთო („ბელურა ჩიტი“)⁷⁰ - და რამდენადაც მწერალი ნორჩ მკითხველს ცოდნის უპირატესობის, მისი დაუფლების, შესწავლის პრინციპებით ზრდის და წვრთნის, არჩევანი თვით ბავშვმა უნდა გააკეთოს და მარტო თვალს არ დაუჯეროს, კარგად შეცნობილი საგანი ისე შეაფასოს. ბუნების მოვლენათა ასეთი ჩვენებით ი. გოგებაშვილი მეტად ოსტატურად ასერხებს უშუალოდ აათვისებინოს პატარა მკითხველს გარემო

69. თ. ჯიბლაძე, გვ. 55-56

70. ი. გოგებაშვილი „საგანძური“, გვ. 80

ცხოვრება, ბუნების კანონი-დახმარება, შებრალება, მოვალეობის შესრულება, ბრძოლა, ძალმომრეობით გამოწვეული უსამართლობა, რათა შემდეგ ბავშვმა კარგად გაიგოს ასეთივე ურთიერთობანი, ბუნებრივად გადმოტანილი ადამიანზე.

თერგდალეულთათვის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ადამიანის სოციალური ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლება, დამყარება „შრომის სუფევისა“. ი. გოგებაშვილი დარწმუნებულია, რომ ასეთი პირობები თვით უნდა შექმნას თითოეულმა მშრომელმა („სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდეეს“, „პატიოსანი და უპატიოსნესი“). მაგრამ მოქალაქისათვის ყველაზე საჭირო და ცხოველმყოფელი გრძნობა ი. გოგებაშვილის, როგორც თერგდალეულის გაგებით, არის მამული-შვილური გრძნობის გაღვივება-გამომუშავება. ბავშვის აღზრდა უნდა დაგვირგვინდეს მისი ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. სწორედ ეს გასდევს მთავარ ხაზად მთელს მის შემოქმედებას და, განსაკუთრებით „ისტორიულ მოთხრობებს“, რასაც თვით გოგებაშვილი აძლევდა მაღალ შეფასებას რეცენზიაში საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ შესახებ: „აქ საჭიროა და სასარგებლო არა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა, არამედ ცალ-ცალკე ეპიზოდების თხრობა ცოცხლად და მარილიანად“. ⁷¹

71. „რევოლუციამდელი საქმაწვილო ლიტერატურის კრიტიკა“, თბილისი, 1977, გვ.20

ამის საილუსტრაციო შევარჩიეთ რამდენიმე მოთხრობა: „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „გლეხი ბოსტაშვილი“ და „იავნანამ რა ჰქმნა?“

„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ გამოქვეყნებისთანავე მკითხველთა ინტერესის ობიექტში მოხვდა, მაგრამ ამას მოჰყვა კრიტიკოსთა შენიშვნებიც. 1897 წელს გიორგი წერეთელმა „კვალის“ ფურცლებზე კრიტიკის ქარცეცხლში მოაქცია იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო ისტორიული მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. იაკობმაც პასუხი არ დააყოვნა: „უძლეური ბოროტება“ - ასე უწოდა ამ გამომხატურებას: „რას უწუნებს რედაქცია მოთხრობას? იგი ცდილობს მკითხველს ჩააგონოს, რომ თემა მოთხრობისა შეუძლებელია, რა დასავჯერებელიაო, რომ თორმეტი წლის ინგილო გოგოს, ისიც გლეხის შვილსა, გამოეჩინოსო იმდენი უშიშროება, რომ ზევიდან, ხიდგან, დაეზილოს ერთი ზღუჯა ქლიავი მეფე ერეკლესთვის, რომელიც მას ჰგონებია ყიზილბაში, სპარსელი, რადგან ქართულის მაგიერად თავზედ სპარსული ჩაღმა ხურებია!“ ⁷² - იმეორებს იაკობი რეცენზენტის შენიშვნას და აქვე ასაბუთებს, თუ რატომ აიღო ეს მასალა მოთხრობისათვის, რატომ უნდა იყოს იგი შესაძლებელი. პირველი საბუთი, როგორც თვით მომხდარი ფაქტი, ალექსანდრე ორბელიანს მოუყვანია თურმე „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც უნდა გაეგონა თავისი დედის თეკლა ბატონიშვილისაგან, მეორე, „როცა ხალ-

72. იქვე გვ. 56-57

ხის თქმულება და სამეგო გვარეულობის გადმოცემა ერთის მხრივ ემოწმებიან რომელსავე ამბავსა, არ შეიძლება არ ვირწმუნოთ იგი ჩვენ და არ მივიჩნიოთ ნამდვილ ისტორიულ ფაქტად⁷³. მესამეც, იაკობი ამტკიცებს, რომ ქართველი ქალი ხშირად იჩენდა გაბედულებას მტრის მიმართ, მით უმეტეს, რომ თათრულქუდიანი კაცი დაინახა. რაც შეეხება ასაკს, სწორედ მანდილოსანთა აზრით, ასეთი რამე მხოლოდ თერთმეტ-თორმეტი წლის გოგოს შეეძლო გამოიჩინოსო“, „რადგან ამ ხნის გოგო, განთავისუფლებული ბავშვური სიმსდილისაგან, ჯერ ჩამდგარი არ არის ქალწულებრივის მორცხვობაშიო“⁷⁴. გარდა ამისა, „საინგილო, როგორც განაპირა კუთხე ხშირად იყო ბრძოლის თეატრად“, სწორედ აქ გახდა ქალი უფრო ძლიერი, გაბედული“. ახლაც ინგილო ქალი უშიშრობით ბევრად მაღლა დგას არამცთუ ქართველ ქალებზედ, არამედ ლეკის ქალებზედ“⁷⁵. და თუ კრიტიკოსებს უკვირთ, რომ ეს ინგილო გლეხის შვილია, უნდა იცოდეს, რომ „ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა“⁷⁶.

და, ბოლოს, ასკენის მწერალი: „ვგონებ, რომ ბელეტრი-

სტულს ნაწარმოებს სინამდვილის მხრივ ამაზედ მეტი არ მოეთხოვება არც ჩვენში და არც სხვაგან. ყველა შეგნებულს მკითხველს მოეხსენება, რომ ისტორია მოგვითხრობს მას, რაც იყო, მოხდა, ბელეტრისტიკა კი გვიხატავს მას, რაც შესაძლებელი იყო წინათ, ან ახლა, ამა თუ იმ გარემოებაში. ბელეტრისტული შესაძლებლობა ჩვენგან მოთხრობილი ამბების იმიტირაც ძლიერდება, რომ მოთხრობა არის აშენებული ისტორიულს თემაზედ, ფაქტზედ“⁷⁷.

იაკობი ცდილობს ახსნას ამ მოთხრობის დაწერის მიზეზიც, ამ ბოლო დროს ბევრნი ჩასჩინებენ ცალკე მეგრელებს, ცალკე ინგილოებს, რომ „ქართველები არა ხართო“. „სწორედ ხსენებულმა უდიერმა და ყოვლად უსამართლო ტენდენციამ მაიძულა მე დამეწერა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. მოთხრობაში მე მსურდა, თანახმად საინგილოს წარსულისა და აწმდგომისა, ხმა მაღლა მეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა საერთო მეფისადმი. ლიტერატურულ წერილს ვამჯობინე ბელეტრისტული ფორმა, რადგან ეს უფრო ცოცხლად და ძლიერად მოქმედებს მასზე და დიდხანს რჩება მის გონებასა და სახსოვარში. მე იმედი მაქვს, რომ ერთი წლის განმავლობაში ბევრი არ დამრჩება საინგილოში ქალი თუ კაცი, რომელსაც ჩემო მოთხრობა არ მოესმინოს და არ დაეხსომებინოს, სამწუხაროდ ღირსეულთა მეუღლეთა“⁷⁸.

ასე რომ, ამ საბავშვო მოთხრობას დიდებისთვისაც ჰქონდა

77. იქვე, გვ. 63-64

78. იქვე, გვ. 67

73. იქვე, გვ. 51

74. იქვე, გვ. 58

75. იქვე, გვ. 58

76. იქვე, გვ. 60

მნიშვნელობა, მაგრამ ბავშვის მაგალითზე უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგინა ავტორმა აზრი და იდეა ქართველი ხალხის ერთიანობისა.

„გლეხი ბოსტაშვილი“ ერთგვარად აგრძელებს წინა მოთხრობაში მინიშნებულ საკითხს: გლეხი ადამიანის ღირსებას უწინდელ დროში. თავადმა ანდრონიკაშვილმა, მეფეს ცხენი რომ მოუკლეს, უპატივცემლოდ საკუთარ ცხენზე შემოჯდომა შესთავაზა, „შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი ცხენიცაო!“ – მრისხანედ მიაძახა ერეკლემ⁷⁹. აი მაშინ უბრალო ქიზიყელმა გლეხმა ბოსტაშვილმა უყოყმანოდ უბოძა ბედაური მეფეს: „ჩემი სიკვდილი არაფერია, შენი დალუპვა კი ქვეყანას უბედურებას მიაყენებსო!“⁸⁰ ამ პატარა მოთხრობაში იაკობი ზნეობრივ ფაქტორზეც ამახვილებს და ზრდილი გლეხის პირით გამოთქვამს, როგორი უნდა იყოს ქვეშევრდომის დამოკიდებულება მეფისადმი.

ქართული საბავშვო ლიტერატურის შედევრად კი მაინც იაკობ გოგებაშვილის მშვენიერი მოთხრობა „იავნანამ რა ჰმქნა?“ უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ყოველი ქართველის საყვარელ საკითხავ წიგნად იქცა. მოთხრობა თითქოს სადილო ნაწარმოების ფორმითაა აგებული. იგი შედგება თავებისაგან, რომელთა სათაურებიც მკითხველის წინასწარ განაწყობს მოთხრობილის შინაარსის აღსაქმელად: „სამშობლო ღვინისა“,

79. ა. გოგებაშვილი, „სავანბური“, გვ. 987

80. იქვე, გვ. 387

„ლეკები კახეთში“, „ქეთოს იტაცებენ“, და სხვ. გარდა ამისა, ავტორი აქ ბავშვისათვის გასაგები ენით კი არ ცდილობს წერას, ჭკმმარიტი ბელეტრისტის მოქნილი კალმით აყალიბებს თითოეულ პწკარს. ვაშლოვანის წარსული, მის მცხოვრებთა სახეები, თავად ქართველადის ოჯახი, ერთგვარი რომანტიკული გადახვევაცაა წარსულისაკენ. მკითხველი გრძნობს, როგორი იყვნენ ძველად ქართველები. „ეს სასახლე ეკუთვნოდა თავად ზურაბ ქართველადეს, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრითა და პურადობით... ამასთან მაგდანას ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით... ზურაბმაც მშვენივრად იცოდა თარზე დაკვრა. როცა ქმარი უკრავდა თარზე და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზე უკეთესს ვერას გაიგონებდა.“⁸¹

მწერალი ნელა-ნელა უქმნის მკითხველს საფრთხის განწყობილებას, რაც ქართველადების ოჯახს ემუქრება. ესაა ლეკების თარეში, გატაცებანი, ტყვეებით ვაჭრობა. ამისი მსხვერპლი გახდა სამი წლის გოგონა ქეთო, რომელიც მოულოდნელად გაიტაცეს ლეკებმა და დაღესტანში მიჰყიდეს უშილო ნაიბს. ამ უკანასკნელმა შეიყვარა პატარა ქეთო და იგი ნამდვილ ლეკის ქალად აღზარდა. თუმცა მშობლებმა მიაკვლიეს შვილის ადგილსამყოფელს და ხვეწნა-მუდარით შეევედრნენ ნაიბს მის დაბრუნებას, მამობილმა უარი განუცხადა. და მაშინ იგივე ფორმას მიმართა თვით ზურაბმა, მოიტაცა საკუთარი ასული

81. იქვე, გვ. 416

და ამით ქეთო ახალი ტრაგედიის წინაშე დააყენა. პირველად განცდა ადრეულ ასაკში მოხდა და ქეთომ ბავშვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მალე გადაიყარა გულს, შეეჩვია ახალ სამყაროს. მეორე უფრო მტკივნეული აღმოჩნდა 13 წლის გოგონასათვის. „ბავშვი აწმდგომით ცხოვრობს, ის შეუწყვეტლივ, ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორციით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდასა, წინსვლასა და ბედნიერია ამ გრძნობით.“⁸² მეორედ კი „მას განუწყვეტლივ ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები თვალებიდან და ისე ოხრავდა, თითქოს ლამობს, გულ-ღვიძლი თან ამოატანოსო“.⁸³ ამან საშინლად დაალონა მამა, დედა კი მაინც ლამობდა მშობლიური ენის სიტკბოთი წარსულისაკენ მოებრუნებინა გოგონა, მაგრამ - ამოდ. ქეთოს აღარ ახსოვდა ქართლი, უცხოობდა და ყველა თავის მტრად მიაჩნდა.

და აი ბოლო თავში ავტორი მიმართავს ორიგინალურ მხატვრულ ხერხს: იმედგაწურული დედის უკანასკნელ ხერხს, უმღეროს უკვე მოწიფულ გოგონას ბავშვობაში მისთვის ესდენ ძვალსა და რბილში გამჟღადარი, შემდგომად საყვარელი „იავნანა“. მაგდანამ არ იცის სიმღერის ჯადო ძალა, მაგრამ გუმანით, გენისა და დედური ალლოს მეშვეობით სწორედ მას მიმართავს. ავტორი განმარტავს „იავნანას“ მნიშვნელობას, რომ იგი უბრალო აკვნის სიმღერა როდია მხოლოდ, ეს სიმღერა ერის გენის ფესვებიდანაა ამოზრდილი. წარმართულ ეპოქაში

82. *იქვე* გვ. 919

83. *იქვე* გვ. 423

ამ ჰანგს ნაყოფიერების ქალღმერთს „დიდ დედო ნანას“ უმღეროდნენ, მასვე მიართმევდნენ იას, ვარდებს. მოგვიანებით აკვნის სიმღერად ქცეული, დედა-შვილს შორის მაგიური ძალის გამოხატულებაა. მაგდანას მშვენიერმა ხმამ მას მეტი გამომხატველობა მისცა და აი ი. გოგებაშვილი დიდი ოსტატობით წარმოაჩენს შედეგსაც: „ცხადი იყო, რომ რალაცას იგონებდა და ვერც კი ეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა... უცებ წამოვარდა ქეთო ტირილით, დაიძახა სანატრელი ხმით: „დედავ!“ მსწრაფლ მივარდა მაგდანთან, მოეხვია ორივე ხელით და მხურვალედ დაუწყო კოცნა“⁸⁴

„მოთხრობის მთელი ძაფები ისეა გაბმული, რომ სხვადასხვა მიმართულებიდან მომავალი ყველა ის ფინალში ერთ წერტილზე მაგრდება, ერთ ფოკუსში იყრის თავს. ეს ფინალი ადამიანის არსების მთელი ცვლილებაა. კერძოდ, ქეთოში ადრიანი ბავშვობის მთლიანი მდგომარეობის გაცოცხლება, რაც მხოლოდ იავნანამ შეძლო და რის ხაზგასმასაც ემსახურება მთელი სიუჟეტის განვითარება“⁸⁵ – წერს მკვლევარი ზოსიმე ხოჯავა და ბოლოს ასკვნის: „რომ „XIX საუკუნის დიდმა ქართველმა პედაგოგმა იშვიათი მიხვედრილობით ჩაიხედა ადამიანის სულიერი ცხოვრების

84. *იქვე* გვ. 426

85. „იაკობის სამრეკლო“, გვ. 210

სიღრმეში და იქ მის ძირითად საყრდენად სწორედ იგივე დაინახა, რაც დღეს განწყობის სახით მეცნიერული ფსიქოლოგიის დადებით შესწავლის საგნად იქცა და ამ შესწავლამაც თავისი პირველი დასაბამი კვლავ ქართველ მეცნიერულ ფსიქოლოგიაში ჰპოვა.“⁸⁶

იაკობ გოგებაშვილი ინტერესით ეკიდებოდა სხვა ენებიდან თარგმნა-გადმოკეთებას. მრავალი ასეთი ნაწარმოები, სწორედ უაღრესად შესამებული ქართულ სინამდვილესთან, მიაწოდა მან პატარა მკითხველს.

იაკობ გოგებაშვილმა ღირსახსოვარი კვალი დააჩნია ქართული საბავშვო ლიტერატურას, იგი იყო თავად საბავშვო მწერალი, დიდაქტიკოსი, საბავშვო კრებულების დამაარსებელი და ღრმად განსწავლული პუბლიცისტი, საბავშვო ლიტერატურის კრიტიკოსი.

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „ხატის მიზეზი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „იანანამ რა ჰქმნა?“, „უსუნო ყვავილი“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“, [ქრესტომათია], თბილისი, 1998, გვ. 162-206) (ი. გოგებაშვილი, „საგანძური“, თბილისი, 1982).

86. იქვე, გვ. 224

2. მოიფიქრეთ, როგორ შეუწყო ხელი ი. გოგებაშვილის თეორიულმა შეხედულებებმა და საბავშვო თხზულებათა შექმნამ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ცალკე დარგად ჩამოყალიბებას?

3. დაასახელეთ ი. გოგებაშვილის სასწავლო სახელმძღვანელოები და აღნიშნეთ მათი როლი ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებაში?

4. ძირითადად თემატიკურად რა ასაკის მკითხველთათვის წერდა ი. გოგებაშვილი საბავშვო ნაწარმოებებს?

5. დაასახელეთ ი. გოგებაშვილის რომელი ნაწარმოებები მოგწონთ და რატომ?

6. როგორია ი. გოგებაშვილის თხზულებათა ენა და რით უახლოვდება იგი ცოცხალ ხალხურ მეტყველებას?

ვაჟა-ფშაველას საბავშვო შემოქმედება

ვაჟა-ფშაველა, ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი, დაიბადა 1861 წლის 14 ივლისს ფშავეში, სოფელ ჩარგალში. მამა ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის მედავითნე პავლე რაზიკაშვილი იყო, დედა-ბარბარე დავითის ასული ფხიკელაშვილი. 1871-1877 წლებში ვაჟა სწავლობს თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ პერიოდში სწავლისადმი დიდი დაინტერესების გამო კითხულობს ბევრს. 1877-1879 წლებში ვაჟა-ფშაველა აგრძელებს სწავლას თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში. 1879 წლიდან იგი უკვე წერს ლექსებს, კორესპონდენციებს. ამავე წელს აბარებს გამოცდებს და ირიცხება გორის საოსტატო სემინარიაში. არდადეგების პერიოდში იგი იმყოფება სოფელ ჩარგალში, იწერს ლექსებს, ზღაპრებს, ამბებს. ვაჟა-ფშაველას ლექსები და კორესპონდენციები „ლ. რ-ზ-კ-ლი-ს“ ფსევდონომით ქვეყნდება გაზეთებში „ივერია“, „დროება“, ჟურნალ „იმედში“. 1882 წელს ვაჟა ამთავრებს გორის საოსტატო სემინარიას და პედსაბჭოს დადგენილებით საჩუქრად იღებს კომენსკის „დიდაქტიკას“ და „ახალ აღთქმას“. იმავე წელს ვაჟა-ფშაველას მასწავლებლად ნიშნავენ სოფელ ამტნისხევში (ერწოში) - ტოლანთსოფელში - კავკასიაში ქ.შ.წ.კ.გ საზოგადოების სკოლაში, სადაც მუშაობს 1883 წლის აპრილამდე. 1885 წლის ივნისში ქვეყნდება ვაჟა-ფშაველას პირველი საბავშვო მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (I

და II თავი, ჟ. „ნობათი“, №3,4,5). იგი ერთხანს მუშაობს შინამასწავლებლად სოფელ ოთარშენში, ო. ამილახვრის ოჯახში, დიდთონეთის სკოლაში. მიუხედავად ვაჟას მიმართ მოწყობილი ინტრიგებისა და წინააღმდეგობებისა 1888 წელს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოება იღებს თონეთიდან 180 კაცის ხელმოწერილ თხოვნას სკოლაში მისი დატოვების შესახებ. მიუხედავად ამისა ამ დროიდან მოყოლებული ვაჟა ფაქტიურად უკვე ჩარგალშია, მაგრამ სახელმწიფო სამსახურისაგან მოწყვეტილი, ოჯახური ყოფის მიძიმე პირობებში აგრძელებს ფართო შემოქმედებით საქმიანობას.

1886 წლიდან ვაჟა პირველად აწერს ფსევდონიმად ვ.ფ. - ლა „ნაკვესებს“ გაზეთ „ივერიაში“ (№186, გვ.2).

1889 წლის აპრილში გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება მისი მოთხრობა „ხმელი წიფელი“, ხოლო დეკემბრიდან ვაჟა-ფშაველა, საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში“ ბეჭდავს რა ლექსს „ჯეჯილი“ და მოთხრობას „ჩვენი მამალი“, ხდება ამ ჟურნალის აქტიური კორესპონდენტი.

ვაჟა-ფშაველას ლექსები, პოემები, მოთხრობები, „ივერიის“, „კვალის“, „დროების“, ჟურნალების „თეატრის“, „ნობათის“, „ჯეჯილის“, „ნაკადულის“ და სხვათა მეშვეობით მალე დიდ პოპულარობას იხვეჭს მკითხველში.

1889 წლის დეკემბერში ცალკე წიგნად გამოდის ვაჟას „თხზულებანი“ (ლექსები, პოემები და მოთხრობები) (ქ.შ.წ.კ.გ.ს გამოცემა) ხოლო 1911 წელს ქ.შ.წ.კ.გ. ს ჭიათურის განყო-

ფილებამ გამოსცა პირველად ვაჟას საბავშვო ნაწარმოებების კრებული „სამი საყმაწვილო ამბავი“ (რვა სურათითა და ავტორის მოკლე ბიოგრაფიით).

მეტად ნაყოფიერია ვაჟა-ფშაველას საბავშვო შემოქმედება: ლექსები, პოემები, პროზა, დრამატურგია.

ბოლო წლებში ვაჟა-ფშაველა მძიმედ დაავადდა. განსაკუთრებით გაუარესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა 1915 წელს, ივნისის ბოლოს, ვაჟა-ფშაველა მოათავსეს წმინდა ნინოს ლაზარეთში.

1915 წლის 28 ივლისს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ აიღო მისი ნიღაბი ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადაასვენეს ლაზარეთიდან პოეტი. მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილმა შეამკო ვაჟას კუბო დაფნის გვირგვინით. გვირგვინის შუაშია გადატეხილი კალამი წარწერით: „ვაჟა-ფშაველას ქართველი ერისაგან“.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართული საბავშვო პროზა ფაქტიურად ცალკე დარგადაა ჩამოყალიბებული. მის შექმნა-ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა განმანათლებლებმა, კერძოდ იაკობ გოგებაშვილმა. ვაჟა აგრძელებს ამ დიდი ტრადიციებს თავისი საბავშვო შემოქმედებით. ვაჟას საბავშვო, თუ მოზრდილთათვის დაწერილ ნაწარმოებებისათვის, ღრმა ფილოსოფიური შინაარსით, ორიგინალური ხედვით, ენობრივ-სტილისტური თავისებურებებითა და მკვეთრი, „ჰორიზონტალური სიუჟეტით“ დიდი შემეცნებითი და

აღმზრელობითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის, ამიტომაც, რომ მისი თხზულებები ორგანული ნაწილი გახდა კლასიკური ქართული საბავშვო ლიტერატურისა.

თვით მწერლისა და შემოქმედისათვის საბავშვო ნაწარმოებს არსებითი ფუნქცია ეკისრება: „ახალთაობის წესიერად აღზრდისათვის საჭიროა დედაენაზე სწავლება, დრომდის მაინც აუცილებლად, სამშობლოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა“ - ⁸⁷ („წერილი მეგობართან“), რადგან „პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამართის კარამდე საყვარელ საგნად რჩება“ - ⁸⁸ („შავ-ბნელი ამბები“). „პირველი აღზრდა ოჯახიდან იწყება. იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს; იგი სთესავს თესლს ყმაწვილის გულში, ხოლო სკოლა ჰფარცხავს, მამულის ამოსულს თესლს ჰმკის, ლეწავს და ანიავებს“, - ⁸⁹ („წერილი მეგობართან“). აქვე კარგად გრძნობს ვაჟა, რაოდენ საფრთხილოა მოცემულ საგანზე წერა, რათა მან ის მრავალსახოვნება გამოავლინოს, რაც აუცილებელია ნორჩი თაობის შემეცნებისათვის: „ყველაფერი, რასაც ბუნებრივობა ეტყობა: სიძულვილი და სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხადლე, ქველობა და სიძუნწე და სხვადა სხვ. იქ უსათუოდ პოეზიაა. მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივს კანონს არ უმტყუენოს. წესიერება ბუნებისა დაიცვას - ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა

87. ვაჟა-ფშაველას ავტორიზებული და გამართკვაშები, თბილისი, 1988, გვ.10

88. იქვე, გვ. 55

89. იქვე, გვ. 56

ვსტქვათ - ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღ-
მდეგიაო... ყველა ვნებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს,
თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭა-
ბუკისა და სიკვდილისა. ყველა ეს მხედველობაში უნდა ვიქო-
ნიოთ. იმიტომ არიან უკვდავნი ქმნილებანი უკვდავთა
აფტორთა, რომ ამ წესს არა ჰღალატობენ იმ ნაწარმოებთა
მთხზველნი“⁹⁰ („სად არის პოეზია“). ამ კანონს მიჰყვება ვაჟა-
ფშაველაც, როგორც საბავშვო მწერალი. ამიტომ მის ნაწარ-
მოებთა მოქმედების ადგილი იგივე მთაა, მცენარეთა თუ ცხოვე-
ლთა სამყაროთი, დიდი და პატარა ადამიანებით, ჩვეულებრივი
თუ არაჩვეულებრივი ამბებით, როგორც პატარების, ისე მოზ-
რდილთათვის დაწერილ თხზულებებში.

1951 წელს გიორგი ლეონიძის თაოსნობით საბლიტგამმა
გამოსცა ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობების“ შესანიშნავი
კრებული, რომელიც დასურათებულია დიდი ქართველი მხა-
ტვრის ელენე ახვლედიანის მიერ. აქ რედაქტორმა დიდი გუ-
ლისყურით, ღრმა ანალიზით შეარჩია ვაჟას საბავშვო ნაწარ-
მოებები, რომლებიც მანამდე ქვეყნდებოდა ცალკ-ცალკე,
ჟურნალ-გაზეთებსა თუ შემდეგ გამოცემებში. მრავალფე-
როვანია ვაჟა-ფშაველას საბავშვო შემოქმედება: ლექსები, მოთ-
ხრობები, კომედიები. ვაჟას საბავშვო პოეზიაში კვლავ ფიგუ-
რირებს თემა ბუნებისა და პატარა ადამიანის ურთიერთობისა,
ობლობის სიმწარე-ტკივილები, მცენარეები, ფრინველები და

90. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964, გვ.297

ცხოველები, რომლებიც იცინიან, ტირიან და განიცდიან ბედის
მუხთლობას, თუ ადამიანის ბოროტ-მომხმარებლურ დამო-
კიდებულებას მათ მიმართ. ვაჟას ლექსში „ობლების სიმღერა“
ისეა აღწერილი დედ-მამის დამკარგავი შვილების ტრაგედია,
რომ იწვევს ალალი შეცოდების გრძნობას.

„არ ვიცი, სადღა წავიდეთ,
ვის არე-მარე ვთელოთა,
ვინ შეგვიბრალებს, ვინ გვიშველს,
ბეჩავთ, ხმელთ ანწლის ღეროთა?“⁹¹

ყველასათვის ნაცნობი ლექსი „წიწილა“ თავის პოეტური
სისადავითა და დინამიზმით თავიდანვე შეიყვარა მკითხველმა.

„ქორმა წიწილა წაილო,
იძახდა „წიაგ-წიაგსა“,
წიწილის თეთრი ბუმბული
ველად გაჰქონდა ნიაგსა...“⁹²

პატარა ნიბლია უსახკლარობას დაუდარდიანებია,
შვილებსაც დაშორებია და ახლა ანდერძს სტოვეებს:

„აქვე დამმარხონ, ამ მაღალს მთაზე;
ნაზის იისა ტურფა კესანი,
არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი,
არ დაივიწყო, შენი კვნესამე!“⁹³

სამოციანელთა ხაზი გრძელდება ვაჟას მიმართვაში პატარა

91. იქვე, ტ. I, გვ.65

92. იქვე, გვ. 83

93. იქვე, გვ. I 13

ბავშვისადმი, იგი არიგებს მომავალ თაობას, იყოს ვაჟკაცი, თავი შეაკლას, თუ ვინმე ავად უხსენებს დედას, იყოს სამშობლოს დარაჯი და ქართული არ დაივიწყოს, ოჯახური გარემოთი და მეგობრებით გარშემორტყმული ცხოვრობდეს:

„რა რძე მოხუცის ვაზისა,
შუბლს შეგისურებთ ყველასა,
ჰხარობდე, ხარო-ირემო,
თვალი დაუდგეს მელასა.“⁹⁴

(„ბავშვს“)

თავისი სილალითა და მისაწვდომობით საინტერესოა „კურდღლის სიმღერა“, „ობოლი ბარტყები“, „მერცხლის სიმღერა“ და სხვა.

ულამაზეს სახეებს ჰქმნის ვაჟა-ფშაველა თავის საბავშვო ნაწარმოებში „ტყის კომედია“, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1911 წელს ჟურნალ „ნაკადულში“. კომედია ორმოქმედებიანია და ტყის ბინადართა ცხოვრების ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს, თუ როგორ დაისაჯა თხილის ორმოს ქურდი სიმშილა, რომელიც მუდამ მხიარულობს, მაგრამ არც გარჯა იცის და არც სხვა თაგვების პატივისცემა. ავტორი მიანიშნებს მკითხველს იგავური, ცხოველთა ფორმით, რომ უნდა დაისაჯოს ქურდი და ზარმაცი. ამავე დროს უშუალოდ და იუმორით ხატავს თითოეულ თაგვს, მამასახლისს, მხლებლებს, დათვს, მათ არქმევს ადამიანთა სახელებსაც: თებრონე, კეკელა, სონა...

94. იქვე, გვ. 214

კომედია პროზად არის დაწერილი და ვაჟს ერთ ბოლო საბავშვო ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს ეს არის პირველი საბავშვო პიესა, რისი ტრადიციაც მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში გაგრძელდება.

ვაჟა-ფშაველას საბავშვო პროზაული ნაწარმოებები თემატურად ასე წარმოგვიდგება: 1. მცენარეთა, ცხოველთა თუ ფრინველთა სამყარო; 2. ბავშვი და ბუნება; 3. ბავშვები, დიდები და ბუნება.

თითოეული თემის ქვეშ გაერთიანებული ნაწარმოებები დანარჩენებთან კონტაქტს მთლიანად არ არის მოკლებული, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ სურათს ქმნის. ზოგ საბავშვო მოთხრობას ავტორი „ზღაპარს“ უწოდებს, ზოგს - „ლეგენდას“, ზოგს - პირდაპირ „საბავშვო მოთხრობას“. ზოგი ნაწარმოები, მსგავსად ცხოველთა ზღაპრებისა, უშესავლოდ იწყება და ასევე მარტივად თავდება, ზოგს სენტენციური დარიგება მოჰყვება, ზოგს - რიტორიკული კითხვა. საბავშვო ნაწარმოებთა სათაურებიც მეტად მარტივია: „სათაგური“, „პატარა მწყემსის ფიქრები“, „შაშვის ჭკუა“, „ძალღმა ციკანი მოიგო“ და სხვა.

მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო ერთიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ ესმით ასე კარგად ერთმანეთისა, საუბრობენ, ჩხუბობენ, განცდებს და ფიქრებს უზიარებენ. მხოლოდ ადამიანს დაჰკარგვია მათი ნაფიქრნააზრევის, ნათქვამის გაგების, კვლისა და დევნის წყურვილს

დამორჩილება. ამიტომ აღარაფერი ესმის ბუნების ერთ ნაწილს ადამიანისა, მაგრამ ყველასი კი არა, ჰუმანიზმის გრძნობა ზოგში ღრმა ფესვებს იდგამს, სწორედ ამით ქვეშეცნეულად იცავს ბუნების შვილებს, იღებს მათგან მადლიერებასაც („სათაგური“, „შაშვის ჭკუა“, „ხმელი წიფელი“). გარდა ამისა, პატარა, უცოდველი ბავშვი, კაცობრიობის უცოდველობის პერიოდის ერთგვარი განსახიერება, უფრო ადვილად ამყარებს კავშირს ბუნებასთან, თავისი ენით ესაუბრება და ბუნებაც პასუხობს მას. სწორედ ამიტომ ეფერება ვაჟა პატარას პირით მცენარეთა, ცხოველთა თუ ფრინველთა სამყაროს ყველა წევრს და ამასვე ასწავლის ნორჩ მკითხველს: არ დაივიწყონ, საიდან მოდიან, ვისი ნაწილი არიან, როგორ აღიქვან ბუნება.

მოზრდილი ადამიანისათვის ხშირად გაუგებარია პატარა, რადგან ეს უკანასკნელი ჰგავს კიდეც მას, უკვე დავიწყებულს, და არა ჰგავს პრაქტიციზმის უქონლობით, სილაღით, მიაშიტობით. ამიტომ არაიშვიათად უფროსები წარმოგვიდგებიან როგორც მკაცრი, გაუგებარი, უგულო ადამიანები. სწორედ ასე ბუნების შვილთა და პატარის თვალთ ხედავს ვაჟა მათ და ასეთივეს აჩვენებს თავის საბავშვო ნაწარმოებებში („სათაგური“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „კურდღელი“, „ქართველი კაცი, ღვინის ქვევრი და ბოჩკა“, „ლექსოს სამწყემსო“, „ქუდოვანი“ და სხვა).

1. მცენარეთა, ცხოველთა თუ ფრინველთა სამყარო. ჩვენის აზრით ამ თემის ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს ვაჟას

საბავშვო პროზაში შემდეგი ნაწარმოებები: „ჩვენი მამალი“, „მტრედები“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მწყემსი“, „კურდღელი“, „დათვი“, „მელია-სერეფენია“, „გველი და ცხვარი“, „ორაგულის ცხოვრება“, „ქუჩი“, „ია“, „მთის წყარო“, „კოდალა“, „ჩნიკთა ქორწილი“.

ვაჟა-ფშაველას მიერ საბავშვო მოთხრობებში წარმოდგენილი სამყარო დასახლებულია უამრავი ფრინველითა და ცხოველით, დიდი და პატარა მცენარეებით, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან კიდეცა და განსხვავდებიან. საერთოა ღვთით ბოძებული სიცოცხლით დატკობის სურვილი, ხანმოკლე არსებობის გალამაზება, მაგრამ ზრუნვა მის შენარჩუნებაზე „ფიქრი შთამომავლობაზე“. ყოველივე ამას კი მფარველობს ტყის მცხოვრებთათვის თვით ტყე: „არ ვიცი, გივლიათ თუ არა დიდს, ულრან ტყეში? შორიდან ხომ დაგინახიათ შავად დაბურული, დაფიქრებული აბა, კარგად დააკვირდით... რას მოგაგონებთ იგი?“

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი - მეტისმეტად დაღონებულს, დადარდიანებულ ადამიანს ვამსგავსებ, რომელიც ისეთ ყოფაშია ჩავარდნილი, რომ მუდამ წამს რალაც საშიშროებას, მტრის თავდასხმას მოელის, მაგრამ დგას შეუპოვრად, გულმაგრად და ადგილიდან ფეხს არ იცვლის... თითქოს კიდეც ლოცულობს, ღმერთს მფარველობას სთხოვს...

რა აშინებს, რა აღონებს, რადაა მწუხარე? ჰკითხეთ, რას გიპასუხებთ. აი, მისი პასუხი: მე ვარ მამა ერთის მთელის განუ-

ყოფელის ოჯახისა, მე მყავს აუარებელი შვილები. ფრინველნი თუ ცხოველნი, უკანასკნელი ბუზიც კი ჩემის გულ-მკერდით არის აღზრდილი, არ ვიტყვი ტურფა, რქაბოჯოჯღა ირმის სიცოცხლეს: პირველის სიცოცხლევ შიშს ბადებს ჩემს გულში: „ვაი, თუ მომიკლან, ვაი თუ მომისპონ სიცოცხლევ. მგლის სიცოცხლევ კი, რომლის მოსპობასაც თქვენ, ადამიანები, ესწრაფვით, გულს მიღწეწავს. მახინჯი შვილია, მაგრამ ძლიერ მიყვარს და მიტრიალება. პატარა წკეპლაც რომ მოიჭრას, ისიც გულს მატკიებს, ჩემი ოჯახის წევრნი ზოგნი უდროოდ იხოცებოდნენ, ჭლექდებიან, ხდებიან და რამდენი კიდევ კაცის ხელით ისპობა!“⁹⁵ („კოდალა“) ავტორი ხატოვნად გადმოგვცემს ტყის ტრაგედიას, რომელსაც გაუმადლარმა კოდალამ უღალატა, რადგან უკეთესი ნატვრა ჩაიდო გულში: „ტყეო, გახმი და გაშავდი!“ ამას აღუდგა ტყის ყველა მცხოვრები, კიცხავდნენ კოდალას, დასცინოდნენ, ქორი და ვეფხვი კი მოსაკლავად დასდევდნენ, რადგან „მაგისთანა მახინჯებს წყევლა-კრულვა და ფურთხი არ გასწურთნის... - ეგ ჩვენ ყველას სიცოცხლის მოსპობას გვიქადის... სიკვდილი კოდალას!“⁹⁶ ამიტომ მწერლის თვალით დანახული ტყის ტრაგედია იმ კაცის საქციელზე ჩივილს გვაგონებს, რომელიც თვითონ ცდილობს მოჭრას ტოტი, ზედ რომ ზის. მაგრამ როგორც ერთგან კოდალას უკეთურ საქციელს კიცხავს მწერალი, სხვა ადგილას მის სიკეთესაც აჩვენებს, როგორ კვებავს ბუს, ამარაგებს იგი

95. იქვე, ტ. VI, გვ. 93

96. იქვე, გვ. 96

მატლით, ეხმარება, წამლობს ფრინველებს. ასეა წარმოდგენილი სხვა ცხოველები და ფრინველები. მაგალითად ზანტი, ბინძური დათვი, რომელიც თქვლევფავს და ანადგურებს ყველაფერს, მაგრამ, ამავე დროს, დადებითი თვისებებიც გააჩნია. მგელიც დადებით და უარყოფით ჭრილში („დათვი“ - ამბავი, „დათვი“ - ზღაპარი, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“, „მწყერი“ და სხვ.). ამით ვაჟა რამდენადმე შორდება ცხოველთა ზღაპრებში დამკვიდრებულ სახეებს, სადაც ესა თუ ის ცხოველი წარმოდგენს სიბრყველს, ეშმაკობას, სიბეცეს, გაუტანლობას და სხვა. ვაჟა-ფშაველას ცხოველები და ფრინველები მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და ამით ნორჩ მკითხველში ბადებენ მათზე დაკვირვების, მათი გაცნობის, შესწავლის სურვილს.

„შელის ნუკრის ნაამბობი“ ვაჟა-ფშაველას პროზაული შედევრია. მისი ფორმა და შინაარსი თავიდან ბოლომდე ამ მშვენიერი ბუნების შვილის სილამაზით და თანაგრძნობით არის გამსჭვალული. იგი ასწავლის პატარა ადამიანს, რომ მის მსგავსად შველსაც უყვარს დედა, ენატრება მისი სიახლოვე და, რაოდენ ბოროტების სიმბოლოა შეუბრალებელი ადამიანი, რომელიც უკლავს უმწეო შველს დედას. „აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა. შეიდო კისერზე და გასწია. მე დავიწყე ტირილი, გული შემიწუნდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა

არა ჩნდება, დედაჩემს ველარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცი, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს!"⁹⁷ („შელის ნუკრის ნაამბობი“).

მელია - კუდაგრძელია, მელია - სერეფენია, როსტომელა - ასეთ სახელებს არქმევს ხალხი და აქედან გამომდინარე, ასევე ავტორიც ამ მოხდენილ, ეშმაკ ტყის ბინადარს, მაგრამ აქაც ვაჟას დამოკიდებულება მელიას მიმართ თანაგრძობითაა გამსჭვალული. სწორედ ამიტომ „სთავაზობს“ საქმროდ თავის პაწია შვილიშვილს, გუგულს, მოხუცი სოსიკა: „უცებ თავს წამომადგა ჩემი სიძე მელა! ლურჯ ცხენზე იჯდა და ლურჯი ქულაჯა ეცვა, თავიდან ფეხებამდის იარალში იყო ჩამჯდარი...“ „ძალიან მოსწონს ჩემი გუგული და ძალიანაც მეხვეწა, არ დამლუპოთ, არ დამანელოთ, გუგული სხვას არ მიათხოვოთო. რაზე მწუნობთ, კაცო? ღმერთმა ხომ იცის, ჩემისთანა ვაჟაკს თქვენ სხვას ველარ იპოვით, თუ ვაჟაკობით თუ ოჯახიშვილობითაო“⁹⁸ („მელია-კუდიგრძელია“). ეს მოთხრობა საახალწლო მოთხრობების ციკლშია შესული და შიგვე ჩართული ვაჟას მიერ მხატვრულად გარდასახული ამბავი მელიასა და მზეთუნახავზე ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან.

ვაჟა-ფშაველა მცენარეთა სამყაროს დიდი თაყვანისმცემელია. სწორედ მათდამი მიძღვნილ მოთხრობებში ასულიერებს თითოეულს! პატარა იას, ქუჩს, დეკას, ღვისას, სასუტელას, მუხასა თუ ხმელს წიფელს... ისინიც იბადებიან, იზრ-

დებიან, ცოცხლობენ და კვებიან სხვა სულიერი არსებების მსგავსად, მათაც უყვართ, ქმნიან შთამომავლობას და ზრუნავენ მათზე. მცენარეთა სამყარო მჭიდრო კავშირშია ფრინველებთან, ცხოველებთან: „ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანეთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატროფოს, როცა ზამთარი დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზე მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირისპირ. დადგება გაზაფხული, პირიმზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქუდზედ მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირიმზე მგონია და გიჟივით ვამბობ: „შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!“ („ქუჩი“). „შუადღის დროს დაღლილ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ლულუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ მშვიდობით ნახა კიდევ ნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მერე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდან და თვალები დასუჭა. გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეცო ფოთლებზე“.¹⁰⁰ („ია“). „იას ტრაგედია მისი სიცოცხლის ნაკლებ ხანგრძლივობაშია. ამიტომ ჩივის ღვთის წინაშე. „თუ გამაჩინე, უფალო, დიდი

97. იქვე, ტ. VI, გვ.20

98. იქვე, გვ. 184

99. იქვე, გვ. 202

100. იქვე, გვ. 36

დღე რად არ მამეო?!"

ხანგრძლივია წიფლის სიცოცხლე, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც ბერდება, ხმება. სწორედ მცენარის სიბერის გამონატულებათა მშვენიერი მოთხრობა „ხმელი წიფელი“, რომელსაც ახსოვს წარსული დიდება, პატივი მცენარეების და ცხოველებისა თუ ფრინველებისაგან, ადამიანებისაგანაც. მაგრამ ყოველივე წარსულს ჩაბარდა, თუმცა ადამიანებს მაინც ახსოვთ იგი: „განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?! ათას ცოცხალსა ბევრჯელა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“. ¹⁰¹ ამ მოთხრობით ავტორი მიანიშნებს მკითხველს სიბერის პატივისცემაზე, იმაზე, რაც ყველას მოელოს, მაგრამ შთამომავლობა კვლავ გააგრძელებს არსებობას. ამიტომ დასცქერის იმედით ხმელი წიფელი „მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესლაა იმის ნუგეში...“ ¹⁰² („ხმელი წიფელი“).

ვაჟა იმასაც აჩვენებს მკითხველს, რომ ცალკე-ცალკე და ურთიერთობაში მყოფი ბუნების შვილები, ხშირად ერთიმეორედ გარდაისახებიან. თუ „ამინი“ ჩამოივლის იმ დროს, როდესაც ადამიანს სხვა არსებად გადაქცევა უნდა, ნატვრა შეუსრულდება. ასე იქცნენ პატარა და-ძმანი, მზია და ვეფხვია, ავი დედინაცვლის მიერ გარეთ გაყრილნი და ძროხების უნაყოფო ძებნაში შეშინებულნი, ბუებად, რომლებიც ერთმანეთს დასძახიან, დარდობენ წარსულზე. ასე იქცა მათი მამა იოთამი,

101. იქვე გვ. 86
102. იქვე გვ. 87

შვილები რომ ვერ იპოვა საწყალმა, კლდედ, ხოლო მისი მეგობარი ვეფხვი კი - დეკა ქუჩად. ბუნებაში ერთმანეთს შეერწყა ყველაფერი: ადამიანი იქცა ფრინველად, კლდედ, ცხოველი - მცენარედ.

ხშირად ცხოველებსა, ფრინველებსა და მცენარეებზე დაწერილ მოთხრობებს საბავშვო ალეგორიის იერი დაჰკრავს. გზადაგზა ვაჟა შეფარვით კიცხავს პატივმოყვარე დათვის, სულელ ვირს და მშიშარა კურდღელს. ამით იგი ერთგვარად სცილდება საბავშვო მოთხრობის თემას და მოზარდთათვისაც ჭკუის სასწავლებელ ნაწარმოებად იქცევა.

2. ბავშვი და ბუნება.

ამ თემას გამორჩეული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას საბავშვო პროზაში. სწორედ ბავშვის ფაქიზი, მიამიტი ბუნება სწვდება გარე სამყაროდან ოდესღაც გაწყვეტილი კავშირის არსს და იცავს მას ხელყოფისაგან. ამის თვალსაჩინო ნიმუშად წარმოგვიდგება საბავშვო მოთხრობა „ლექსოს სამწყემსო“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟია შვიდი წლის ლექსო, რომელსაც ძალზე შეჰყვარებია პაწია მეგობრები: ნაცარა, ქოჩორა, ლაბუა და მამლაყინწა, უვლის, პატრონობს მათ და, როდესაც მამამისმა დემეტრემ მიკიტან კარაპეტას სარფიანი გარიგების შემდეგ სადილის გამართვა დაუპირა, შეშფოთდა პატარა: „საითაც იყო და არ იყო, ჯერ ვარიისათვის დემეტრეს თავი არ მოეჭრა, რომ მამის ახლოს მისი შვიდი წლის ლექსო გაჩნდა. დაინახა რა დასაკლავად გამზადებული ვარიკა, მორთო

საშინელი ყვირილ-ტირილი, „ნუ, მამი, ნუ, შენ გენაცვალე, ნუ, ჩემს ნაცარას. ვაჰმე, დედავ, დედიჯან, მოკვდი!“ - ყვიროდა ლექსო, იგლეჯდა თმას და იკაწრიდა პირისახეს¹⁰³ ლექსოს დიდი ამაგი აქვს გაწეული ქათმებზე: „სულ ხელზე გოგმანით გაზარდა, ხელისგულზედ საკენკს აკენკინებდა, თვალებსა და ნისკარტს უკოცნიდა“.¹⁰⁴ დემეტრემ ბოლოს გადაწყვიტა მეზობლისაგან ესესხა ერთი ვარიკა, მაგრამ ღორმუცელა კარაპეტა ტაბაკას ელოდებოდა. კიდევ შეექმნა საფრთხე ლექსოს მეგობრებს. და აი ბავშვმა გადაწყვიტა ისინი მოშორებით საბძელში გადაეყვანა, ისე დაემალა. ასეც მოიქცა და გადაარჩინა სიკვდილს ქათმები პატარა ლექსომ. იგი ესაუბრება თავის მეგობრებს, არიგებს და პასუხსაც იღებს ქათმის ენაზე. საღამო ხანს კი ლექსო ჩუმად ლოცულობს, ღმერთს ევედრება, რათა გადაარჩინოს მისი მეგობრები გარეული ნადირისა და ისეთი სტუმრებისაგან, როგორცაა კარაპეტა მიკიტანი, ნათლია გიჟ-მათია და მამასახლისი.

„სათაგურიც“ კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ გამოექომაგნენ პატარები მანამდე დიდი სიხარულით შეძენილ სათაგურში დამწყვდეულ თავგს - ფიცხელას. და თვით თავგეზიც როგორი მადლიერებით იხსენებენ ადამიანებს.

საბავშვო მოთხრობაში „პატარა მწყემსის ფიქრები“ ავტორი მკითხველს აცნობს პაწია მწყემსს, რომელიც მოჯამაგირედ გაუბარებია მშობლებს. პაწია განიცდის მარტოობას, უმშო-

103. იქვე ტ. VI, გვ. 104-105

104. იქვე გვ. 106

ბლობას. ერთდერთი მისი მეგობარი ყურმა არის. იგი იცავს, მეგობრობას მწყემსთან, უქარვებს მარტოობის ნალველს. ვაჟა ხატოვანად აღწერს ორბისა და ყურმას თავგადასავალს, თუ როგორი გაბრაზება იცის ორბმა. „დიდება შენთვის, ღმერთო, ფრინველსაც ამოდენა ჭკუა ჰქონია!“¹⁰⁵ - უკვირს პატარა მწყემსს ორბის ნიჭი, როცა იგი ძვლიდან ტვინის გამოსაცლელად მაღლიდან ქვებზე აგდებს, ტეხს და ისე იგემრიელებს პირს. ასეთ თვითშეცნობაში გადის ბუნებრივად პატარა მწყემსის ცხოვრება.

ძალღი ყველაზე ახლო მეგობარია პატარა ბავშვის. სწორედ ამიტომ შეიყვარა ასე მოთხრობის „ძალღმა ციკანი მოიგო“ პერსონაჟმა პატარა ბიჭმა მათ სოფელში გამოჩენილი უპატრონო ძალღი, მიიჩვია, უაღერსა მაგრამ, ფარამ რომ ჩამოიარა, ძალღმა იცნო თავისი ძველი პატრონი და ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდა: „ჯავრიამ დამინახა, შერცხვა, თვალები მომარიდა, გადგა განზე, მეცხვარესაც მოშორდა და სხვა მხარეს დაიწყო ყეფა, თუმც დასაყფი არაუინ და არაფერი იყო“.¹⁰⁶ - მართალია, ჯავრია (ღრუბელა) პატრონს გაჰყვა, სამაგიეროდ, მწყემსმა ციკანი აჩუქა ბავშვს და მთელი სითბო, სიყვარული მასზე გადაიტანა: „ქნლა ციკანი მყავდა ჯავრიას მაგიერად. ძალღის ხმა ღაფღავით მომწონდა, ამის ხმა კიკინით მახარებდა. როცა კიკინით მომეგებებოდა, გულში ვიხუტებდი და ვკოცნიდი“.¹⁰⁷

105. იქვე ტ. V, გვ. 34

106. იქვე ტ. VI, გვ. 249

107. იქვე გვ. 250

ვაჟა-ფშაველას ეს მოთხრობები კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ პატარას სჭირდება, სწყურია ბუნება-სთან კავშირი, მის შვილებთან ერთობა, რასაც ვერ ვიტყვით დიდებზე, მოზრდილებზე.

3. ბავშვები, დიდები და ბუნება.

ვაჟა-ფშაველას ბევრ მოთხრობაში სასტიკად გაკიცხულია ბუნების უარყოფელი, მისი მხოლოდ მომხმარებელი ადამიანი. თუ ბავშვი თავისი სიფაქიზით მიდის ახლოს მცენარეებთან, ფრინველებთან და ცხოველებთან, ადამიანი მხოლოდ იყენებს მათ თავის სასარგებლოდ, აზიანებს და შედეგებზე არ ფიქრობს. ამის საუკეთესო ნიმუშად წარმოგვიდგება საბავშვო მოთხრობა „ქუდოვანი“, რომელშიც ნაჩვენებია დიამბეგი სარდიონის სასტიკი ბუნება: „სარდიონი ფრიად ამაყი და თავმომწონე კაცი იყო, დიამბეგობა რომ მიიღო, მაშინ უფრო თავი მოიწონა, სწორედ გაფხორილ მამალ ინდაურს დაემსგავსა... ბედნიერი კაცი იყო სარდიონი და ბედნიერადაც ჰრგძნობდა თავს, მაგრამ მისმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ვისი ბრალია? მე არ ვიცი, თქვენ თვითონ განსაჯეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბაბად კაჭკაჭის ქურდბაცაცობა გახდა...“¹⁰⁸ ავტორი დახელოვნებული მხატვრის თვალთა ალწერს კაჭკაჭის მიერ ბუდის შენებას. ბებერი ჭერმის ხეზე, შვილების დაჩეკისა და მათზე ზრუნვას, როგორ ელოლიავენ და დედა თავის ბლარტებს, ურჩევს საჭმელს, უვლის. ასე აღმოჩნდა, რომ კაჭკაჭმა შვილებისათვის

108. იქვე გვ. 28

ყველის ნაჭერი მოპარა სარდიონს. ამ უკანასკნელმა დიდ შეურაცხყოფად მიიღო ეს. ბრძანა ბუდე დაენგრიათ და დედაბუდიანად ამოეხრცათ, მაგრამ კაჭკაჭი გადარჩა. საწყალმა დიდი გლოვით გამოიტირა თავისი შვილები, დამარცხ კიდევ, მაგრამ შურისძიების გრძნობამ იმძლავრა მასში: „უნდა წავიდე, შევჩვილო ჩვენს ხელმწიფეს ჩემი უბედურება. რის მეფეა, თუკი თავის ქვეშევრდომს მფარველობას არ გაუწევს?... რათ შევხარით იმის ძლიერებას, რათა ჰქვია იმას არწივი?...“¹⁰⁹ ასე წავიდა პატარა კაჭკაჭი თავის მეფესთან და ამ უკანასკნელმა გულთან მიიტანა მისი გასაჭირი. „მზად იყავით ხვალისათვის ყველანი, - სთქვა არწივმა ზავთიანი და ბოხ-მაგვარის ხმით: - უნდა დიამბეგი სარდიონი დავლაშქროთ... ჩემს ქვეშევრდომთ არავის დავაჩავგრინებ, მინამ ცოცხალი ვარ“¹¹⁰ და აი დაიძრა ლაშქარი ფრინველთა, მათ მელაც მიჰყვა, თავგებმაც თავისი სამსახური გასწიეს, მდინარემაც ძალა იჩნია და აი დამარცხდა სარდიონი, განადგურდა მისი ქონება, თვით პიროვნებაც. „ფრინველნი გამარჯვებულნი დაბრუნდნენ ნადავლით, ქუდებიც თან მოიტანეს. არწივმაც სარდიონის ქუდი თავის საბრძანებელ კლდის კინჭურზე ჩამოჰკიდა... მას აქეთ არწივის საბრძანებელს „ქუდოვანი“ დაერქვა.“¹¹¹

არწივის სახე კიდევ გამოჩნდება რამდენიმე ნაწარმოებში. აქაც კვლავ მისი მეფური ბუნება, რისხვიანობა, მაგრამ გულ-

109. იქვე გვ. 31

110. იქვე გვ. 37

111. იქვე გვ. 39

მოწყალეობაც („ჩხიკვათა ქორწილი“).

ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობების ენა მარტივია, ხატოვანი, მისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი. იგი გულში წვდება ნორჩ მკითხველს, აჩვენებს ბუნებას ისე, როგორც თვითონ ხედავს და მოუწოდებს მისი დაცვისაკენ.

კითხვები და დავალებანი:

1. გაეცანით წინასწარ ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „მერცხლის სიმღერა“, „პატარა მწყემსის ფიქრები“, „ბუნების მგოსნები“, „ჩხიკვათა ქორწილი“, „შვლის ნუკრის ნამბობი“, „გოგრა“, „სათაგური“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“ [ქრესტომათია], თბილისი, 1998, გვ. 315-366), „არწივი“, „ქორი და წიწილა“, „მამალი“, „შემოდგომის სურათი“, „ზამთარი“, „ჩიტი-ჩიორა“, „მელა კუდა-გრძელია“.

2. როგორია ვაჟა-ფშაველას შეხედულებანი „ახალი თაობის“ აღზრდის საკითხზე?

3. გაეცანით ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიასა და განსაკუთრებით გამოჰყავით მისი მასწავლებლობის პერიოდი.

4. როგორია თემატურად და ჟანრობრივად ვაჟა-ფშაველას საბავშვო შემოქმედება?

5. როგორ ურთიერთობას წარმოაჩინს პოეტი ცოცხალ სამყაროსა და ბავშვს შორის?

6. გარკვეით და გამოყავით ვაჟა-ფშაველას ის ნაწარ-

მოებები, რომლებშიც დასმულია ბავშვების ერთმანეთთან, უფროსებთან და ცხოველთა თუ ფრინველთა სამყაროს წარმომადგენლებთან ურთიერთობა?

7. რას გვასწავლის ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებები?

8. ვაჟაკობისა და გმირობის როგორ მორალს უქადაგებს პატარებს ვაჟა-ფშაველა?

სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო პროზა

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეხს იკიდებს რუსული ნაროდნიკული იდეები, რომლებიც მშობლიურ ნიადაგზე, სოციალურ-პოლიტიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, „ხალხოსნების“, ანუ „ტუტიათა მოტრფიალებების“ სახელით დაემკვიდრნენ საქართველოში. ქართველ ხალხოსნებში შედიოდნენ პედაგოგებიც, მწერლებიც, ექიმებიც... მათი დაკვირვება-შესწავლა-მკურნალობის ობიექტი იყო სოფელი და გლეხობა. ხალხოსანმა მწერლებმა მეტად მცირე დროში ჩაუყარეს საფუძველი ლიტერატურულ მიმართულებას, რომელშიც „ხალხის შვილის სტიქიური ბუნების აღფრთოვანებითა და გატაცებით, მართალია, ზოგიერთ კონერვატორულ მისწრაფებასთან ერთად, მძლავრადაა ჩაწნული ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მფლობელი მოწინავე მოქალაქეობრივი მისწრაფებანი. ხალხოსან-მწერალთა მისწრაფებაში ერთი რამ აშკარაა: შერიგება არსებულთან შეუძლებელია, დამცირებელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლა აუცილებელია.¹¹² ხალხოსან მწერლებს საკუთარი ჟურნალიც ჰქონდათ „იმედი“, მაგრამ ისინი ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობდნენ „ივერიასა“, „დროებასა“ თუ „კრებულში“, მხარში უდგნენ სამოციანელებს კულტურის განვითარებაში, მოზარდი თაობის აღზრდაში. 80-იან წლებში იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენის“ მასალაზე

112. ვ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1978, გვ. 58

შეადგინა საყმაწვილო წიგნი „კოკორი“, „ოჯახში სახმარებელი საკითხავი კრებული მცირეწლოვანთათვის“, რომელიც ძირითადად ეხებოდა სოფლის ცხოვრებას, გლეხების შრომასაქმიანობას და ბავშვთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას. იაკობ გოგებაშვილი ახალგაზრდობის აღზრდასთან ერთად იღვწოდა ხალხის გათვითცნობიერებისთვისაც, ამიტომ „კოკორი“ მკითხველებად გლეხობასაც გულისხმობდა.

ხალხოსანი მწერლების მოზრდილთათვის დაწერილ ნაწარმოებებში ძირითადად სოციალური, ნაწილობრივ, ეროვნული პრობლემატიკა იჩენდა თავს, მაგრამ მათში ბავშვთა სახეებიც მეტი სითბოთი და სიყვარულით წარმოჩინდებოდა. ღარიბი გლეხის უსწავლელობა კიდევ დამამცირებელი ფაქტორი იყო მისი, ისედაც დაბეჩავებული, დუხჭირი ცხოვრების ფონზე, ამას ემატებოდა ცრუმორწმუნეობა, ექიმბაშების ამარა ყოფნა, ეპიდემიურ დაავადებათა სიხშირე, რასაც არამცთუ ოჯახის წევრის, თვით ოჯახისა და, ხშირად, მთელი სოფლის სიკვდილი, განადგურება მოსდევდა თან. მხოლოდ ხალხური ზეპირსიტყვიერებითა თუ გადმოცემით იკმაყოფილებდა ცოდნის შეძენის წყურვილს გლეხის ბავშვი. დიდი სარგებლობა მოჰქონდა სოფლისათვის ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასა და ხალხში მათ სასიკეთოდ გასულ მღვდლებს, ექიმებს, მასწავლებლებს.

70-80-იან წლებში ჭეშმარიტად ხალხოსან მწერლებთან ეყრება საფუძველი საკუთრივ საბავშვო ნაწარმოებებს, რომლე-

ბიც ფართოდ იბეჭდება როგორც მოზრდილთა, ისე საბავშვო ჟურნალ-კრებულებში. სიუჟეტის სპეციფიკით, თემის სიმარტივით, დიდაქტიკურ-აღმზრდელიობითი თუ შემეცნებითი ფუნქციით დატვირთული, მარტივ-გასაგები ენით საბავშვო მწერლებად ყალიბდებიან ხალხოსანი პოეტები თუ პროზაიკოსები: სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925), ნიკო ლომოური (1852-1915), ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938).

კრიტიკული რეალიზმის ტრადიციასზე აღზრდილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წლის 20 ივლისს (ძვ. სტ.) ქართლში, (ს. დირბში, - ამჟამად ეკუთვნის ქარელის რაიონს). კეთილ-მოწყესე, მღვდლის ოჯახში. დედაც, მარიამ ანდრიას ასული ბიბილურიც, ასევე მღვდლის ქალიშვილი ყოფილა. წერა-კითხვა პატარა სოფრომს მშობლებმა ასწავლეს. პაპის, სვიმონის, სახლში კი, სადაც თავს იყრიდა სოფლის ჭარმაგი თავკაცობა, გაეცნო იგი სიყმაწვილეში „ვეფხისტყაოსანსა“ და „სიბრძნე-სიცრუისას“.

1860 წელს სოფრომი შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში: „აი ამისთანა დროს, როცა „როზგი მეფობდა, ჩამომიყვანეს სასწავლებელში, - იხსენებდა მწერალი, - მე, ბავშვს, წარმოდგენილი მქონდა, რომ მამაშვილურად მომეპყრობოდნენ. პირველ შესვლაზევე ვიგრძენ ჯოჯოხეთის ალი; კლასში იდგა გნიასი, ყვირილი, ტირილი. ამას როზგს სცემდნენ ტიტველა ტანზე, იმას სახაზავს უტყაპუნებდნენ ხელზე, ან თავზე, ზოგს თმას აწიწკნიდნენ, ზოგს ყურებსა - ეს ორი

უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა“.¹¹³ ამ სასწავლებლის ხელმძღვანელთა თუ პედაგოგთა გორტესკული სახეები, სწავლების უვარგისი სისტემა მგალობლიშვილმა მხატვრულად ასახა ვრცელ მოთხრობაში „წარსულიდან“. სატირის საღებავებით წარმოაჩენს მწერალი ქალაქ „მატრაბაზეთს“ (იგულისხმება გორი) და მის სასწავლებელს. ესაა დახატული სასკოლო დაწესებულება პედაგოგის არმცოდნე, მასწავლებლის სახელს ამოფარებული ადამიანებით, რომელთათვისაც ბავშვებს შეურქმევიათ მეტსახელები: ყეყრა, ქიშიშია, ბურნუთა, პურჭყია და სხვ.

1867 წლიდან სოფრომი ტფილისის სასულიერო სემინარიისაშია. აქაც „როზგი“, ქართული ენის სასტიკი დევნა, მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებთან, იაკობ გოგებაშვილთან, თომა ტურიაშვილთან, გიორგი იოსელიანსა და ნიკო ცხვედაძესთან, ითქვამდნენ სულს ახალგაზრდები.

1869 წლიდან სოფრომი თანამშრომლობს ჟურნალ „მნათობში“, ხოლო, როდესაც სასულიერო სემინარიაში მოსულ რევიზორს მასწავლებლებმა განუცხადეს სურვილი კლასიკური ენების სწავლების შემოღების თხოვნით, სოფრომ მგალობლიშვილი „დროებაში“ აქვეყნებს თავის პირველ პუბლიცისტურ წერილს „ძველ-ახალი ამბები“ (1872 წ.). აქ, სემინარიის კედლებში, გამოიბრძმედა სამშობლოსათვის თავდადებულ ახალგაზრდათა მეგობრობა როგორც იყვნენ: ს.

113. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, ტფილისი, 1938, გვ. 37

მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ი. მეუნარგია, გ. უთურგაული, თ. ჟორდანი, გ. საძაგლიშვილი და სხვ.

1873 წლიდან სოფრომ მგალობლიშვილი იწყებს მუშაობას გორის სასულიერო სასწავლებელში. „სოფრომ მგალობლიშვილი საყვარელი მასწავლებელი იყო სკოლის მოწაფეთათვის; მისი ტკბილი, დარბაისლური დარიგება ყველას გვზიბლავდა, სამეგობროდ გზაზე გვაყენებდა და სწორედ ასეც იყო: ჩვენ მასში ვხედავდით რაღაც მახლობელ კაცს, მეგობარს, ბიძას, ძმას, მის გაკვეთილს მოუთმენლად ველოდით“ - ¹¹⁴ იგონებს ია კარგარეთელი. ს. მგალობლიშვილი თვითონვე არჩევდა ბავშვებისათვის საკითხავ ლიტერატურას: შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, ს.ს. ორბელიანს „სიბრძნე-სიცრუისას“, გ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილს“, დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!“, „კაკო ყაჩაღს“, „აჩრდილსა“ და კირილე ლორთქიფანიძის კრებულს „ჩონგური“. სახელმძღვანელოდ იგი იყენებდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“. „მე დავაწეე ჩვენ მწერალთა წიგნების კითხვას და წაკითხულის განმეორებას მოწაფეთაგან. თითო კლასში ორი გაკვეთილი იყო კვირაში. დაინტერესდნენ ბავშვები ქართულით; სულ -განაბულნი უსმენდნენ კითხვასა“ - ¹¹⁵ წერდა ს. მგალობლიშვილი. ალბათ, სწორედ მაშინ დაებადა ავტორს შეექმნა საბავშვო ნაწარმოებები, რომლებმაც მალე დიდი პოპუ-

114. ხაქ. ლიტ. მუზ. ფ.ხ. №15665, გვ. 5

115. იქვე, ხ.№15676, გვ. 61

ლარობა მოიპოვეს ნორჩ მკითხველში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მოყვარულ მოსწავლეთაგან სოფრომი აყალიბებს წრეს, სადაც მსჯელობენ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. სწორედ ერთ მის სხდომაზე წაუკითხავს თავისი მოხსენება ვაჟა-ფშაველას პოეტ იოსებ დავითაშვილის პოეზიაზე. ს. მგალობლიშვილი აქტიურად თანამშრომლობს „დროებაში“, „ივერიაში“, ხოლო 1884 წლიდან - საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“. აქვე ქვეყნდება მისი საბავშვო მოთხრობა „ყაყიტას ქურდი“. „მაგონდება, რომ „ყაყიტას ქურდის“ ავტორი ზნეობითად ვალდებულია ხელი მიაწვდინოს „ნობათ“-ს და კიდევ დაასაჩუქროს ამისთანა მშვენიერის მოთხრობით.“ ¹¹⁶ - წერდა რედაქტორი ანდრია ლულაძე.

მალე ს. მგალობლიშვილი ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში. ხოლო 90-იანი წლებიდან სამუშაოდ გადადის ფოთში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის კანცელარიის გამგედ. ამით მთავრდება მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდი და იწყება სამონხლეო სამსახური. სოფრომი აქტიურად იბრძვის ეპისკოპოს გრიგოლთან ერთად ქართული ენის დაცვისათვის, ახლო კავშირშია თავის აღმზრდელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ხელს უწყობს „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ გავრცელებაში, აგროვებს ქართულ სიმღერებს და სხვ. ს. მგალობლიშვილმა დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. უამრავი პუბლიცისტური წერი-

116. იქვე, გვ.157, 48

ლი და საინტერესო პროზა: „ღამის მეხრე ცეცო“, „დედა მათა“, „ჯორ-ზაქარა“, „დემეტრეს სახლობა“, „გმირისეული ქალი“, „წითელი სარჩული“ და სხვა.

ბოლო წლებში ს. მგალობლიშვილი მძიმედ დაავადდა. მას თავზე ადგა ყოფილი მოსწავლე, ცნობილი ექიმი მიხეილ წინამძღვრიშვილი.

1925 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი. იგი დაკრძალეს დიდუბის მწერალთა პანთეონში. ქართულმა პრესამ დიდი გულსიტკივილით აღნიშნა: „ერთი საუკუნის სამი მეოთხედის განმავლობაში ეს იყო პირველი მოწმე და ხან კი მონაწილეც ჩვენი საუკუნის პოლიტიკური ქარტეზილისა. ამ გზაზე მას ერთხელაც არ გადაუხვევია თავისი მაღალი მიზნისათვის და მთელი თავისი ძალა და ცოდნა მოახმარა ხალხის სამსახურს“¹¹⁷ - წერდა გაზეთი „მუშა“.

სოფელი, მისი მცხოვრებნი, მათი ბედი ბატონყმობის გაუქმებამდე თუ მის შემდეგ, გლეხობის ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად - ესაა მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის შემოქმედების ძირითადი ობიექტი. სწორედ ამ ფონზეა წარმოდგენილი მისი საბავშვო პროზაც.

საბავშვო პროზაშიც ავტორი არ სცილდება ჩვეულ თემას - სოფლისა და მის მცხოვრებთა ყოფის აღწერას. მაგრამ ჩვენ ცალკე გამოვყოფთ საბავშვო პროზას, რათა გამოვკვეთოთ

117. ს. ფაშალიშვილი, „სოფრომ მგალობლიშვილი“, გაზ. „მუშა“, 1925, 4 დეკემბერი, გვ. 2

მწერლის შემოქმედებითი უნარი, დაიყვანოს მოზარდთათვის გასაგები მოვლენები ბავშვებამდე, - უშუალოდ, მარტივად აუხსნას რთული სოციალური წინააღმდეგობანი ბუნებაზე, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროზე დაკვირვებით.

გაიარა რა იმდროინდელი სწავლა-აღზრდის მკაცრი სკოლა, ს. მგალობლიშვილმა მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებითა და პედაგოგიური მოღვაწეობით პროტესტი გამოუცხადა ამ საშინელ რეჟიმს.

ამ მხრივ საყურადღებოა მოსწავლე ლუა ბედიანის სახე მოთხრობიდან „ალარ შემიძლიან“. ეს ყმაწვილი სასწავლებლის მკაცრ რეჟიმს ისე გაუწამებია, რომ ადამიანთა სამყარო შესძლებია და პირუტყვებთან ეძიებს თანაგრძნობას. სოფლად, დიაკვან კომეჭას ხელმძღვანელობით, უფრო მეტს ითვისებდა, ვიდრე სასწავლებელში...“ მე რაც სახლში მასწავლეთ, აქ სულ დამავიწყდა¹¹⁸ - ასე ფიქრობს ლუა. მისგან კი მოითხოვენ ცოდნას ისეთი რამეებისა, რაც საფსებით გაუგებარია: „დღემდე ვერ შემიტყვია, ეს ჩემი ცოდვით საფსე კონსტანტინე, მცხეთა-მტკვარი და სხვანი არიან ქვეყანაზე მარტოდმარტო საკუთრებითი სახელები, თუ კიდევ სხვებიც არის. გუშინსწინამდე „და სხვანიც“ საკუთრებითი სახელი გვეგონა“ (იქვე). მარტო ეს არ კმარა, როზგით ცემა რომ არ ერთვოდეს თან. „ტინისხიდის ჭალა სულ ერთიანად გაჩეხეს, იმდენი როზგი გამოიტანეს“. ასეთ ყოფაში არიან მთელი სასწავლებლის ბავშვები,

118. ს. მგალობლიშვილი, „რჩეული მოთხრობები“, თბილისი, 1963, გვ. 686

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ახალგაზრდა პირველად უფიქრ-
დება: „რა არის ჩემი სიცოცხლე“ ყოველ დღე მროზგავენ; ვიცი,
თუ არ ვიცი ის ოხერი გაკვეთილი, სულერთია, მაინც მროზ-
გავენ; თვალი მე აღარ შემრჩა, ყური და კბილი, თმა ხომ სულ
ბუწბუწად გამაცალეს; მთელი ტანი დაბეჩავებული მაქვს;
ჯოჯოხეთში ეშმაკებთან ყოფნა მირჩევნიან, სკოლაში ყოფნასა
და სიარულს“¹¹⁹. ლუას მელორედ, მეცხვარედ ან მოჯამაგი-
რედ წასვლა ურჩევნია იქ სწავლას. ამიტომ ყმაწვილი საყვ-
არელ დედასაც კი სთმობს და შორს სამუშაოდ მიეშურება
თავის რამდენიმე ამხანაგთან ერთად, რათა იქ, ცხოვრების შუა-
გულში, საქმეს შეუდგეს და თავისუფლად ისუნთქოს. ამით
ავტორი სრულიადაც არ ცდილობს საერთოდ სწავლაზე ხელი
ააღებინოს ბავშვებს, იგი მხოლოდ კიცხავს უფარგის მეთოდებსა
და უპირატესობას შინაურ სკოლას ანიჭებს. ლუკა ასე
შენატრის თავის დაიას: „... ბევრი აკოცე ჩემ მაგიერ ჩემს დაია
მარიკასა. ნეტავი მაგას, რომ სკოლას არ ნახავს და ისე
გაიზრდება „ვეფხისტყაოსნის“ და დავითნის კითხვითა“.¹²⁰

ს. მგალობლიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის
გონებრივ თუ ფიზიკურ განვითარებას. იგი თვლიდა, რომ ყმაწ-
ვილმა აუცილებელია იქონიოს გარკვეული წარმოდგენა ბუნების
მოვლენებზე, ცხოველებზე, გაეცნოს ქვეყნის ისტორიულ წარ-
სულს, ისწავლოს შრომის პატივისცემა. მისი პატარა საბავშვო
მოთხრობების მიზანიც ამაშია, დაანახოს ნორჩ მკითხველს სო-

ფელი, მისი ღარიბი, მაგრამ კეთილშობილი ხალხით.

სწორედ ამიტომაც, რომ ს. მგალობლიშვილის „თინას
გიშერამ“ ფართო პოპულარობა მოიპოვა პატარა მკითხველში.
მისი გმირია პატარა თინა, რომელსაც ბავშვის ერთადერთ
გასართობსა და სიყვარულის საგანს მის მიერ გაზრდილი გი-
შერა შეადგენს... გიშერას მოვლასა და ალერსში თინა მშო-
ბლიურ სიტბოს ეძიებს. გოგონა და პირუტყვი საოცარი სიყვ-
არულით დაკავშირებიან ერთმანეთს; მასზე დაკვირვებაც თინას
სულიერ სამყაროს უვითარებს: „მითხარი, ჩემი გიშერა რადა
ტირის ხოლმე? იმ დღეს ვნახე და სულ ფუხფუხით ჩამოსდ-
იოდა თვალებზე ცრემლები:

- აბა, რა ვიცი, შვილო! ალბათ, ბუზი უკბენდა, გვალვამაც
იცის. აგერ თვეა ცას ნამი არ გაუგდია...

- პაპილო, შენი ჭირიმე, მითხარი იქნება დედ-მამა რომ
არა ჰყავს, იმიტომ ტირის? ჰა, პაპა!“¹²¹ თინას გიშერა ადა-
მიანივით განიცდის, „ფიქრობს: „უდარდელია, ბედნიერია გი-
შერა“ იმისთანა ბედნიანი ჯერ არავი დაბადებულა ქვეყანაზე!
ის ამ ღროს ფიქრობდა მხოლოდ თინაზედ, უკვირდა, რომ
ნახვა დაუგვიანა, ნაღვლობდა, ხომ არა შეემთხვა რა ჩემს საყ-
ვარელს დობილსაო!“¹²²

ემოციურ სურათს ქმნის თინასი და გიშერას ალერსის სცენა:
„დექნამ შეზმუკუნა, პროწიალი დაუწყო და თამაშობით მიეგება
დობილსა; თინა ყელზე შემოეჭდო, თვალებში ჩაჰკოცნა, გიშე-

119. იქვე გვ. 683
120. იქვე გვ. 687

121. იქვე გვ. 661
122. იქვე გვ. 662

რამ ბუნაობა დაუწყო და ხელები აულოკა, რამდენსამე წამს ყელი ყელს გადაჭდობილნი იყვნენ ორნი დობილნი¹²⁰

თინას თავზე მალე გროვდება ღრუბლები. ფომტის ფული გადასახდელი აქვს პაპა სვიმონას. გადახდის ილაჯი კი აღარა აქვს ულონო მოხუცს. ახლა შიში იპყრობს - არ წაართვან ვალში გიშერა. მეორე საფრთხე კი სოფლად გავრცელებული საქონლის ჭირიდან ემუქრება. ეს უკანასკნელი იმსხვერპლებს კიდევ გიშერას. მისმა სიკვდილმა თინაში საშინელი სულიერი მღელვარება გამოიწვია: „თინას მაშინვე გულმა ძაგძაგი დაუწყო, მივარდა გამოტოილ გიშერასთან, თავი წამოუწია, ჩახედა ღია თვალებში, რომელზედაც ცრემლი დაჰკონწიალებდა და ერთი საშინლად დაიწვილა; სისხლი, ჯავრისაგან ბალღამად ქცეული, ტვინში ეცა, საბრალო თინა სიკვდილს მიწურა და კინალამ გიშერას თან გადაჰყვა“.¹²¹ ავტორი გვიჩვენებს სოფლის მცხოვრებთა ძირითად გაჭირვებას: ურიცხვ გადასახადებსა და ადამიანთა თუ პირუტყვთა ავადობას.

თავდაპირველი ვარიანტით ავტორს განზრახული ჰქონია ასეთი დასასრული: თინას გიშერა პრისტავს მიჰყავს ვალში: „დიღამ გაჰყარა დობილნი. პრისტავს შეღავათი არ მიეცა და დიდი პურის ქვაბი და გიშერა გასაყიდად წაიყვანეს“.¹²² მაგრამ შემდეგში ს. მგალობლიშვილმა ასეთი გადაწყვეტა არასწორად მიიჩნია და გიშერას დასასრული ავადმყოფობას დაუკავშირა.

120. იქვე გვ. 662

121. იქვე გვ. 665

122. საქ. ლიტ. მუზ. ფ. ბ. №15676

ს. მგალობლიშვილი დიდი სიყვარულით ხატავს თავის პაწია გმირს: „თინა ერთ წუთს ვერ მოისვენებდა, საშინლად მკვირცხალი და მალხაზი რამ იყო. მისი არც ხელი და არც ფეხი არ გაჩერდებოდა. სულ ფუსფუსებდა, მიდი-მოდიოდა და რალაცის ბრუნვაში იყო. დილით, დაბინავებდა თუ არა გიშერას ვენახში და იმის დარდსა მორჩებოდა, პატარა ბაკსა, რომელშიაც ღამით გიშერა იწვა, დაჰგვიდა და დააკრიალებდა, მერე პირით ბუზიკის ხმაზე საცეკვაოს დაუკრავდა და ერთი ხელების კვანწით და ტანის რხევით ჩამოუვლიდა ხოლმე დაკრიალებულს ბაკში, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. როცა ის საცეკვაოს დაუკრავდა, მეზობლები ჩუმად მოირბენდნენ ბაკთან და ჭყეტას დაუწყებდნენ ხოლმე“.¹²³

ს. მგალობლიშვილი, როგორც საბავშვო მწერალი, ცდილობს აღმზრდელიობით სენტენციებს მიმართოს თავის მოთხრობებში. თვით პედაგოგი, ბავშვის სულიერი სამყაროს შესანიშნავი მცოდნე, კიცხავს იმ უარყოფით ზნეობრივ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობის საწყის ეტაპზე უნდა გამოამკარავდეს და დაიწინლოს. ერთ ასეთ დასაწინლავ დანაშაულად მიაჩნია ქურდობა, სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება. 1884 წელს საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა პატარა მოთხრობამ „ყაყიტას ქურდი“, თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. თვით ამ მოთხრობის სათაური უარყოფითად განაწყობდა ადამიანს იმათ მიმართ, ვინც

123 ს. მგალობლიშვილი, „რჩეული მოთხრობები“, გვ. 661

ქურდობა ჩაიდინა.

მოთხრობის ცენტრში ორი ადამიანია: მოხუცი გლეხი ყაყიტა და პატარა მოსწავლე ეფრემა.

ყაყიტა სამოცი წლის კაცია. თავისი ცხოვრება მას შრომაში გაუტარებია. ერთი პატარა ნაკვეთი აბადია, რომელიც თავისი ხელით დაამუშავა და მასზე შრომის ნაყოფი მოიწია. სახლში ოთხი ქალი ჰყავს ყაყიტას, ოთხივე გაუთხოვარი. ყაყიტა დაბერდა, უჭირს შრომა, მაგრამ მას ინტერესით ეკიდება, რადგან თვით შრომაში ხედავს სიცოცხლის წყაროს: „ყაყიტას სიამოვნების ჟრუანტელმა გაურბინა და სიხარულით გული აუტოკდა; მოუნაკადა წყალი, აიმართა და ალერსით გადახედა მოლალანე სიმინდს“.¹²⁴

კეთილ, შრომისმოყვარე მოხუცს მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდა თავს - მის ნაჯაფარს ცელქი ბიჭები გაქურდავენ და, რაც გადარჩებათ, ფეხით გათელავენ: ყაყიტამ იცის ქურდების ვინაობა. იგი აღელვებული გაემართება ერთი მათგანის, ეფრემას, მამასთან, აზნაურ ნიკოლოზ აბულაძესთან, და გულისტკივილით უყვება თავისი დარბევის ამბავს: „მოგესწენებათ, ნახევარი დღის სიმინდი მაქვს ჭალაზედ, ჩემი ნაწვავ-ნადაგი, ჩემი ფეხით გადაბარული, სისხლი შიგ ჩამიწვიმებია; სიმინდია, რომ ღვთის თვალი შიგ ტრიალებს. შეპარულან, შენი ჭირიმე, ე თქვენი შვილი ეფრემი და თქვენებიანთ მიხაი, რაც დაუმტვრევიათ, აი, ეს ერთი კონა გაახელით, რაც

124. იქვე გვ.667

არადა სულ ძირს დაუგიათ, ახალი მორწყული გახლდათ“¹²⁵. შეცბუნებული პატარა ქურდი, მოპარული სიმინდით ხელში, ელის სასჯელს, მაგრამ ყაყიტა დიდსულოვნად აპატიებს: „ეს ერთი ღვთისთვინაც დამივალეზია და მათთვინაც მიპატიებია ნათელ-მირონობის ხათრით“ (იქვე). ყაყიტას დიდსულოვნება უფრო მტკივნეულად მოქმედებს ეფრემაზე. მისი სულიერი სამყარო შეძრულია. იგი უკვე აღარაა გულუბრყვილო ბავშვი. სასწავლებლის მოსწავლეს უკვე კარგად ესმის მეცნიერების ზოგადი საფუძვლები და ბევრ მოვლენას საღად განმარტავს. ამიტომ მას აღარ სჯერა სოფელელთა ცრუმორწმუნეობისა. ეფრემასთვის ქურდობა მიუღებელია, მაგრამ ინტერესი უბიძგებს ჯერ ერთხელ, შემდეგ - მეორედაც. მართალია ეფრემა პირველი ქურდობისათვის დაისაჯა, დედამ მიტყიპა, მაგრამ მაინც ჩადის მეორეს მიხას წაქეზებით. მისთვის გაუგებარია შრომის ნაყოფის ფასი და ქურდობაც უფრო გასართობია, ვიდრე გაჭირვებით გამოწვეული დანაშაული, სიმინდის ტაროები მას შეუძლია საკუთარ ნაკვეთშიც მოტეხოს, მაგრამ სხვას პარავს და მოპარულით ოჯახის წევრებს უმასპინძლდება. თამამად მიირთმევს ნაქურდალს, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც მწიფდება რალაც შიში. ავტორი, დახელოვნებული ფსიქოლოგის ენით, გადმოგვცემს ეფრემას განცდებს, ყაყიტას ხმა რომ შემოესმის. ხოლო მის დანახვაზე „ყაყიტას სახემ ეფრემა დაატორტმანა: მიაპოწიალ-მოაპოწიალა, მაგრამ თვა-

125. იქვე გვ. 671

ლთ ისე დაუბნელდა, რომ გზა ველარ გაიგნო; დაასხა ცივმა ოფლმა, ტანში ცხელმა ალმა დაუარა, აჭინჭრდა. სიმინდის ტარო, რომელიც პირთან მიჰქონდა, ჰაერში გაუშემდა. ყაყიტას მწუხარე სახემ, მისმა თეთრმა თმამ და მოკაკულმა სხეულმა ეფრემას გული დაუწვეს“ (იქვე). ეფრემა მიხვდა დანაშაულის მთელ სიმძიმეს, მისმა ნორჩმა სულმა შეიგრძნო ყაყიტას მთელი ტრაგედია. პატარა ცოდვილმა სულმა პატიება ითხოვა: „წასქდა ეფრემას თვალიდგან ცრემლი, მოჰყვა ქვითინს და ყაყიტას წინ დაემხო“ (იქვე).

ყაყიტა რეალური პიროვნება ყოფილა. მკვლევარ კ. დონაძის ცნობით, ეს იყო იაკობ ტეტუნაშვილი, დირბელი გლეხი, მეტსახელად „ყაყიტა“. ს. მგალობლიშვილს კარგად სცნობებია ყაყიტა. დირბში ხშირად ესაუბრებოდა თურმე მას. ერთხელ ყაყიტასათვის გორში მახარიდან ფული ამოუცლიათ და საშველად სოფრომისათვის მიუმართავს. სოფრომს თვითონ წაუყვანია ბაზარზე, მახარაც შეურჩევია და უყიდია. ეს ფული შემდეგშიც აღარ გამოურთმევია მისთვის. ყაყიტას სიმინდის გაქურდვაც მართლა მომხდარა დირბში და მწერალს ეს ფაქტი დაუდვია საფუძვლად თავისი მოთხრობისათვის.

ამ მოთხრობით მწერალი ბრძოლას უცხადებს ქურდობას, აფრთხილებს პატარებს, უჩვენებს გზას სიწმინდისა და პატიოსნებისაკენ.

სოფლად ბავშვების საყვარელი თამაში ყოფილა „მწყერაობა“. ამ თამაშის არსია მწყერებზე ნადირობა. ბავშვები უნგრ-

ვეენ მწყერს ბუდეს, უხოცავენ ბარტყებს. ს. მგალობლიშვილი აღდგა ამ უმიზნო და ბარბაროსული თამაშის წინააღმდეგ და სცადა ნორჩი მკითხველი გაერკვია მის შედეგებში. ბიჭი მიხა, მედავითნე ეფრემას ვაჟი, ქალაქში სწავლობს. არდადეგებზე კვლავ სოფელს უბრუნდება და ბავშვებთან, ბუნებაში ერთობა და მხიარულობს. მაგრამ მიხა კარგთან ერთად ცუდსაც ერევა - ბიჭების მიერ დაკანონებულ თამაშს - ფრინველთა ბუდეების ჩამოშლას. ეს თამაში ბავშვებში აძლიერებს სუსტისა და უმწეოს ადვილად დამორჩილების გრძნობას. ამიტომაც, რომ მწერალი ორი დედის დახატვით ცდილობს აუხსნას ბავშვებს ნიბლიას მდგომარეობა. ერთია მიხას დედა მართა და მეორე კი - ნიბლია. ორივე ერთნაირად ფიქრობს შვილებზე, ორივეს ავი სიზმარი უნახავს და შიშობენ, ცუდად არ აუხდეთ. მიხას კარგად ყოფნა რამდენადმე საკუთარ საქციელზე და მოკიდებული. ნიბლიას შვილები კი ბუნების ძალების, ადამიანის წინაშე უმწეონი არიან. ამიტომაც, რომ დედა ნიბლია ყოველთვის გულისკანკალით ელის ახალ დღეს, რათა ვინმე უკეთურმა ადამიანმა ან ფრინველმა არ დაუნგრიოს ცხოვრება: „რა მეღბნინება, ერთი პირი სახლ-კარი დამინელეს მაგ წყეულმა ბიჭებმა. მოაგნეს ჩემს ბუდეს და სულ ამიწიოკეს შვილები. ახლა მეორედ მოვეწყეთ, მაგრამ ისეთი სიზმარი ვნახე წუხელის, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ სულ გული მომიკლა, დანა ყელს აღარ მიხსნის. მეხი ამისთანა სიცოცხლესაც დასცემია... ვითომც მატლები დახვეოდა ჩემს ბარტყებსა და სულ ერთიანად

გამოეხრათ, გულგახეთქილს გამომეღვიძა... საწყალი ჩემი გოგო-ბიჭები, ჩემი შვილები, ისე დაფრინებენ, რომ ავი თვალთ არ ინახვიან, ნეტავი დაფრენას მაინც დამაცდიდნენ”.¹²⁶ ავტორი ცდილობს მკითხველს აჩვენოს უტყუვ არსებათა ტანჯვა, ხელი ააღებინოს მათ წვალებაზე, რადგან ცოცხალი არსებანი, ფრინველნი თუ ცხოველნი საოცრად უმწეონი არიან უცხო ძალების წინაშე. საყურადღებოა მოთხრობის დასასრული: მისა კაჭკაჭის ბუდეს ჩამოშლის, მაგრამ ტოტი მოუტყუდება და ძირს ვარდება. ტრაგიკომიკურ სიტუაციას ქმნის თავ-პირ დასიებული და მკლავამოვარდნილი მისა, რომელსაც დედაც ნიშანს უგებს: „წადი, დაგიდგა თვალები, კიდევ იმწყერავენ?“ („იმწყერაობა“). ეს პატარა საბავშვო მოთხრობა ს. მგალობლიშვილს რამდენიმე ვარიანტად დაუწერია. ერთ ვარიანტში ფრინველთა გვერდით მცენარეებიც ჩივიან ადამიანთა უხეშ მოპყრობას. ამით ს. მგალობლიშვილი ცდილობს ასწავლოს ბავშვებს ბუნების დაცვის აუცილებლობა, მისადმი სიყვარული.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დიდი დაკვირვების უნარი, რათა ჩასწვდე ცხოველთა და ფრინველთა ბუნებას. ამით იძენს ყმაწვილი გამოცდილებას. ამ მხრივ საინტერესოა ს. მგალობლიშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა „ჩიტების ომი“. პატარა მურაზა სინარულით ელის ყოველ გაზაფხულს მერცხლების მოფრენას თბილი ქვეყნებიდან. იგი ძალიან ბრაზობს ბელურებზე, რომლებმაც მერცხლების ბუდე დაიკავეს, ამიტომ ერთ-

ხანს მათი ბუდის ჩამოშლასაც დააპირებს, რათა გარეკოს დაუპატიჟებელი სტუმრები. მაგრამ ბელურები არ უთმობენ. მურაზას თავს დაესხმიან და დაწიწკნიან. მტირალ ბავშვს დედა ამშვიდებს: „მაგათშიც როგორც ადამიანებში, მუქთა მჭამელნი არიან... ხომ გახსოვს, მე რომ გუგულზე ამბავი წაგიკითხე, ბელურები სხვის ბუდეს თავისებურად გადააკეთებენ, მაინც მუშაობენ ამ გადაკეთებისათვის. გუგული კი ბუდეს არ იკეთებს, ამისათვის ის თავს არ იცხელებს. მონახავს რომელიმე ფრინველის ბუდეს, ჩაუდებს კვერცხს ერთს იმას, მეორეს ამას და მესამეს. სხვები უჩეკამენ და უზრდიან შვილებს, რომელთაც გუგული არც კი იცნობს... ბელურები ამას მაინც არ სჩადიან”.¹²⁷

ემმაკი და მოხერხებული ბელურა თავგანწირულად იბრძვის ბუდის დასაცავად, მას სხვა ბელურებიც ეხმარებიან და შეერთებული ძალებით ეომებიან მერცხლებს. „შეიქმნა მათ შორის ფიცხელი ომი: სიმართლით მერცხლები სჯობნიდნენ, მაგრამ თუ ჩაიგდებდნენ რომელიმე მერცხალს, სულ ბურტყულს აცლიდნენ, ჩაქურა ნისკარტებით და კბენით ასისხლიანებდნენ, იერიში იერიშზე მიჰქონდათ ბელურებს, იძლივნენ მერცხალნი და ივლტოდნენ“ (იქვე).

მერცხლები დამარცხდნენ, მაგრამ უკეთესი ბინის შენება იწყეს. გაამაყებული ბელურები კი ბრძოლით ნაშოვნ ბუდეში დაფარვაშობდნენ.

ბავშვს იზიდავს შრომისმოყვარე, მოჭიკჭიკე მერცხლები,

126. იქვე, გვ. 675-676

127. ხაქ. ლიტ. მუზ. ფ.ხ.№15690

ზიზლით უყურებს მოძალადე ბელურებს. დედა აჩვენებს მურაზას მისდიოს მოვლენათა მსვლელობას ბოლომდე: „აკი გითხარ, ჩემო შვილიკო, ჩიტები თითონ მორიგდებიან-მეთქი. ბელურებმა ღონით აჯობეს, მაგრამ მერცხლებმა ჭკუითა; ახალი ბუდე გაიკეთეს, ხოლო ძველი დაუტოვეს ბელურებსა“ (იქვე).

ს. მგალობლიშვილი საოცარი უშუალოებით აღწერს ფრინველთა ყოფას და მკითხველთათვის მეტად მისაწვდომს ხდის მას.

სოფელი, მისი ბუნებასთან ახლომდგომი ადამიანებით, კარგ ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე, აჩვენებს მას სიმამაცეს, ბუნების სიყვარულს, პატარა მოთხრობაში „ტყეში“ ავტორმა სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება. იგი მოხდენილად აღწერს ტყეს, მისი ბინადრებით: „ჩხიკვსაც იამა ხმაურობა, აჰყვა ბავშვებს და წამდაუწუმ კისკისებდა, ახტოდ-ჩამოსტოდა კუნელზედ, სადაც ეტყობოდა, ბუდე ჰქონდა ჩადგმული. ტყეც ბავშვების ჟრიაშულს ბანს აძლევდა: დიდრონი წიფლის ხეები შრიალებდნენ, იმათგან მონაბერი ნიავი გადადიოდა წვრიმალ ხეებზე, ისინიც ირხეოდნენ, ფოთოლი ფოთოლს ეხვეოდა, ტოტი ტოტს ეწმახნებოდა და მთლად ტყე ათამაშდა“¹²⁸.

ამ ბუნების ფონზე მოჩანს გლეს ქიტესას სახე. ქიტესა ტყეში ტოტებს როკნიდა, წკნელად ჰგრენდა. მისი მონაყოლი ზღაპარი ბავშვებს დააინტერესებს. აქ კვლავ მეორდება ზღაპრის ვარიანტი ყარა-ბარძიმზე, ოღონდ შეცვლილი სახელით. ყარა-გიორგი სიკეთის სიმბოლოა, მყრალ-მოსია ბოროტებისა. ხალხისათვის თავდადებული ყარა-გიორგი ბრძოლაში

გმირულად იღუპება. „ეცა ცხრაკლიტულსა, თითონაც შიგ მოჰყვა, მაგრამ ქვეყნის მტერნიც სულ ერთიანად შიგ მოაყოლა და ამოჰბუგა. შვება-ლხენა მიეცა ქვეყანას“¹²⁹

ზოგჯერ მწერალი პირდაპირ მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხზე, როგორც მაგალითად მოთხრობაში „ლარიბეზის შემწე“. აქ ის პირდაპირ უმარტავს ბავშვებს გლესკაცობის არსს, ასწავლის მათ გლესის შრომის დაფასებას და მის მძიმე მდგომარეობას. ს. მგალობლიშვილი შეგნებულად ურთავს ევროპაში კარტოფილის გამავრცელებლის, პარმანტიეს, ისტორიას, რომელმაც გამოძებნა ხალხის შიმშილისაგან დახსნის გზა.

ს. მგალობლიშვილის ერთ-ერთ საუკეთესო საბავშვო მოთხრობად შეიძლება ჩაითვალოს მისი „უკვდავების წყარო ვარ“. ეს პატარა, ლამაზი მოთხრობა საოცარი სიწრფელით გამოგვცემს ავტორის თვალით დანახულ გარემოს. ანცი, ანკარა წყარო ამ ბილწი ცხოვრების ფონზე მოჩანს, როგორც სინათლის, სიწმინდისა და სიცოცხლის მომნიჭებელი სიმბოლური სახე. უკვდავების წყაროს ღალადი მარტო ადამიანთა გაუტანლობაზე არ მეტყველებს. იგი ეხება იმ სუფთას, საუკეთესოს, რაც დამარხულა დამაშვრალი ადამიანის გულში.

წყარო ცდილობს დაანახვოს ადამიანებს თავისი ღირსება. შრომით დაღლილი სხეული გაუგრილოს, სულს შვება მოჰფინოს, მაგრამ ცოტას თუ ესმის მისი მნიშვნელობა. ბევრი უკუაგდება, თავზე სიბინძურეს აყრის. მხოლოდ ღამით იწმინდება

128. ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბ., 1963, გვ. 679.

129. იქვე, გვ. 683

წყარო, იცილებს ჭუჭყს და ისევ სიწმინდით ამოკამკამდება.

ს. მგალობლიშვილი ხატოვნად აღწერს წყაროს დაბადებას: „მე ცისა და დედამიწის პირმშო შვილი ვარ. დღისით მზისით დიდებულნი სხივნის მზისანი იკრეფენ ყვავილებიდან, მინდორ-ველებიდან, ამაორთქლებენ; მივფრინავ უჩინრად მაღლა-მაღლა, დავიჩქმალეები ცის სივრცეში, ვხვდები ჩემს ტოლ-ამხანაგებს. ოჰ, რა გამეხარდება ხოლმე მათი ნახვა, იქ, იმ სიშორეზე!... მაღლიდან ჩვენ ციურნი ცვარნი, და ვარსკვლავები მერცხლის ბარტყებივით ერთად გადმოვცქქერით დაბლა ქვეყნიერებას; შთანთქმულს სიბნელეში... შეხეთ, შეხეთ სიბნელის ზღუდეში ნათელს შემოუჭვრეტნია და ვილაცის უღირსი ხელი ტალახს აგლესს, რათა სინათლე არ შემოუშვას... ოჰ, დამბადებელო! რა მეზიზღება დაბლა ჩამოსვლა! ნუ ციურნო ცვარნო! ნულარ დავბრუნდებით შავბნელს ქვეყანაში, სადაც ძმა ძმის სისხლს ჰღვრის, მამა შვილს არ ინდობს და შვილი მამასა!... დედა რომ არა მყვანდეს, მის ნახვა რო არ მომენატრებოდეს, სულაც არ დავბრუნდებოდი ქვეყნადა“.¹³⁰

აკაკი დიდ შეფასებას აძლევდა ს. მგალობლიშვილის ამ მოთხრობას: „ეს პატარა თხზულება სწორედ ძვირფას მარგალიტის მანიაკად დარჩება ჩვენს მწერლობაში“.¹³¹ მხოლოდ ზოგიერთი ადგილების გასწორებას მოითხოვდა მისგან. უფრო ქართულის, ეროვნულის გამოყენებისაკენ მოუწოდებდა სოფრომს.

ს. მგალობლიშვილმა უკვდავების წყაროს სახით, ალე-

130. ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1963, გვ.698

131 ა. წერეთელი, წერილი მეგობარს, თხზ. სრ.კრ.ტIV, თბილისი, 1961, გვ. 29

გორიული ფორმით, გვიჩვენა უბრალო მშრომელი ადამიანების ღირსება, რომელნიც წარმოადგენენ ქვეყნის მაცოცხლებელ ძალას, მაგრამ უგუნურთა, მდიდართა მიერ ზოგჯერ იწინლებიან და იჩაგრებიან.

ბავშვებისათვის დაწერილ ნაწარმოებებშიც ს. მგალობლიშვილი გვევლინება ჭეშმარიტ ხალხოსნად, რომელიც ხატავს სოფლის მცხოვრებლებს, მათ სიღარიბეს, მაგრამ სიბეჯითეს, სიწმინდესა და პატიოსნებას, უპირსპირებს რა უქნარა აზნაურობას, აყენებს სხვისი ჩაგვრის მოხსნის აუცილებლობის საკითხს და მის ჩახშობას ჩანასახშივე, მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და ენასთან შესისხლხორცებული მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის თანდათანობით, ფაქიზი პედაგოგიური მიდგომით გადაცემის პრობლემას. აქ ყველაზე გამოკვეთილად გამოჩნდა მწერლის ამაღლებული ჰუმანიზმი, სიკეთისა და სიმართლისადმი თაყვანისცემა.

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „ყაყიტას ქურდი“, „თინას გიშერა“, „სიყმაწვილის მოგონებანი“, „უკვდავების წყარო ვარ!“, (ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, ტ.12, ქ.ს.ლ.ბ.ს მგალობლიშვილი, ი. დავითაშვილი, გვ. 148-181).

2. რატომ დაინტერესდნენ ხალხოსანი მწერლები საბავშვო

თემატიკით?

3. დაასახელეთ ს. მგალობლიშვილის მიერ დანახული სწავლა-აღზრდის სისტემა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში?

4. ს. მგალობლიშვილის რომელ საბავშვო ნაწარმოებებს იცნობთ და მოგწონთ?

5. რა შეფასებას აძლევდა აკაკი წერეთელი ს. მგალობლიშვილის საბავშვო მოთხრობას „უკვდავების წყარო ვარ?“

6. როგორია ს. მგალობლიშვილის საბავშვო ნაწარმოებების ფორმა?

ნიკო ლომოურის საბავშვო ნაწარმოებები

ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური (1852-1915) შესანიშნავი საბავშვო პროზაიკოსიც იყო. როდესაც 1911 წელს ლუარსაბ ბოცვაძემ გადაწყვიტა ნიკო ლომოურის საბავშვო მოთხრობების გამოცემა, ავტორს შეუთვლია თავისი ქალიშვილის, თამარისთვის: „ლუარსაბ ბოცვაძის სიტყვები ჩემთვის დიდად სასიამოვნოა. მე აბა, სადა მაქვს შეძლება, ჩემი მოთხრობების გამოცემისა მე არაფერი მინდა, მაგრამ უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის, რომ გამოსცეს ერთ წიგნად „ქაჯანა“, „პაწია მეგობრები“, „ალი“, „ყოველის მხრიდან“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“. მე ვგონებ, რომ მოსწავლეთათვის ყველა ამ მოთხრობათა წაკითხვა სასარგებლო იქნება, როგორც კლასში, ისე კლას გარეთ. ბავშვები დიდი სიამოვნებით კითხულობენ მათ და იმედია, რომ საზოგადოებაშიც გზას გაიკვლევენ.“¹³²

„გამხდარი და ფერმკრთალი... ცოცხალი, მკვირცხლი თვალები, ტკბილად მომდიმარი სახე, ჭაღარაშერეული და თხელი წვერ-ულვაში, ჭაღარა თმა... ზნეობრივი სამყარო, სპეტაკი და ანკარა. გიზიდავს ეს ადამიანი, გინდა მასთან იყო, მოისმინო მისი მომხიბლავი ბაასი? თითოეული სიტყვა აწონილი, თითოეული ფრაზა გააზრებული და დახვეწილი, რაღაც საოცარი და მომხიბლავი ტემბრი...“¹³³ - ასე ახასიათებდნენ თანამედროვენი ნიკო ლომოურს, ასეთი ყოფილა მისი გარეგნობა და შინაგანი ბუნება.

132. ნ. ლომოური, „მოთხრობები“, თბილისი, 1971, გვ. 177

133. იქვე, გვ. 5

ნიკო იოსების ძე ლომოური დაიბადა 1952 წლის 19 თებერვალს, გორის რაიონის სოფელ არბოში, მღვდლის ოჯახში. დედა, ეფემია გვიმრაძის ქალი, დიასახლისი იყო. ბავშვობა პატარა ნიკოს სოფელში გაუტარებია, თავის მეზობელ გლეხის გოგო - ბიჭებში. გლეხებს უყვარდათ მალხაზი ბიჭუნა. „მე მათ ვუყვარდი, მიფრთხილდებოდნენ,“¹³⁴ - იგონებს მწერალი. წერა-კითხვა ნიკოს სოფლის დიაკვანთან უსწავლია, მამა ადრე გარდაეცვალა და დაობლებული ბიჭუნა ბიძას ივანე ლომოურს გორის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებია, სადაც მეფობდა რუსიფიკატორული რეჟიმი, სასტიკად იყო აკრძალული მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი. ორი წლის შემდეგ იგი თბილისის სასწავლებელში გადაუყვანიათ, აქედან სემინარიაში. აქ ნახა ნიკომ პირველად იაკობ გოგებაშვილი. „იაკობ გოგებაშვილი გეოგრაფიას გვასწავლიდა. პირველად ქართულად აგვიხსნიდა, მერე რუსულად და გაკვეთილს იქვე კლასში ვსწავლობდით. ისეთი გაკვეთილი პირველი, უცნაური ხილი იყო ჩვენთვის“. „მას ვბაძავდით, ხშირად წვრილმანებშიაც კი“.¹³⁵ აქ ჩაეყარა საფუძველი მოსწავლე-მასწავლებლის მეგობრობას, რომელიც სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. იაკობი ყოველნაირად ხელს უწყობდა თურმე მისი ნიჭის განვითარებას, ესმარებოდა, ხოლო მისი პირველი ლექსი „ყინვა და პატარა მოწავე“ თურმე ზეპირად იცოდა.

ნიკო ლომოურზე დიდი გავლენა მოახდინა ხალხოსნურმა

134. იქვე, გვ. 6

135. იქვე, გვ. 7

მოძრაობამ და თვით გახდა სემინარიაში ჩამოყალიბებული პატარა ჯგუფის წევრი, რომელშიც შედიოდნენ: თვით ნიკო ლომოური, იოსებ ბაქრაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, გიორგი უთურგაული, იონა მეუნარგია და სხვ. ისინი უშვებდნენ ხელნაწერ ჟურნალს „შრომას“, რომელსაც რედაქტორობდა გიორგი უთურგაული. გარდა ამისა სემინარიელები თანამშრომლობდნენ ჟურნალ „მნათობში“, რომელშიც დაიბეჭდა ნიკო ლომოურის პირველი ლექსი 1871 წელს.

სემინარიის დასრულების შემდეგ ნიკომ სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. მას სურდა სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრებაც უნივერსიტეტში და ბავშვთა ექიმის მოწმობის მიღება, მაგრამ, ძველი ენების არასაკმარისი ცოდნის გამო, იძულებული გახდა სასულიერო აკადემიით დაკმაყოფილებულიყო, ისტორიულ ფაკულტეტზე. აქ იგი დიდი ინტერესით ეცნობა პედაგოგიკის კლასიკოსების ნააზრევს, რუსოს, პესტალოცს, ემზადება მომავალი პედაგოგიური საქმიანობისათვის, თარგმნის დორბოლიუბოვის, შევჩენკოს, ბარბიეს, წერს ლექსებს. აქვე ნიკო გაეცნო დავით კლდიაშვილს. სწორედ ნიკოს დახმარებით მიუბრუნდა დავითი, ქართული პროზის მომავალი დიდოსტატი, ქართულ ენას, მის ისტორიას. ნიკომ შენიშნა მასში მომავალი მწერლის ალლო და ხელს უწყობდა ამ საქმეში.

ნიკო ლომოურის პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები იყო „ალი“, რომელიც 1878 წელს დაუწერია კიევის სასულიერო

სასწავლებელში სწავლის პერიოდში. მოთხრობა გამოქვეყნდა 1879 წელს „ივერიის“ მეოთხე ნომერში „ლევან ცაველის“ ფსევდონომით და დიდი შეფასება დაიმსახურა ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილისაგან.

კიევში ყოფნის პერიოდში უთარგმნია ნიკოს რუსულიდან „ყინვა და პატარა მოწაფე“.

1881 წელს ნიკო ლომოური სამშობლოში ბრუნდება, იგი ჯერ თბილისის ქართულ გიმნაზიაში მუშაობს ინსპექტორის თანამდებობაზე (1871-1883 წ.წ.), 1884 წლიდან კი იგი გადის გორში და აქ სიკვდილამდე ასწავლის ქართულ ენას საოსტატო სემინარიაში.

როგორც პედაგოგმა, ნიკო ლომოურმა დიდი სიყვარული დაიმსახურა თავის მოსწავლეებში. თედო რაზიკაშვილის მოგონებით, „დღეს უკვე ვაჟკაცური და ჭაღარაშერთული იმავე მოწიწებას ვგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართ. მოთხრობების წერა სწორედ ნ. ლომოურმა დამაწყებინა და ძალიანაც მახალისებდა და მიქებდა.“¹³⁴

როგორც მწერალი, ნიკო ლომოური დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს, ი. ლომოურის გადმოცემით, ნიკო ყოველთვის ნაწარმოებს დიდხანს ამუშავებდა, 15-ჯერ გადასწერდა და კიდევ არ ემეტებოდა სტამბისათვის.

ნიკო ლომოური აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხალხოსნულ მოძრაობაში, თანამშრომლობდა „დროებაში“, იყო გორის

134. თ. რაზიკაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1978, გვ.11

სცენისმოყვარეთა საზოგადოების წევრი. ნიკო მეგობრობდა და დიდად აფასებდა ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილს, რომელთაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდეს მოღვაწეებად თვლიდა.

1881 წელს ჟურნალ „წყაროს“ პირველ ნომერში „ლევან ცაველის“ ფსევდონიმით ქვეყნდება ნიკო ლომოურის მოთხრობა „ქაჯანა“, რომელიც ძალზე პოპულარული ხდება როგორც პატარა, ისე მოზარდ მკითხველში.

1905 წელს ნ. ლომოურს დაუწერია არბოში „პაწია მეგობრები“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ნაკადულში“ 1906 წლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრებში, ტექსტს ასეთი შენიშვნა ახლდა: „ამ მოთხრობის უმთავრესი შინაარსი ნამდვილ შემთხვევაზეა დამყარებული“, ხოლო იულონ ლომოურის მოგონების მიხედვით: „დეიდაჩემი გათხოვილი იყო სოფელ ქურთაში... სწორედ დეიდაჩემმა ჩემთან ერთად უამბო მამას ქუთაისში მომხდარი ამბავი, რომ ერთი გოგონა დაბრმავებულიყო. მშობლები ბევრს ცდილან, მაგრამ ვერაფერი უშველიათ... გოგოს ჰყავდა ერთი ამხანაგი, რომელსაც გაეგო, რომ ასეთივე ბრმა ერთ კაცს მოურჩენია. მშობლების ჩუმად წაიყვანს ამ ლამაზ ბრმა გოგოს და მართლაც მოარჩენს. მამამ ამ ამბავზე ააგო მოთხრობა „პაწია მეგობრები“, ხოლო ბავშვის მკურნალობა ექიმ ტარსაიძეს მიაწერა, რადგან მამას მეგობარი იყო.“¹³⁵

ნიკო ლომოურის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია წერდა ნიკოს: „ჩე-

135. ნ. ლომოური, მოთხრობები, გვ. 179

მო ძვირფასო, ძმაო და ნათლია ნიკო!... თქვენი მოთხრობა „პაწია მეგობრები“ ღიზა ორბელიანმა ინგლისურად თარგმნა და გავგზავნეთ. დაიბეჭდება რომელიმე ინგლისურ ჟურნალში. გთხოვ გულით, თუ შეიძლება თქვენი მხიარულის ნიჭით კიდევ დაატკბოთ პატარა ბავშვები“.¹³⁶

1915 წლის 5 თებერვალს ძაძით შემოსილი აკაკი წერეთლის ნეშტი, მატარებლით რომ შეჩერდა გორში, უკანასკნელად დაიტირა ნიკო ლომოურმა.

1915 წლის 17 აპრილს კი თვით ნიკო ლომოური გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს გორის სამების ეკლესიის ეზოში, საიდანაც გადასვენებული იქნა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, ე.წ. „ახალ ბაღში“.

ნიკო ლომოურმა მხატვრული შემოქმედება პოეზიით დაიწყო. პირველი საბავშვო ნაწარმოები იყო რუსულიდან გადმოკეთებული „ყინვა და პატარა მოწაფე“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ შემდგომად, აკაკი კენჭოშვილის ცნობით, მას აკაკი წერეთელმა თურმე პოეტობა დაუწუნა და პროზაში მუშაობა ურჩია, ნ. ლომოურის საბავშვო პროზამ ძალზე სპეციფიკური ნიშნები შეიძინა. ს. მგალობლიშვილის მსგავსად, თუმც სოციალურ პრობლემატიკაზე ამახვილებს ყურადღებას და სოფლის ჩამორჩენილობის ფაქტორებით ხსნის ბევრ მოვლენას, იგი ახალ თაობასაც გვიჩვენებს, რომლებიც ცხოვრებას სხვა თვალთადასრულებენ

და მისი გაუმჯობესების ოცნებებს დაატარებენ გულში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნ. ლომოურის მოთხრობები: „ალი“ და „ქაჯანა“. „მომივიდა ი. ჭავჭავაძის წერილი, - იგონებდა მწერალი, - რომელშიც დიდად აქებდა „ალსა“. იაკობ გოგებაშვილსაც ექო და ამ გარემოებამ საბოლოოდ გადამაწყვეტინა მოთხრობების წერა“.¹³⁷

მოთხრობა „ალის“ მთავარი თემაა, თუ როგორ დაღუპა არამენდანთ ოჯახი ცრურწმენასთან ერთად გაქნილი დიაკვნის ზაქარიას ხრიკებმა. ნაწარმოების ცენტრში კი დგას პატარა ბიჭუნა, რომელიც დიდი ინტერესით აკვირდება ბუნების მოვლენებს, ხალხურ ჩვეულებასთან ერთად აცნობიერებს ყველაფერს. ეს სამყარო იზიდავს ბავშვის ცნობისმოყვარე, ფანტაზიით აღსავსე გონებას და ტყვეს თავდაპირველად ისე უყურებს, როგორც საიდუმლოებით აღსავსე ადგილს, სადაც უცნაური არსება, ალი, სახლობს. „ჩემს პატარა ბიჭობაში, მაშინ, როდესაც შოლტის ხმარება კი არა, სახრის ხეირიანად მოქნევაც არ ვიცოდი, - მახსოვს - მქონდა ერთი გულითადი სურვილი, ნატვრა: მე მინდოდა, მენატრებოდა ტყის ნახვა!“¹³⁸ მწერალი თანდათანობით გადმოშლის მკითხველის წინ, როგორ დაინტერესდა პატარა ტყით, რომელიც მისთვის არსებობს: „ამ დროს ჩემს თავს მე სრულ ბედნიერადა ვგრძნობდი. ყველა ესენი რომ ავიღოთ, შევაჯგუფოთ ერთად და მივაქციოთ ყურადღება მათ გავლენას იმისთანა პატარა სიმონაზე, რო-

137. *იქვე*, გვ. 11

138. *იქვე*, გვ. 21

გორც მე მაშინ გახლდით, განა სასაცილო და გასაოცარი იქ-
ნებოდა რამე ჩემს ნატურაში?!“¹³⁹ იმდენად დიდი სიმონას
გატაცება, ეკლესიაშიც კი აღავლენს ლოცვას ღვთისმშობლის
წინაშე, ტყის ნახვის საშუალება მიეცეს. და, როდესაც ეს სუ-
რვილი შეუსრულდა, მისმა ფანტაზიამ ზენიტს მიაღწია. ამი-
ტომ, ბიძებმა და მამამ ტყეში რომ წაიყვანეს, გაშტერდა პატ-
არა: „შშშრიი, მომესმა უცებ წყლიდამ. ცახცახით გაეხედე მდი-
ნარეს და მომეკვეთა მუხლები: შიგ შუა წყალში მე დავინახე
ალი, რომელსაც გაეწეწა თმა და დინჯად ივარცხნიდა მას
ოქროს სავარცხლით... ამის შემდეგ მე აღარა მახსოვს რა.
როგორ გამოვტრიალდი უკან, როგორ შევეძელი ურემთან მირ-
ბენა და როგორ დავიძახე: „მიშველეთ, ალი!“¹⁴⁰ ბავშვის შიშ-
ნარევ კვილზე მოირბინეს უფროსებმა და აღისათვის სიმონას
ბიძის მიერ დამინებულ ცულს ტარი გამოსძვრა და მამას
თავი გაუპო. თუმცა ყველამ შემდგომში აღს დააბრალა,
სიმონამ სწორად აღიქვა რეალობა: „ალმა კი არა, მამაჩემი
ბიძაჩემმა მოჰკლა!“¹⁴¹ მამის სიკვდილით აიხსნება არაშენ-
დაანთ (გვარის სიმბოლიკა-არაშენდაანი-ვერ აშენდენ, ვერ
მოიკიდეს ფეხი) ოჯახის რღვევა. ზაქარია დიაკვანი ანგარებას
შეუპყრია და ცდილობს, როგორმე აიძულოს ისინი, გაყიდონ
მისთვის სასურველი მამული და სხვაგან გადავიდნენ. ამიტომ
ამინებს ოჯახს, უძლიერებს ალისა და კუდიანებს ცრურწმე-

139. იქვე გვ. 22
140. იქვე გვ. 27
141. იქვე გვ. 29

ნას, თვითონაც მიმართავს ხრიკებს. კვლავ უბედურება; პატარა
სიმონა სოფელს გააშორეს გადარჩენის მიზნით და ღურგალს
მიაბარეს. მაგრამ დედის ბოლო წერილზე გულმა ვეღარ გა-
უძლო ყმაწვილკაცს და სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა.
ავტორი ნათელი ფერებით ხატავს ყმაწვილის მიერ მშობ-
ლიური კუთხის, დედის მონატრებას. და სამწუხარო ამბავს
მისი გარდაცვალების, ოჯახის დანგრევისა. ნიკო ლომოურს
სურს დაარწმუნოს მკითხველი პატარა სიმონას თვალთ და-
ნახული რეალობით, რომ არავითარი ალი, კუდიანები არ არ-
სებობენ, ყველაფერი ბოროტი ადამიანის ხრიკებია. ამით იგი
ცდილობს ახალთაობის ცრურწმენის სიბნელიდან გამოყვანას.

მეორე საბავშვო მოთხრობა „ქაჯანა“ (1881 წ.) უფრო ლალი
და მსუბუქი ფერებით არის დაწერილი. თუმცა აქაც ფიგურირ-
ებს ცრურწმენის ფაქტორი, მაგრამ ამჯერად იგი კიდევ
ერთ მიზანს ისახავს: ადამიანის შეშინება, თუნდ უბრალო, გა-
სართობი მიზნით, არამცთუ დიდი ცოდვას ღვთის წინაშე, არ-
ამედ შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს, ავადმყოფობა,
როგორც მოხდა კიკოლას ერთადერთი ვაჟის ქაჯანას შემთხ-
ვევაში. ანცი და ემმაკი კატო, რომელსაც არაერთხელ ჩაუდენია
ეს საქციელი მეზობლების მიმართ, ახლა ქაჯანას გაეხუმრება,
ცომს წამოისხამს, თავზე ქოთანს დაიმხოვს და ასეთ მასკა-
რადულ სამოსელში, ჭიაკოკონობა ღამეს, იგი შეხვდება ქა-
ჯანას და ბავშვის ისედაც გალიზიანებულ ფანტაზიის წყა-
ლობით საშინელ შედეგს მიიღებს: ქაჯანას ჯერ გული წაუვა,

შემდეგ კი დამუნჯდება. ავტორი გადმოგვცემს პატარა გონანს საშინელ სინანულს, ერთგვარ თვითალიარების ცდას, რომ კუდიანმა კი არა, მან შეაშინა, მისი ბრალია, მაგრამ ყურს არაავინ უგდებას. მწერალი გამოკვეთს იმ ფაქტსაც, რომ დამნაშავე ბავშვი, რომელმაც სხვისი დაშინება მოინდომა, თვითონვე დაისაჯა. „მხოლოდ ერთი ვიღაც პატარა გოგო არ ჩუმდებოდა, მას ფრჩხილებით დაკაწრული სისხლიანი სახე გამოეყო ბანში და გულამოსკვნით საცოდავად ტიროდა.“¹⁴²

ქაჯანას დამუნჯება შიშზე წარმოშვა და ენის ამოდგამაც ხელახლა შეშინების წყალობით მოხდა, როცა პატარა ბიჭებმა მლოცველების თავიდან მოშორების მიზნით ეკლესიაში დასძახეს მათ, რომ წასულიყვნენ. მოთხრობის IX თავში ნიკოლომოური თითქოს ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ ნამდვილი ამბავი დაედო საფუძვლად ამ ნაწარმოებს. აქვე ხატავს ახალგაზრდა ხალხოსანის, სანდროს სახეს, რომელიც ასწავლის კიკოლას ქალ-ვაჟს, ხშირად აღტაცებაშიც მოსულა მათი წარმატებებით: „ერთი მითხარი: რა უნდა ჰქნან, სად უნდა წავიდნენ ეს ნიჭიერი ბავშვები, როდესაც ჩვენს სკოლაში გაათავებენ სწავლას! მე დარწმუნებული ვარ, რომ სწავლა გააგრძელონ, სახელოვანი შვილები გამოუვლენ ჩვენს დაცემულ ქვეყანას!“¹⁴³ აქ კარგად მოჩანს ხალხოსანის იდეოლოგია, მისი მიზნები და მისწრაფებანი სოფლის ბავშვებთან და მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მხატვრული ოსტატობა კარგად იკვეთება

კიკოლას ოჯახის, ჭიაკოკობის ღამის და ბავშვთა თუ დიდების დეტალების მეშვეობით ხასიათების გადმოცემისას, მაინც გასდევს ამ საბავშვო ნაწარმოებს პუბლიცისტური ტონი, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო ხალხოსან მწერალთა შემოქმედებისათვის. „მოამბის“ 1896 წლის მეთერთმეტე ნომერში ერთი რეცეზენტი ასე აფასებდა „ქაჯანას“: ჩვენს ახალ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, თამამად ვიტყვი, არ გვეგულება ისეთი სხვა პატარა მოთხრობა, რომ ასეთის დიდის ნიჭით იყოს დაწერილი, ასე ატყვევებდეს მკითხველის ინტერესს, ასე მოქმედებდეს მის გულსა და გრძნობაზე.

მაგრამ ჭეშმარიტად მაღალმხატვრული საბავშვო ნაწარმოებია ნიკოლომოურის „პაწია მეგობრები“, რომელშიც ბავშვის სულის ღრმა ცოდნა და მისადმი დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი. ამ მოთხრობის გამოქვეყნებისთანავე ნიკოლომოურს უამრავი წერილი მიუღია მკითხველისაგან: „ნერვებაშლილი ძლივსლა ვსუნთქავდი, - იგონებს ია ეკალაძე, - თავი მტკიოდა, შორიდან მესმოდა თოფის ხმა... ოხ, ეს ბოროტი ხალხი ოხ, ამდენი უსამართლობა! ნეტა, როდის მოელება ბოლო ამდენ უკეთურ ცხოვრებას!... „ნაკადულის“ წაკითხვის გუნებაზე არ ვიყავ, მაგრამ თქვენი მოთხრობა „პაწია მეგობრები“ რომ დავინახე, ძალაუნებურად კითხვა დაუწყე: ჯერ რიგიანად არ მესმოდა რა, მაგრამ კითხვის პროცესმა თანდათან ჩამითრია, დამამშვიდა, გამამხნევა და ბოლოს, ცრემლიც კი მომწყვიტა პატარა ბაბუცას ადამიანობამ, გულკეთილობამ, - გარედან

142. იქვე ვგ 66

143. იქვე

გულზე მტარვალები და ავკაცები, ქვეყანა, ერთხელაც არის, გაიხარებს... მადლობა, ჩემო მასწავლებელო, იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ამ მოთხრობით მაგრძნობინეთ... გიკურთხოთ ღმერთმა კალამი და ენამჭევრობა!"¹⁴⁴

ისეთი უშუალოა ორი გოგონას მეგობრობა, ისეთი ნათელი სიყვარული, მკითხველი დასაწყისშივე რწმუნდება მის ჭეშმარიტებაში. მარო უსწავლელი გოგონაა, რომელიც წითელების შემდეგ დაბრმავდა, ბაბუცას სკოლაშიც უსწავლია და მასწავლებისაგან გაუგია, რომ ალი და ეშმაკი არ არსებობს, ამავე დროს მას სჯერა მეცნიერებისა, ყველა ინფორმაციას ისმენს და, როდესაც გაიგებს, თუ მაროს ექიმ ტარსაიძესთან წაიყვანენ თბილისში, ის უეჭველად უშველისო, დაინტერესდება, მაგრამ, რადგან მშობლებმა არ დაუჯერეს ბაბუცას ნათქვამს, ბავშვებმა გადაწყვიტეს ჩუმად გაპარულიყვნენ ექიმთან. ავტორი საგანგებოდ აღწერს ამ ორი პატარა გოგონას თავგადასავალს ჯერ მატარებლამდე, შემდეგ ვაგონში და ბოლოს ტარსაიძის სახლში. ბაბუცას წარმოდგენაში ტარსაიძე წვერიანი მოხუცია, ყოვლისმცოდნე ბრძენი, ამიტომ არ ენდობა უცებ ახალგაზრდა კაცის სახით გამოჩენილ ექიმს. ნ. ლომოური გვიჩვენებს, თუ ექიმი როგორ მიმართავს დაჯერების ფსიქოლოგიურ მეთოდს, ჯერ სხვა ავადმყოფს მიიღებს ბავშვების თვალწინ, და როდესაც მას შეებას მოუტანს, ბაბუცას გაუჩინს იმის რწმენას, რომ ავადმყოფი სწორედ ტარსაიძესთან მოიყვანა, გამოცდილ

144. ნ. ლომოური, მოთხრობები, თბილისი, 1971, გვ. 180

მკურნალთან. შედეგიც მიიღეს. ბაბოს თვალი აეხილა და პირველად, ვინც დაინახა, იყო მისი საყვარელი ექიმი. მოთხრობაში საინტერესოდ არის გადმოცემული ბავშვების ურთიერთსიყვარული, ექიმის ზრუნვა თავის პატარა პაციენტებზე და მეცნიერების გამარჯვება ავადობაზე, რაც სამუდამოდ დარჩება არამცთუ ბავშვის, მთელი სოფლის მექსიერებაში.

რომანტიკული თვალთახედვით ავითარებს ნ. ლომოური პატრიოტულ თემას მოთხრობაში „ხერხი ჯობია ღონესა“ (1913 წ.), ხოლო „ბერუა ქრისტესიაშვილი“ წარმოსახავს ერთგვარ ნოსტალგიას 22 სულისაგან შემდგარ ოჯახზე, რომელიც ძველი, პატრიარქალური ოჯახის ნიმუშია და გამოხატავს ერთობის, კოლექტიური შრომისა და თანაცხოვრების ხალხოსნურ იდეალს.

ნიკო ლომოურის საბავშვო ნაწარმოებები დაწერილია კარგი ქართულით, შეზავებულია მსუბუქი იუმორით და ღრმა თანაგრძნობით ღარიბი ადამიანების ბედისადმი.

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ ნიკო ლომოურის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „ქაჯანა“, „პაწია მეგობრები“, „ალი“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“ [ქრესტომათია], თბილისი, 1998, გვ.218-270).
2. რომელი მიმართულების მწერალია ნიკო ლომოური?

3. როდის გამოდის ნიკო ლომოური სამწერლო ასპარეზზე?
4. რომელ ნაწარმოებებს გამოარჩევდა ნ. ლომოური თავის საბავშვო შემოქმედებიდან?
5. გაარკვიეთ, როგორ აფასებს ნ. ლომოური ცრურწმენას ადამიანის ცხოვრებაში?
6. როგორია ნ. ლომოურის საბავშვო თხზულებათა ენა?

ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო ნაწარმოებები

საბავშვო ლიტერატურის ღირსეული შემფასებელი იაკობ გოგებაშვილი 1884 წელს „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ჟურნალ „ნობათის“ მიმოხილვაში წერდა; „საახალწლო ფეშქაში“ ეკუთვნის ქალ. ეკ. გაბაშვილის კალამსა. მოთხრობაში მრავლად მოიპოვება არაერთი ღირსება, რომელიც ძვირფას ნაწარმოებად ჰხდის ავტორის ნაწერსა. მსუბუქი კილო, ცოცხალი მიმდინარეობა აზრებისა და მშვენიერი ქართული ენა შეადგენს უმთავრესს ღირსებას“ საახალწლო ფეშქაშისაც“. უკანასკნელი ღირსება მეტადრე ფრიად შესანიშნავია... ავტორის ნიჭს კარგად უგრძენია ესა და ისეთი შემთხვევა მოუქცევია შიგ, რომელიც ზნეობრივს ნათელსა ჰყვენს მთელს სურათსა, აღვიარებს და იწვევს ჰუმანიურს მხარეს კაცის ბუნებისას, იმ მხარეს, რომლის ხშირად შეხვედრა და ცქერა მეტად სასარგებლოა ბავშვისათვის“.¹⁴⁵ მოყვანილ ციტატაში მოცემულია ძალზე კონკრეტული, მაგრამ საღი შეფასება ერთი პირველი ქართველი საბავშვო მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული სტილისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ღირსეულ დედობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობას, მწერლობას მოახმარა.

ხალხოსანმა მწერალმა ქალმა ეკატერინე გაბაშვილმა თავისი მხატვრული შემოქმედების მთავარ თემად აქცია რეფორმისშემდგომი ქართული სოფლის დაჩაგრული და უუფლებო

145. რევილეციამდელი საგაზელო ლიტერატურის კრიტიკა, თბილისი, 1977, გვ.32

გლენობის ბედი, ქართველი ქალის სულიერი ყოფა, მდგომარეობა, ხოლო ბავშვებისათვის კი შექმნა მგრძობიარე, ღრმა ადამიანური სითბოთი გამსჭვალული პროზა.

ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილი დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს, გორში, სახალხო სამსჯავროს მოხელის რევაზ ბაადურის ძე თარხან-მოურავის (თარხნიშვილის) ოჯახში. დედა - სოფიო ვახტანგის ასული ბაგრატიონ-დავითაშვილი, შინაური აღზრდით, ღირსეული, კეთილი მანდილოსანი ყოფილა: „გასაკვირველი მოჯირითე და შეუდარებელი მსროლელი, პაპაჩემი ვახტანგი, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა, თავის პატარა ქალიშვილს ვაჟურ სიმხნევეს ასწავლიდა მემკვიდრეობის დასაცავად.“¹⁴⁶ - იგონებს ეკატერინე გაბაშვილი დედის შესახებ. მალე დედა გარდაიცვალა და დიდება ბარბარემ იკისრა მისი აღზრდა. მან ეკატერინე თავის ძმასთან ერთად გორში ჩაიყვანა. საკმაოდ უჭირდა ბუნებით კეთილი მშობლების ხელში აღზრდილს, შეგუებოდა მკაცრ დიდებას, რომელმაც უხეში მასწავლებელიც შეურჩია, ფალავანდიშვილის ქალი. ეს უკანასკნელი ბავშვებს ბნელსა და ნესტიან გომურში ამწყვდევდა და ოდნავადაც არ ზრუნავდა მათ სწავლაზე. მალე ეკატერინეს ამბარდანოვების კერძო პანსიონში მიაბარებენ, თბილისში. თორმეტი წლის გოგონამ საქალებო ინსტიტუტში მოისურვა სწავლა, მაგრამ სათანადო მოუმზადებლობის გამო რუსულ ენაში, მიღებაზე უარი უთხრეს.

146. ეკატერინე გაბაშვილი, *თხზულებანი, თბილისი, 1983, გვ. 5*

მხოლოდ გორში, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლესთან გატარებული წლები აღმოჩნდა ეკატერინესათვის საინტერესო. და აი 1864 წელს ეკატერინეს იღებენ ევგენია ფავრის (მადამ ფავრის) პანსიონში, სადაც სწავლობდნენ თავადაზნაურთა, მოხელეთა და წარჩინებულთა შვილები. პანსიონში ისწავლებოდა წერა-კითხვა, არითმეტიკა, ევროპული ენები, ესთეტიკა და სხვ. ქართულ ენას ასწავლიდა თურმე ჯერ ნიკო დედაბრიშვილი, მერე ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო ინაშვილი. სწორედ ამ უკანასკნელმა პედაგოგმა გაუღვიძა ახალგაზრდა ქალს ლიტერატურისადმი ინტერესი. მისი სინარული ერთი-ორად გაიზარდა, როცა გამოცდებზე მიწვეულმა იაკობ გოგებაშვილმა ეკატერინე თარხნიშვილი თავისი „პირველი ანბანი“ დააჯილდოვა.

1868 წელს ეკ. თარხნიშვილმა დაამთავრა მადამ ფავრის პანსიონი და, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში ცოდნის გაღრმავებისა, მასწავლებლობას მიჰყო ხელი. ეკატერინე მუშაობას იწყებს გორში, სომხების სამღვდლოების მიერ ეკლესიასთან გახსნილ ქალთა სკოლაში. „კატო ბუნებით პედაგოგი იყო და კიდევაც ამით აიხსნება, რომ ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში თუ სოფლად - აგროვებდა წერა-კითხვის უცოდინართ და ახალგაზრდული გატაცებით ყველას წერა-კითხვას ასწავლიდა. კატო მართლა რომ ნამდვილი მოძრავი სკოლა იყო და მისი დახმარებით მრავალ ქართველს აუხილა თვალი.“¹⁴⁷ - წერდა ალ. მიქაბერიძე.

147. *იქვე, გვ. 9*

ეკატერინე ამავე დროს ბევრს კითხულობს, იწყებს პირველ ნაბიჯებს შემოქმედებით გზაზე, ჯერ ლექსებს წერს, შემდეგ პუბლიცისტურ წერილებს: ერთი პირველი წერილი „გლეხ-კაცობის აზრი სასოფლო სკოლაზე“ დაიბეჭდა 1870 წელს გაზეთ „დროების“ პირველ ნომერში. აქ ავტორი ხაზგასმით წერდა სოფლის ცხოვრების სიდუხჭირეზე, გლეხობის გონებრივ სიბნელესა და უნდობლობაზე სკოლისადმი.

1873 წელს რევავ თარხნიშვილი თბილისში გადასახლდა. აქ უფრო დაუახლოვდა ეკატერინე ქართველ მოღვაწეებს. გიორგი წერეთელთან გამართულ საღამოზე კი გაეცნო ხალხოსნური იდეებით გატაცებულ ახალგაზრდას, ალექსანდრე გაბაშვილს, რომელსაც მალე მისთხოვდა კიდევ და ქართულ მწერლობაში ეკატერინე გაბაშვილის სახელითა და გვარით დამკვიდრდა.

ღირსეული დედა და მეუღლე იყო ეკატერინე: თერთმეტი შვილი გააჩინა და ყველას უპატრონა. ამავე დროს ახერხებდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში. 1895 წლიდან თავის ქალიშვილ თამართან ერთად სათავეში ედგა საკუთარ ბინაზე გახსნილ ქართველ ღარიბ ქალთა ხელსაქმის პროფესიულ სკოლა-სახელოსნოს. მისი თაოსნობით დაარსდა ქალთა წრე „ამხანაგობა“, მონაწილეობა მიიღო საყმაწვილო ჟურნალების „ნობათის“, „ნაკადულის“ დაფუძნებაში. იყო „ჯეჯილის“ გამოცემის ინიციატორი და უახლოესი თანამშრომელი. თორმეტი წლის მანძილზე მას ირჩევდნენ ქ.შ. წ.კ.გ.ს. გამგეობაში.

1881 წლიდან ქართულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება ეკ. გაბაშვილის როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ისე თარგმანები.

1925 წელს ეკ. გაბაშვილმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა გამოსცეს „ქართველ მწერალ ქალთა ალმანახის“ პირველი წიგნი. ეკატერინე გაბაშვილი, უკვე ღრმად მოხუცებული, გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში, საიდანაც გადაასვენეს თბილისში, დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

„რადგან გული ადამიანისა ბუდეა სიყვარულისა, ბებია კატოს ფართე გულშიც უშველებელი, დიდი, უსაზღვრო სიყვარული იყო დაბუდეებული. იმას უყვარდა ყველა არსება, ღვთის გაჩენილი: კაცი, ქალი, ბებერი, ნორჩი და შუათანა, გლეხი, მდიდარი, უმნო, ლამაზი ბებიას გულში თავთავის შესაფერ ბინას ჰპოვებდნენ, მაგრამ გაცილებით მეტად ბებია კატოს ბავშვები უყვარდა: პაწაწინები, მომავლის კოკრად გაჩენილები... და მთელ სიცოცხლეში მათ სიხარულსა და ბედნიერებას თავსა სწირავდა: ხნავდა, სთესავდა, სათნოებას, მართლის სიყვარულს და სხვა მრავალსა კაცთა სიბრალულს, გულუხვობას, სათნოებას, მართლის სიყვარულს და სხვა მრავალსა კაცთა სიკეთესა. სთესავდა, უფლიდა, ახარებდა, ამშვენებდა ამ თვისებათ და გაფაქიზებულთ, ოქროს მძივებათ ასხმულთ, ატანდა ბავშვთა დილის სიოს, მზის ბრწყინავ სხივებს, მთვარის მკრთალ შუქსა, ყვავილთ ტკბილ ფურცელთა და გაზაფხულის

ფრინველთ სტვენა-გალობის გარმონიას შეუდარებელს...“¹⁴⁸
- ასე ადარებს იოსებ ბოცვაძე „ბებია კატოს“ მთავარ პერსონაჟს თვით მწერალ ქალს. ჭეშმარიტად ასეთი იყო ეკ. გაბაშვილი, ასეთი იყო მისი შემოქმედების იდეური მრწამსი.

„სასახლწლო ფემქაშით“ დაიწყო ბავშვებისათვის წერა ეკ. გაბაშვილმა და პატარებმა შეიყვარეს ეს სათნო მწერალი ქალი სხვა მოთხრობებითაც, როგორც იყო: „კონა“, „ხატაურა ჩემია“, „უსინათლო ლექსო“, „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“, „ღვინია გადაიჩება“ და სხვა.

რეალისტი მწერალი ქალი საბავშვო მოთხრობაში არ ხატავს კლასობრივ წინააღმდეგობას ასე გამოკვეთით, მისი მიზანია პატარებს თვალი აუხილოს, დაანახვოს კეთილი და ბოროტი, გაუღვიძოს სიყვარული მოყვასისადმი. თემა საბავშვო მოთხრობებისა არაფრითაა გამორჩეული, მაგრამ გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, სილაღე, სიმარტივე, უშუალობა, მარტივი სიუჟეტი.

როგორც პეტრე უმიკაშვილი აღნიშნავდა „ყმაწვილებისათვის და ხალხისათვის (გლეხობისათვის) - წერა ყველაზე დიდი ხელოვნებაა. დიდად სასიქადულო სახელად უნდა ჩაითვალოს ეს (ყმაწვილებისათვის წერა) ყოველს მწერალს ყმაწვილის სულის და სხეულის აღზრდაზე უდიდესი საქმე განა არის რამე მკვიდრი, ნაყოფიერი და მომავლის ბედნიერების აშენებისათვის“.¹⁴⁹

ხოლო თეოფილე ხუსკივაძე ასე ახასიათებს ეკატერინე

148. იქვე გვ. 19

149. იქვე გვ. 19

გაბაშვილის მოთხრობას „ღვთის შვილი“ („უსინათლო ლექსო“): „ამ ქალბატონის თითქმის ყველა ნაწერს ერთი დიდი ღირსება აქვს: ეს ღირსება გახლავთ მოთხრობის ამბების სინამდვილე, ხალხის ცხოვრების ცოდნა, იმის ვარმისა და გულის კვნესის გაგება. ყველა ამას გაუზვიადებლად, მარტივად მოგვითხრობს ეს ბელეტრისტი ქალი. ესეთი თვისება, რასაკვირველია, ყოველის მწერლისათვის აუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ უმეტესად კი საყმაწვილო მწერლობას უნდა ჰქონდეთ მომადლებული“.¹⁵⁰ თ. ხუსკივაძე მწერლის დამსახურებლად მიიჩნევს ისეთ თემაზე წერას, რაც მათთვის ადვილი წარმოსადგენია, „ადვილად მოსავალია, და ნამდვილი ცხოვრების ამბებს - კი ყმაწვილები საზოგადოდ დიდი სიამოვნებით ეტანებიან, თუ ჰნახეს წიგნში“¹⁵¹

ცნობილმა კრიტიკოსმა კიჭა აბაშიძემ და პუბლიცისტმა ფერაძემ სპეციალური წერილები უძღვნეს ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო მოთხრობების განხილვას. კიჭა აბაშიძე წერდა: „სწორედ საყვარელია ამ ნიჭიერი მწერლის თხზულებანი იმიტომ, რომ „ტკბილი და მოლულუნეა“, „სიცოცხლის მომასწავლებელია“, „გამაცოცხლებელი“ და „სულის ჩამდგმელი“, ედემად მქცევი ადამიანის გამხმარი გულისა ადამიანის გულის ძალღონისა და შიგ „დამარხულ სიმდიდრის“ მაჩვენებელი და დამახასიათებელი; იმიტომ რომ ავტორის კეთილშობილური სული ყოველთვის იმასა ცდილა და შეძლებია კიდევაც“.¹⁵²

150. რევილუციამდელი საქმეწილელო ლიტერატურის კრიტიკა, თბილისი, 1977, გვ.199

151. იქვე გვ.200

152. იქვე გვ. 158

ანალიზებს რა მოთხრობას „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“, იგი აღნიშნავს: „წაიკითხეთ ეკ. გაბაშვილის „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ-წელიწადს“ და იქ ნახავთ, რომ ნიჭიერსა და გრძნობამდიდარ ავტორს, სწორედ აქაც, ამ უბედურ არსებაშიაც მიუგნია მაღალსულოვნობა, ადამიანური ლმობიერება და გულჩვილობა; ავტორს ორი, ღვთისა და კაცისაგან მოძულეებული სვიმონიკა და გეურქა-კრო ერთმანეთისათვის შეუხვედრებია. ძალაუნებურად ერთმანეთის დაუკითხავად და ნებადაურთველად ამ ორ უბედურს, ორ უსახლკაროსა და უოჯახოს ერთმანეთი მიუგნიათ, ერთმანეთისათვის მამაშიელობა გაუწვევიათ, ერთმანეთისათვის თავთავიანთი ხვედრისა და ბედის სისასტიკე შეუმსუბუქებიათ“.¹⁵³

კიტა აბაშიძე თვლის, რომ მხოლოდ ეკატერინე გაბაშვილთან იპოვის მკითხველი ასეთი ამბის ოსტატურად გადმოსცემს ხელოვნებას.

1898 წელს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებამ ქართველ ბავშვებს საახალწლო საჩუქარი გაუკეთა ეკატერინე გაბაშვილის „საყმაწვილო მოთხრობების“ გამოცემით. მასში შედიოდა 16 ნაწარმოები, რომელთა ზოგადი შეფასებაც მოგვცა ილია ფერაძემ იმავე „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში. „პირველი გრძნობა, რომელიც გაუძლიერდა ბავშვს ამ მოთხრობის შინაარსის გაცნობით - ეს სიბრალულის გრძნობაა, რომელზედაც დაფუძნებულია მოყვასის სიყვარული. თუ ეს

153. იქვე, გვ. 158

გრძნობა განუვითარდა ბავშვს, მაშინ მისი ზნეობითი განვითარების საქმე უზრუნველყოფილია“.¹⁵⁴

ეკატერინე გაბაშვილის ყველა კრიტიკოსი, მისი სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე, აღნიშნავდა საბავშვო მოთხრობების ღრმა ჰუმანიზმს, მისაწვდომობას ნორჩი მკითხველისათვის, დახვეწილ სტილსა და გამართულ ენას.

მწერალი ქალის საბავშვო მოთხრობები მოცულობით სხვადასხვაა, ზოგი პატარა, ზოგი დიდი, მაგრამ ბავშვისათვის ზომიერი. სათაურებიც ორიგინალურად არის შერჩეული: „სწავლის გულისათვის“, „ღვინია გადაიჩეხა“, „სიავისათვის სიკეთე უგო“, „დარო რამ დააჭკვიანა“, „მამა დაბრუნდა!“, „ჩურჩხელეები, ჩურჩხელეები, ჩურჩხელეები!“, „არ მიფიქრნია“ და სხვ.

„მაგდანას ლურჯა“ ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები იყო ბავშვებში. ამის მიზეზი, ალბათ, იმ ოთხი პატარა ბავშვის სახეა, რომლებმაც მიუხედავად სიობლისა და გაჭირვებისა, არ დაჰკარგეს ადამიანური სახე, არიან გულთბილნი, მხიარული ხასიათის. მათ შეიცოდეს დაგრდომილი პირუტყვი და უპატრონეს მას. ბავშვებს უყვართ ლურჯა: „რა ლამაზი თვალეები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი“ მაგრამ ისევე ისე დაღონებული კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ“¹⁵⁵ ავტორი ტკივილის განცდით მიყვება მოქმედებას, ქვრივი მაგდანას შედავებას უხეშ მენაწმირესთან და, ბოლოს, აჩვენებს სიკეთის ზეიმსაც: „მაგდანას შვილები სახედრის

154. იქვე, გვ. 215

155. ე. გაბაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1983, გვ. 34

დანახვაზე მთლად გადაირვივნენ: ტიროდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ, გარბოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ გარბოდნენ. ბოლოს ოთხივე წივილ-კივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალრესებდნენ“.¹⁵⁶

პატარა მოთხრობაში „კრახანები“, ე. გაბაშვილი აჩვენებს, როგორ სჯის მწერიც კი მის ბუდეზე თავდამსხმელს. ამჯერად პატარა რეზომ კრახანების ბუდე ჩამოაგდო და საშინელი ტკივილებიც იწვნია: „მაშ არ იცი, გენაცვალოს დედა, რომ ყოველი სულდგმული თავისს ბინას შესტრფის და იცაეს? რად დაუნგრეე წვით და დაგვით ნაგები სახლ-კარი, ბარტყებითა და კვერცხებით სავესე ფიჭა?... კრახანა თავმოყვარე მწერია და თავის ბუდის აოხრებას არავის დაუთმობს, - დაამთავრა დედამ“.¹⁵⁷

საახალწლოდ უბედურება შევიდა ღარიბ ოჯახში: გლახა-ანთას მელანო სულს ლევდა, შეძლებული ოჯახის დიასახლისმა, რომელთანაც მეზობელი გამოეგზავნა მომაკვდავ მელანოს, თავისი უფროსი ქალი წამოიყვანა და მიაშურა მას. მელანომ სიკვდილის წინ ანდერძი დაუტოვა ქალბატონს: „ჩემი პატარა ფეფო, ჩემი საცოდავი ობოლი, ხვალ უდედოდ დარჩება... ლუკმის მჭმეველიც არავინ ეყოლება და გთხოვ, შენ აიყვანო... მოახლედ მაინც გამოგადგება...“¹⁵⁸ ქალბატონმა აღუთქვა, რომ ფეფოს თავის შვილებში გამოურჩეულად ეყოლებოდა და, მართლაც, ახალი წლის დილით „დედამ ფეფოს ხელი მოჰკიდა, მიიყვანა ჩემს დასთან და უთხრა: „- აი, შვილო, მე

156. იქვე გვ. 39-40

157. იქვე გვ. 164

158. იქვე გვ. 24

საახალწლოდ არ ვიცოდი, რა მეფეშქაშებინა შენთვის და ახლა შენთვის ჩამიბარებია ეს უსუსური ბავშვი. ვინძლო რიგიანად გაზარდო ეს საცოდავი ობოლი, ნამდვილი დედობა გაუწიო და მით აასრულო უდიდესი მოვალეობა ამ სოფლად.“¹⁵⁹

ასევე გულმოწყალებაზეა მინიშნებული ავტორის მიერ მოთხრობაში „თინას ლეკური“. ბატონიანთ მდიდარი, უზრუნველი ცხოვრების, მათი ლხინის ფონზე საშინელ ტრაგედიად მოჩანს ღარიბი, ავადმყოფი, დაკონკილსამოსიანი მოხუცი თინას სახე, რომელიც იცეკვებს, რათა ამით მაინც შეუგროვოს მშიერ ობლებს მცირეოდენი მოწყალება. თინია ეწირება თავის უკანასკნელ ცეკვას, მაგრამ საზოგადოებამ, თუმცა გასცა მოწყალება, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, რა მოელით ამ საცოდავ პატარებს შემდგომად.

1909 წელს „ჯეჯილში“ დაიბეჭდა ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „კამარინსკი“, რომელშიც წარმოდგენილია საშინელი ტრაგედია პაწია ცირკის მსახიობ მიშკასი. „მთელი სამი თვის განმავლობაში, რაც ხანი ის ჩვენს მეზობლად იდგა, ერთხელ გაცინებული არავის დაგვინახავს: გაცინებული კი არა, იმის ენით ერთი ხმაც, კრინტიც არსად გაგვიგონია. ის იღვიძებდა შუადღისას, გამოვიდოდა ეზოში და რამდენიმე ხანი მზეზედ იჯდა დაღონებული, ტანჯულის სახით, დამზინილის ბებერით ხელებზედ დაყრდნობილი“.¹⁶⁰ იგი ცირკის მსახიობებს, შულცებს, უპოვიათ და ცირკში ერთ ნომრად მისი ცეკვა

159. იქვე გვ. 25

160. იქვე გვ. 192

„კამარინსკი“ ჩაუსვამთ. ხალხს ძალიან უყვარდა პატარა მიშკას გამოსვლა არენაზე, მაგრამ ავადმყოფ ბიჭუნას ფიზიკურად არ შეეძლო, სძულდა კიდეც თავისი მოვალეობა. და აი, ერთხელაც პატარამ ვეღარ გაუძლო და სცენაზე კრუნჩხვები დაემართა:“ - უშველეთ! უშველეთ! - ჰკიოდნენ შეშინებული ბავშვები და ყველაფერი აირია. ვინ გაასწრებდა ცირკიდგან, აღარ ესმოდათ. ყველა ცდილობდა, თვალი მოეშორებინა საშინელი სურათისათვის და ბავშვისათვის მომზადებული საჩუქრები შეუნიშნავად უკანვე მიჰქონდათ“. ¹⁶¹

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავისადმი და მიძღვნილი ეკატერინე გაბაშვილის შესანიშნავი მოთხრობა „სამშობლო ხევსურისამ“ რა ჰქმნა?“ თითქოს სათაური ნასესხებია იაკობ გოგებაშვილისაგან, თითქოს ახალს არაფერს უნდა მოელოდნენ მკითხველნი, მაგრამ მწერალი ქალი ოსტატური გაბედულებით წარმოაჩენს, რა ძალა აქვს რაფიელ ერისთავის პოპულარულ ლექსს და ისიც ბათუმში ქართულ სკოლაში, პატარა აჭარელი ბიჭის აბდულის ნათქვამი „სამშობლო ხევსურისამ“, „ამ ლექსის თქმაზე ლევანი მთლად გაფითრდა. მას პირველად ესმოდა ეს დიდმნიშვნელოვანი სიტყვები და პატარა ბიჭი თავისის სინდისის მხილებად ეჩვენა.

- ვინ დასწერა, ვისი ლექსია? ... - ხმის კანკალით დაეკითხა მთიშვილი მასწავლებელს“. როდესაც გაიგო ავტორის ვინაობა, გაზულუქებულ ქართველს აღმოხდა: „გთხოვთ, ბატონო, იმ დი-

161. ქსლბ, ტ.19, ეკატერინე გაბაშვილი, „მოთხრობები“, თბილისი, „ნაკადული“, 1983 გვ. 196
162. ქართული პროზა, ტ. XIII, თბილისი, 1987, გვ.405

დისა და დაუფასებელის სიამოვნებისათვის, რომელიც მე აქ ვიგრძენ, ეს მცირე შესაწირავი მოახმაროთ პატარა ბალებს“. ¹⁶³

და აი სულგადასახული ქართველი ლევან მთიშვილი დაუბრუნდება მშობლიურ მხარეს და იბრძვის იქაურობის უკეთესი გარდაქმნისათვის. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს ჩვენს პატრონს და ბატონს!“ ქუდების მალლა სროლით შესძახეს გლეხებმა და თავი დაბლა დაუკრეს თავიანთ მზრუნველს, მოყვარულს ლევან მთიშველს, მთის კალთებზე დაბრუნებულ, მასთან ერთად ამალღებულს და კაცთმოყვარეობით განდიდებულს“. ¹⁶⁴

კითხვები და დავალებები:

1. გაეცანით წინასწარ ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო ნაწარმოებთა ტექსტებს: „საახალწლო ფეშქაში“, „უსინათლო ლექსო“, „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „22 ოქტომბრის მსხვერპლს, უმანკო ანდრიას!“, „ხატაური ჩემია“, „ქეთუნა და ჩიტი“ (ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“, [ქრესტომათია], თბილისი, 1998, გვ. 270-315) „კამარინსკი“ (ქსლბ, ტ.19, ეკატერინე გაბაშვილი, „მოთხრობები“, თბილისი, 1983, გვ. 191-196) „სამშობლო ხევსურისამ“ რა ჰქმნა?“ (ქართული პროზა, ტ. XIII, თბილისი, 1987, გვ. 405-409).

2. რა სპეციფიკური თვისებებით გამოირჩევა ეკატერინე გაბაშვილის საბავშვო პროზა სხვა ხალხოსანი მწერლის

163. იქვე გვ. 406

164. იქვე გვ. 409

შემოქმედებისაგან?

3. როგორია თემატურად ე. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობები?

4. როგორ შეთავსებას აძლევდნენ ე. გაბაშვილის შემოქმედებას მისი თანამედროვენი?

5. რა პრობლემა წამოსწია წინ ე. გაბაშვილმა მოთხრობაში „კამარინსკი“.

6. შეადარეთ და გაანალიზეთ ი. გოგებაშვილის „იანანამ რა ჰქმნა?“ და ე. გაბაშვილის „სამშობლო ხევსურისამ“ რა ჰქმნა?

ბამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ჯიბლაძე „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის“ (XIX ს.), თბილისი, საბლიტგამი, 1959;
2. ლ. მელაძე, „ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, 2002;
3. ნ. სალირაშვილი, „ქართული საბავშვო მწერლობა“, (XIX ს.), თბილისი, 1998;
4. ა. სურგულაძე, „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973;
5. შ. ქურდაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“, I, გორი, 1997;
6. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1986;
7. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ტ. III, თბილისი, 1988;
8. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ორ წიგნად, წ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988;
9. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ორ წიგნად, წ. II, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988;
10. მლბ, ა. წერეთელი, თხზულებანი, თბილისი, 1980;

11. რევოლუციამდელი საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკა“, თბილისი, „ნაკადული“, 1977;
12. ა. წერეთელი, „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“, ტ. I, თბილისი, 1988;
13. იაკობის სამრეკლო, თბილისი, „განათლება“, 1990;
14. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, ტფილისი, 1938;
15. ი. იოვიძე, „ი. გოგებაშვილი“ (დოკუმენტური მასალები), 1957;
16. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1974;
17. ი. გოგებაშვილი, „თხზულებანი“, ტ. II, 1954;
18. ი. გოგებაშვილი, „საგანძური“, თბილისი, „განათლება“, 1982;
19. ვაჟა-ფშაველას აფორიზმები და გამონათქვამები, თბილისი, 1988;
20. ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964;
21. მ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1978;
22. საქ. ლიტ. მუზ. ფ. ნ. № 15665, № 15676;
23. გ. „მუშა“, 1925, 4 დეკ.
24. ს. მგალობლიშვილი, „რჩეული მოთხრობები“, თბილისი, 1963;
25. ნ. ლომოური „მოთხრობები“, თბილისი, 1971;
26. თ. რაზიკაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1978;
27. ე. გაბაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1983;
28. ქსლბ, ტ. 19, ეკატერინე გაბაშვილი, „მოთხრობები“, თბილისი, „ნაკადული“, 1983;
29. ქართული პროზა, ტ. XII, თბილისი, 1987;

ბიბლიოგრაფია
მართველ საბავშვო მწერალთა გამოცემები
XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

1. ილია ჭავჭავაძე „დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა“, თბილისი, 1882;
2. აკაკი წერეთელი, „გადია“, თხზულება აკაკისა, თბ., 1885;
3. აკაკი წერეთელი, „საყმაწვილო ამბები“, ტფ. ძმ. ჭილაძეთა გამოცემა, 1885;
4. აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, თბილისი, კ. თავართქილაძის სტ., 1893;
5. იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი. შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ“. თბილისი, „წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა“, 1868;
6. იაკობ გოგებაშვილი, „იავნანამ რა ჰქმნა?“, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის. დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ“, თფილისი, გრ. ჩარკვიანის სტ., 1890;
7. იაკობ გოგებაშვილი, „ასპინძის ომი, ისტორიული მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. მეფე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით“. თბილისი, ქართველ ამხანაგობის სტ., 1892;
8. იაკობ გოგებაშვილი, „მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მრავალი სურათებით ტფ., 1896;
9. იაკობ გოგებაშვილი „სხივი წარსულისა, ისტორიული

ამბავი დაწერილი გოგებაშვილის მიერ, ტბ., 1898, (საყმაწვილო და სახალხო წიგნები №7);

10. იაკობ გოგებაშვილი, „თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა“, თბ. 1895;

11. იაკობ გოგებაშვილი „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა“, ტფილისი, 1897.

12. ვაჟა-ფშაველა „შალვას ნანახი სატი. ამბავი მოხუცის ნათქვამი პოემა ვაჟა-ფშაველასი“, ტფილისი, გ.კ. ჩარკვიანის სტ., 1896;

13. ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“. პოემა ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ნახატებით. წიგნი პირველი. თბილისი, გამოცემა ამხ. ი. იმედაშვილისა და ს. ჭელიძისა, 1897;

14. ვაჟა-ფშაველა „ამოდის, ნათდება“ და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი, ქ.შ.წ.კ.გ.ს, გამოცემა, 1898;

15. ნიკო ლომოური, „ალი, მოთხრობა ნიკო ლომოურისა“, თბილისი, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, 1883;

16. ნიკო ლომოური, „ქაჯანა“, ამბავი ნ. ლომოურისა, თბ. 1885.

17. ეკატერინე გაბაშვილი, „ბავშვებს სახალწლო ფეშქაშად“, ტფ., 1885;

18. ეკატერინე გაბაშვილი, „მაგდანას ლურჯა“, თხზულება ეკ. გაბაშვილისა“, ტფ., 1894;

19. ეკატერინე გაბაშვილი „საყმაწვილო მოთხრობები ეკატერინე გაბაშვილისა“, ტფ., წ.კ.ს. გამოცემა №35, 1898.

III. საყმაწვილო კრებულები

1. *საჩუქარი* ქართველ ბავშვებს შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ. 1878 (შედის ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ლომოურის, ა. ფურცელაძის და სხვათა საბავშვო ნაწარმოებები);

2. *ზაფხული* ყრმათათვის საკითხავი წიგნი, ანთიმ ჯუღელის რედაქციით. თბ. 1881 (შედის რ. ერისთავის, თედო რაზიკაშვილის და სხვათა საბავშვო ნაწარმოებები);

3. *ყრმათათვის* საკითხავი წიგნი, ანთიმოზ ჯუღელის რედაქციით, თბ., 1881 (შედის რაფიელ ერისთავის, ნიკო ლომოურის და სხვ. საბავშვო ნაწარმოებები);

4. *კუნწულა* ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის, წიგნი პირველი, იაკობ გოგებაშვილის რედაქციით, თბ., 1883.

5. *საყმაწვილო ბავშვი №1*, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1883 (შედის ნ. ლომოურის, ა. წერეთლის და სხვათა საბავშვო ნაწარმოებები);

6. *კოკორი* ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახ-

ლობაში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, 1885.

7. „ხომლი“ (ქართული საბავშვო ლექსები „უფროსი კლასებისათვის“) შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, 1883.

III. ქართული საბავშვო ჟურნალები

1. „ნობათი“ ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი, 1883-1885;

2. „ჯეჯილი“, 1890-1920.

IV. ბიბლიოგრაფიული კრებულები

1. ილია გორგაძე, ქართული საბავშვო წიგნი 1823-1920, თბილისი, „ნაკადული“, 1979;

2. კლასგარეშე საკითხავი წიგნების ანოტირებული კატალოგი, დაწყებითი და საშუალო სკოლისათვის, თბილისი, 1941

3. რა გამოსცა ნაკადულმა 1968 წელს, „ნაკადული“, 1969;

4. ქართული საბავშვო ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1881-1927), (კ. რამიშვილი, ფ. კვაჭანტირაძე), „ნაკადული“, 1987.

V. საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკის ბიბლიოგრაფია. სამეცნიერო შრომები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში

1. ვლ. ჯიბუტი, „ქართული საბავშვო მწერლები“, თბ. 1954.

2. ვლ. ჯიბუტი, „ქართული საბავშვო ლექსები“, თბ. 1954.

3. ვლ. ჯიბუტი, „თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლები“, თბ., 1974.

4. თ. ჯიბლაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, თბილისი, 1959;

5. ა. ღვინიაშვილი „ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა“, თბ., 1966;

6. ა. ღვინიაშვილი, „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., 1972;

7. ა. ღვინიაშვილი, „ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., 1979;

8. ა. ჩაჩიბაია, „ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1974;

9. ა. ჩაჩიბაია, „მშენებლების სამყარო და მოზარდი თაობა“, თბ., 1977;

10. ც. ბაბლოვანი, „საბავშვო ლიტერატურა“, თბ., 1994;

11. მ. ბუღულაშვილი, „ქართული საბავშვო მწერლობა“

(ოცი-ოცდაათი წლები), თბ., 1995;

12. შ. ქურდაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1997;

13. შ. ქურდაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 2003;

14. ნ. საღარაძე, „ქართული საბავშვო მწერლობა“, (XIX ს.), თბ., 1998;

15. ლელა მელაძე, „ნარკვევები საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, 2002;

16. ლ. მელაძე „უახლესი საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“, „საქართველოს მაცნე“, 2004;

17. ლ. მელაძე, „ქართული საბავშვო მწერლობა XX ს. დასაწყისში“, თბ., 2006;

18. ლ. მელაძე, „XX საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურა“, „მერიდიანი“, 2009;

19. ნ. ჭამბურძიძე, „იაკობ გოგებაშვილის ქრისტიანულ-ზნეობრივი მრწამსი“, თბილისი, „მერიდიანი“, 2006.

VI. ქრესტომატიები ქართულ საბავშვო ლიტერატურაში

1. „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, თბილისი, „ნაკადული“ (იოსებ ბოცვაძე, ინეზა კიკნაძე);

2. „ქართული საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათია“, (შედგენილი ა. ლვინიაშვილის მიერ), საბლიტგამი, 1955, ტ. II, 1956;

3. „ქართული საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათია“, (შედგენილი დ. გიორგაძის მიერ), 1957;

4. თ. ბაბლოვანი, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ქრესტომათია“, თბილისი, 1998.

Tamar Gogoladze

Georgian Nursery Literature of the 60-90s of the XIX Century Annotation

The presented book comprises the part of the teaching course "The History of Georgian Nursery Literature" which mainly deals with the activity of "the people of the sixties" (Tergdaleulebi) for education of "a new type" of a Georgian. In this period "the people of the sixties" (Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili, Vazha-Pshavela) not only published articles in the press dealing with the necessity of nursery books and text-books but also they themselves created works for children. The form of the plot, style and language of nursery creative work became clear. Later, public writers (Soprom Mgaloblishvili, Ekaterine Gabashvili, Niko Lomouri) became actively involved in creating and publishing nursery books. The plot of the creative work of the public writers was the life and problems of poor children.

A public figure and teacher Iakob Gogebashvili put important merit in Georgian Nursery writing. He published books "Deda Ena" (The Mother Tongue), "Bunebis Kari" (The Door to Nature) and nursery collections "Kona", "Kuntsula" and others. The purpose of "the people of the sixties" is seen in their works: to bring up diligent generation armed with the love of motherland, the respect to its historical past and with the knowledge of nature.

In the 90-s the first nursery magazines ("Nobati", "Jejili"

"Nakaduli") were published. These magazines made great work by publishing nursery works by Georgian and foreign writers. These led to development of nursery writing works, forming and popularization of press. The 60-90s of the XIX century can be considered as the classic period of Georgian nursery literature.

The presented book will be useful for students in learning the course of "The History of Georgian Nursery Literature"